პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
- — ჩქარა განახლდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ
- — პოლონეთის ელჩი ამხ. ჩიჩერინთან.
- — პოლონეთის პრეზიდენტმა უარი უთხრა კავერდას სასჯელის შემსუბუქებაზე.
- — გაიხსნა ინგლისის მემაღაროეთა კონფერენცია.
- — ამერიკელი ფინანსისტები სესხს აძლევენ გერმანიას.
- — სამრეწველო კრიზისი იაპონიაში.
- —გ ანზრახულია ავსტრიის პარლამენტის დათხოვა.

ოთხშაბათი, 27 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 168 (1913)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ბარიყული ოპოზიცია

ჩვენი შინაპარტიული ოპოზიციის განვითარებაში მეტად დამახასიათებელია ორი პროცესი, რომლებიც საერთოდ და მთლიანად პარალელურად მიმდინარეობს. ერთი მხრით ოპოზიციის ბრძოლა პარტიასთან და ამ ბრძოლის მეთოდები ოპოზიციის ყოველ ახალ გამოსვლასთან ერთად სულ უფრო და უფრო მწვავდება. 1923—24 წელში ცეკას „გადაგვარებაზე" ლაპარაკი იყო გაკვრით და ისტორიული ანალოგიებით „მარქსის მოწაფეების" გედისა და ვალიანის გახსენებით; 1925 წელში ლაპარაკი დაიწყეს უფრო პირდაპირ პარტიის „ტერმიდორულ გადაგვარების" შესახებ; 1926 წ. ჩვენი სახელმწიფო უკვე „არაპროლეტარულად" გამოაცხადეს და მოაწყვეს კრებები ტყეში. 1927 წელში ცეკასა და კომინტერნს უმაგალითო მკაცრ ფორმებში დასწამეს „გამცემლობა" და „მე-2 ინტერნაციონალის წიაღში" გადაბარგება და გამოვიდნენ „საყვედურებით" პარტიის მიმართ უპარტიოების წინაშე.

მეორე მხრით, ამწვავებდა რა პარტიასთან ბრძოლას, ოპოზიცია სრულიადაც არ ემყარებოდა თავის ძალების ზრდას: სწორედ წინააღმდეგ. ბრძოლის ოპოზიციონური მეთოდების გამწვავებასთან ერთად თანდათან ქრებოდა ოპოზიციის ძალები. როგორც ტროცკის, ისე ზინოვიევის მიმდევრებმა მხოლოდ მათი გამოსვლის პირველ მომენტში (1923 წ. მოსკოვში და 1925 წ. ლენინგრადში) შესძლეს შეერყიათ პარტიის ზოგიერთი უმნიშვნელო წრეები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გარკვეული სადისკუსიო საკითხებში.

ეს პირველი „გამარჯვება" შეიქნა ოპოზიციის უკანასკნელი „გამარჯვებაც". ორივე შემთხვევაში სულ რაღაც 2—3 კვირის განმავლობაში ოპოზიციის გავლენის ნაშთიც გაქრა: დარჩენ მხოლოდ მასისგან ფრაქციულად გათიშული „შეურიგებელი" პატარა ჯგუფები და თითო-ოროლა პირები.

1926 წ. ოპოზიციის „ძალთა გაერთიანება" სამარცხვინო კატასტროფიული მარცხით დამთავრდა: ზინოვიევისა და ტროცკის მიმდევრების ბლოკმა არამც თუ არ გააძლიერა ორთავე ჯგუფის გავლენა, არამედ საბოლოოდ შეასუსტა და გააქარწყლა ამ გავლენის ნაშთი, სახელი გაუტეხა და გარიყა ოპოზიცია. ამჟამად, 1927 წ. ოპოზიციის „კადრები" სულს ღაფავენ, მოკლებული არიან ყოველგვარ მხარის დაჭერასა და ყოველგვარ თანაგრძნობას პარტიულ მასებში და პარტიულ ორგანიზაციებში. ეს კიდევ ცოტაა, გარიყულ ოპოზიციურ ხომალდს სერიოზულად შეენგრა გვერდები: ბევრი ამხანაგი ოპოზიციის აქტიური კადრებიდან დაუბრუნდა პარტიის პოზიციებს და დაჰგმეს თავიანთ ძველებურ ოპოზიციურ ბელადების გამთიშველი ტაქტიკა და ანტილენინური ხაზი.

მიუხედავათ ამისა, ოპოზიცია კვლავ ეწევა სპეკულიაციას იმ უდიდეს სიძნელეებზე, რომლებსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა და პარტია, პირველ ყოვლისა კი საერთაშორისო ხასიათის სიძნელეებზე, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის წინაშე სდგას იმპერიალისტური ომის საფრთხე, ნიადაგ გამოცლილი ოპოზიცია ბრძოლას აწვავებს. ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ის უფრო ჰკარგავს თავის დასაყრდნობს, ასეთია მისი განვითარების ლოღიკა.

ოპოზიცია იბრმავებდა თვალებს დღესავით ნათელ ფაქტების წინაშე და მაინც იკვებებოდა ილიუზიებით და რწმენით თავისი ძალების განვითარების შესახებ. საკმარისია მოვიგონოთ როგორის რიხით უცხადებდა (ავიოპრიბორის „ისტორიული დღეები") ერთი გამოჩენილი რევოლუციონერი, ხელმძღვანელების რიცხვიდან:

„გაივლის რამდენიმე თვე, ჩვენ მივიღებთ პარტიაში უმრავლესობას და თქვენ მაშინ პირდაღებულები მოგვისმენთ ჩვენო". გავიდა რამდენიმე თვე და ზინოვიევმა „კრასნი პუტილოვეცზე" მიიღო იმაზე უფრო მრისხანე გაკვეთილი, ვინემ ტროცკიმ ავიოპრიბორზე.

საიდან გაუჩნდა ოპოზიციას ასეთი გაბედული პრეტენზიები, პარტიასთან დამოკიდებულებაში ასეთი უდიერობა, უნიადაგო ილიუზიები პარტიაში ოპოზიციონერთა არა არსებულ ძლიერების შესახებ? ეს ილიუზიები დაკავშირებულია არამარქსისტულ, არალენინურ, შემცდარ თეორიასთან, რომელიც აბრმავებს ოპოზიციას და იწვევს მას, მისთვის საბედისწერო ფრაქციონულ პრაქტიკაზე.

ეს თეორია, რომელიც ამჟღავნებს მის მომხრეთა იდეურ კაპიტულიაციას წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის წინაშე, ღაღადებს, რომ ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება, ვინაიდან არსებობს შინაგანი წინააღმდეგობანი, ქვეყანა ჩამორჩენილია და მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ გლეხები. ამ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი განვითარების გენერალურ ხაზს მივყევართ ჩვენ არა სოციალიზმის დამყარებისაკენ, არამედ აუცილებელ განხეთქილებისაკენ პროლეტარიატის და გლეხობის შორის. პარტიაზე, რომელიც უარჰყოფს ამ დებულებას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიზმის „სული" ასდის, ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ ის გარდაიქმნა, რომ მას სურს კლასიური ბრძოლის ჩაშლა", რომ ის „ყიდის" პროლეტარიატს წვრილბურჟუაზიაზე. და ოპოზიციონერები ამწვავებენ პარტიასთან ბრძოლას, ვინაიდან მათის თეორიით „უნდა" გამწვავდეს აუცილებლათ, და მხოლოდ გამწვავდეს წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. ოპოზიციონერები ამჩნევენ მხოლოდ წინააღმდეგობათა გამწვავებას. აღნიშნავენ სოფლად კულაკის გაძლიერებას, (გაძლიერებას, რომელსაც აქვს ადგილი სინამდვილეში) და ივიწყებენ იმას, რომ რაც დრო გადის, მიუხედავათ დაბრკოლებებისა, სწორი ხელმძღვანელობის ქვეშ, პროლეტარიატი უფრო მეტის სიმტკიცით სპობს წინააღმდეგობებს, აძლიერებს კავშირს სოფლის საშუალო წრეებთან და სოფლის ღარიბ ფენებზე დაყრდნობილი, აშენებს სოციალიზმს. ოპოზიციის შემცდარი თეორიიდან კლასიური ურთიერთობის შესახებ, გამომდინარეობს შემცდარი თეორია ჩვენი პარტიის განვითარების შესახებაც. მუშათა და გლეხთა შორის ვითომდა აუცილებლათ მოსალოდნელ განხეთქილების პერსპექტივამ მოიყვანა ოპოზიცია „ორ პარტიის" იდეამდე, „ოსსოვშჩინამდე". ჭეშმარიტი ოპოზიციონერები ამიტომ, შეგნებულათ მიდიან „მეორე" პარტიის გზით და საკ. კომპარტიის რიგებში „არჩევენ" იმათ, ვინც „ვარგა" ამ „ნეომენშევიკურ" პარტიისათვის.

ის კი ვინც სცდება კეთილსინდისიერათ და ისე მისდევს ოპოზიციას, ადრე თუ გვიან ჩამოცილდება მას.

როგორია სინამდვილეში ჩვენი პარტიის განვითარების პერსპექტივები? მოსალოდნელია თუ არა განხეთქილება იმ შემთხვევაში თუ ოპოზიციამ ხელახლა გამწვავა ბრძოლა?

არავითარ შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი. პარტია ძლიერია, მთლიანია და განხეთქილებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. პარტია ასეთი დარჩება, როგორიც არის დღეს. „განხეთქილების" საშიშროებით შეუძლიათ „აშინონ" ხალხი მხოლოდ ოპოზიციონურმა მოლაყბეებმა, რომლებსაც პარტია ყოველთვის მიუჩენს სათანადო ადგილს.

პარტია, როგორც მთლიანი ორგანიზაცია, ეყრდნობა ლენინის მთავარ დებულებას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობის შესახებ, და სძლევს წინააღმდეგობას მუშათა კლასის და გლეხობის შორის, დარწმუნებულია, რომ შესძლებს „ერთიან და ერთად-ერთი" პარტიის დაცვას, ამიტომ უარჰყოფს თეორიას „ორ პარტიის" შესახებ, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს პროლეტარული დიქტატურის მტრებს.

თუ კი „მეორე" პარტიის „შეურიგებელი" მომხრეები, განაგრძობენ მომავალშიდაც ანტიპარტიულ ბრძოლას, ისინი წააწყდებიან მტკიცე ბოლშევიკურ წინააღმდეგობას, მიიღებენ ისეთ პასუხს, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს რულ დიქტატურის პარტიას, იმ პარტიას, რომელსაც მიჰყავს პირველი სოციალისტური სახელმწიფო მსოფლიო ისტორიის უძნელეს, მიხვეულ-მოხვეულ, ნაპრალებიან გზით.

ოპოზიციამ პარტიის შიგნით დღეს იგემა იდეური და ორგანიზაციული დამარცხება. იდეურად დამარცხდა იმიტომ, რომ ყველასათვის ცხადია, როგორ გაშორდა ის ლენინიზმს, რომელსაც ჩვენი პარტია არ გასცვლის არც ტროცკიზმზე და არც სხვა რამეზე. ორგანიზაციულად კი იმიტომ, რომ გარდა ოპოზიციონერთა უკვე ცნობილ ვიწრო წრისა და მიკროსკოპიული „კადრისა", მას არავინ ჰყავს პარტიაში.

ოპოზიცია უნდა ჩაუფიქრდეს ამ უნუგეშო მდგომარეობას და სათანადო დასკვნაც გამოიტანოს: უნდა უარჰყოს ის თეორია, რომელიც მას ჩიხში ამწყვდევს, უნდა გამოეთხოვოს მას მანამ, სანამ სულ არ შესტოპა სოციალ-დემოკრატიულ ჭაობში.

„პრავდა"
24 ივლისი, 1927 წელი.

სკანდალი ნავთის გარშემო

საბჭოთა ნავთი კვლავ საყოველთაო ყურადღების ცენტრში სდგას, ამ შემთხვევაში იმ უდიდესი სკანდალის გამო, რომელიც უკანასკნელ დღეებში მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორმა კომპანიამ, რომლებიც ეკუთვნიან როკფელერის კონცერნს,—„ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ"-მა და „ვაკუუმ ოილ"-მა შეისყიდეს საბჭოთა ნავთის დიდი პარტიები. ეს ფაქტი თავისთავად არაჩვეულებრივს არაფერს წარმოადგენს. მესამე კამპანიას „სტანდარტ ოილ ნიუ-ჯერსი" გამოვიდა პრესაში განცხადებით, რომელშიაც „მორალურ და პატრიოტულ მიზეზებით" პროტესტს აცხადებს ამ გარიგების წინააღმდეგ. ამ ფაქტშიაც არაჩვეულებრივი არაფერი იქნებოდა, რომ ეს მესამე კომპანია ისევე, როგორც პირველი ორი, არ ეკუთვნოდეს იმავე როკფელერის კონცერნს. ამრიგად, ნავთის ორი კომპანია, რომელთა შესახებ ყველამ იცის, რომ მათ კონტროლს უწევს ერთი და იგივე პირი--როკფელერი, გამოდის ერთმანეთის წინააღმდეგ ამერიკელთათვის ჩვეული სისასტიკით. ერთმანეთს წაეჩხუბენ ნავთის მაგნატის „მარჯვენა" და „მარცხენა". მდგომარეობა ერთი შეხედვით მეტად პარადოქსალურია.

მაგრამ ამ პარადოქსის საიდუმლოება მეტად მარტივია. „სტანდარტ ოილ ნიუ ჯერსი"-მ მისთვის მეტად ხელსაყრელი შეთანხმება დასდო ინგლისის ნავთის კონცერნთან „როიალ დეტჩ"-თან ნავთის ფასების შესახებ ევროპის ბაზრებზე. ამ შეთანხმების პირობა, რომელიც „როიალ დეტჩ"-მა წარადგინა, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ აუცილებლად ბოიკოტი გაეწიათ საბჭოთა ნავთისათვის.

ამის გასამართლებელ მოტივებს, რასაკვირველია, წარმოადგენენ უაღრესად „მორალური" და უაღრესად „პატრიოტული" ხასიათის მოსაზრებები. მაგრამ მორალი მორალად რჩება, საქმე კი—საქმეთ. და აი როკფელერიც თავისი „მორალური და პატრიოტული" „მარჯვენით" „სტანდარტ ოილ ნიუ ჯერსი"-თ განაგრძობს ბოიკოტს საბჭოთა ნავთისადმი, რითაც დიდძალ სარგებელს ნახულობს „როიალ დეტჩ"-თან ფასების შეთანხმების გამო. ამავე დროს „მარცხენაი"—„ვაკუუმ ოილ"-ი ხელს აწერს ხელშეკრულებას საბჭოთა ნავთის შესყიდვის შესახებ, რაც არანაკლებ სარგებელს აძლევს მას. ხოლო კვალის და საფარავად მართავს სიტყვიერ შეხლა-შემოხლას უაღრესად ცენტრალიზაციაქმნილ და ვეებერთელა კონცერნის ორ ნაწილს შორის. ეს სანახაობა რამდენიმედ არაჩვეულებრივია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ნაკლებ დამაჯერებელი.

მთელს ამ ისტორიაზე, იქნება არც ღირდა დიდი ხნით შეჩერება, რომ საქმე არ შეეხებოდეს ნავთს. მაგრამ ნავთი ამჟამად მეტად დიდ როლს თამაშობს არა მარტო მსოფლიო მეურნეობაში, არამედ მსოფლიო პოლიტიკაშიაც: ნავთის სუნით გაჟღენთილია კაპიტალისტური „მორალი" და კაპიტალისტური „პატრიოტიზმი". ნავთის ტრესტები იმდენად შეესისხლხორცებ კაპიტალისტურ მთავრობებს, რომ მათ არ შეუძლიათ გვერდი აუხვიონ საერთაშორისო სანავთო მახინაციებს, კონფლიქტებს ნავთის გარშემო, რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ნავთის სხვადასხვა კონცერნების ინტერესთა ბრძოლას უდიდესი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გენუის და ჰააგის კონფერენციებზე. ნავთის მეფეების ხმას გულდასმით უსმენენ ბურჟუაზიული დიპლომატები, რომლებიც „პოლიტიკას ჰქმნიან" საბჭოთა კავშირის მიმართ. უსმენენ იმდენად გულდასმით, რომ ისინი ხშირად თვითონვე წარმოადგენენ სანავთო კომპანიის აქციონერებს და იმათ კმაყოფაზე იმყოფებიან. საკმარისია მოვიგონოთ, აწგანსვენებული მარკიზ კერზონი და ოფ კედლსტენი ინგლისელ და ფრანგ ფინანსისტების სურვილი ხელში ჩაეგდოთ ბაქოს, გროზნოს და ემბის ნავთის წყაროები სულს უდგამდა ე. წ. „აჯანყებას" საქართველოში 1924 წელს. ის გაცრუებული და დაუკმაყოფილებელი მადა, რომელიც გაეღვიძათ ნავთის მაგნატებს ჰენრი დეტერდინგის მეთაურობით, ერთ-ერთი „მამოძრავებელი ძარღვი" იყო შუბლმაგართა უკანასკნელი კამპანიის, რაც ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლით გათავდა. სხვადასხვა სანავთო კომბინაციებით და სანავთო პერსპექტივებით არაა ნაკლებ განისაზღვრება ამერიკის პოლიტიკის ხვეულები ჩვენს მიმართ. ნავთი თავისი მნიშვნელობით პირველხარისხოვანი ფაქტორია თანამედროვე პოლიტიკაში.

ნავთის მსოფლიო მარაგი ძალიან განსაზღვრულია. მსოფლიოში, თვით ყველაზე ოპტიმისტური გამოანგარიშების მიხედვითაც, მისი მარაგი რამოდენიმე ასჯერ ნაკლებია, ვინემ ქვა-ნახშირის (თუ ვიანგარიშებთ კალორიებით). ავტომობილიზმის და ავიაციის სწრაფმა განვითარებამ, შინაგანი წვის მოტორების მნიშვნელობის დიდმა ზრდამ მრეწველობაში, ფლოტისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ნავთზე გადაყვანამ—ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ამჟამად ნავთის მსოფლიო წარმოება დიდის გაჭირვებით აკმაყოფილებს მსოფლიო მოხმარებას. მართალია, გერმანიაში ბერგიუსმა გამოიგონა ქვა-ნახშირის სათბობ-სითხეთ გადამუშავების წესი, მაგრამ ბევრი წელი გაივლის მანამდი, სანამ ეს გამოგონება ოდნავ საგრძნობი გახდებოდეს მსოფლიო ბაზარზე. ჯერ კი საყოველთაო ყურადღების დაჭიმვას იწვევს ნავთიან ადგილების გამოფიტვის მოახლოება და ბრძოლა ნავთის მონოპოლიისათვის.

ნავთის მარაგი საბჭოთა კავშირში უდრის 6.755 მილიონ ბარილს. შეერთებული შტატების ნავთის მარაგი უდრის 5.500 მილიონ ბარილს. ეს ორი ციფრი იძლევა წარმოდგენას საბჭოთა კავშირის ხვედრ წონაზე ნავთის მსოფლიო ბაზარზე. ნავთის გაუმაძღარი მეფეები ხელს აპოტინებენ ბაქოს, გროზნოს და ემბასაკენ. ბაქო, გროზნო და ემბა ერთი-ერთი ყველაზე ძლიერი და ნამდვილი ანდამატია მსოფლიო პოლიტიკაში. ნავთის ამოღება და გასაღება ბურჟუაზიულ ქვეყნებში უმთავრესად განაწილებულია ორ გიგანტიურ კონცერნს შორის: ერთი ინგლისში „როიალ დეტჩ შელ" და მეორე—ამერიკაში „სტანდარტ ოილ". ამ კონცერნების ბრძოლა მსოფლიო მონოპოლიისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს საერთაშორისო ბრძოლისა მთელი მსოფლიოსათვის: სპარსეთისათვის, მოსულისათვის, მექსიკისათვის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისათვის და, ბოლოს, თვით შეერთებულ შტატებისათვის.

საბჭოთა კავკასია ძალიან კარგად არის დაცული ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტურ მტაცებლების მადისაგან, ასე, რომ მათი ბრძოლის ასპარეზად ის ვერ გახდება, მაგრამ მით უფრო გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს მის გარშემო. მარცხით დამთავრდა ჩვენი დამშევით დამორჩილების ცდა, კაპიტალისტების მარცხით დამთავრდა აგრეთვე ჩვენი დაშინება მით, რომ თითქოს ჩვენ საკუთარი ძალებით, უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად, ვერ შევსძლებდით ნავთის ამოღების და გასაღების საქმის მოწესრიგებას. ჩვენ საკუთარი ძალებით აღვადგინეთ ნავთის ამოღება. ჩვენს ნავთს უკვე მტკიცე ადგილი უჭირავს ევროპის და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე. ის გამოდის, როგორც ინგლისელ და ამერიკელ მონოპოლისტების სერიოზული მეტოქე.

დაწყებული 1921 წლიდან, არ შეწყვეტილა საბჭოთა ნავთისათვის ბოიკოტის გამოცხადების ცდა. უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტებათ საზოგადოებრივი აზრისათვის ყოველთვის, რასაკვირველია მოჰყავდათ „მორალური" და „პატრიოტული" ხასიათის მოსაზრებები. „პატიოსანი ხალხი არ უნდა ვაჭრობდეს ნაქურდალი ნავთით". ამან, რასაკვირველია, ხელი არ შეუშალა სერ დეტერდინგს 1921-დან 1925 წლამდე შეესყიდა სპეკულიაციის მიზნით ნახევარ მილიონ ტონამდე საბჭოთა ნავთი. ამან ხელი არ შეუშალა მას ყოველგვარი გზით ცდილიყო ჩვენგან ნავთის კონცესიების მიღებას, მიუხედავათ ფიცისა, სულ ოფიციალურ დოკუმენტებშია აღნიშნული, რომ ხელს არ გაისვრიდა „ნაქურდალ" ნავთში. მხოლოდ მისი იმედების გაცრუებამ ჩვენგან მუქთად კონცესიების მიღების შესახებ და სასტიკმა წინააღმდეგობამ, რომელსაც წააწყდა მისი შანტაჟისტური ზრახვა, უკანასკნელ დროს აშკარად დაჩრდილა „მორალური და პატრიოტული" მოსაზრებები.

ამჟამად ბოიკოტის ფრონტი გაირღვა სხვა რაიონში. „საერთო საქმეს" უღალატა ამერიკელმა კომპანიონმა.

მით უფრო მეტი გააფთრებით იბრძოლებენ ჩვენს წინააღმდეგ ნავთის მაგნატები ინგლისში, მით უფრო ძლიერი იქნება მათი ზეგავლენა მთავრობაზე, პრესაზე და საზოგადოებრივ აზრზე და მით მეტი დაჟინებით შეეცდებიან ისინი ომის გამოწვევას, რაც ერთად-ერთი საშუალებაა, რომელიც მათ დარჩენიათ ოქტომბრის მიერ ჩამორთმეული ნავთის სიმდიდრეების დასაბრუნებლად.

სერ ჰენრი დეტერდინგს სწყურია კავკასიის ნავთი. მისტერ ჩემბერლენი სწყვეტს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ტომასი და პერსელი პროვოკაციული გზით ხელს უწყობენ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას. სოციალ-დემოკრატიული პრესა თავდავიწყებით ღმუის „წითელ იმპერიალიზმის" შესახებ. ასე იწერება ისტორია.

ი. გ.

კაპიტალიზმის შავ ჯურღმულებში

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

თითქო ეს თავისთავად იგულისხმება, რომ ინგლისს ყოველმხრივ უპირველესი ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ სისტემაში! თუ ვინმეს ამაში ეჭვი შეეპარება, მან უნდა მოისმინოს რომელიმე ინგლისელი ორატორი ან პოლიტიკოსი.

ინგლისი უპირველესი, სანიმუშო, ზეცივილიზაციური ქვეყანაა, მას არც რაიმე მანკი აქვს, არც რაიმე ნაკლი. კაპიტალისტურმა სისტემამ აქ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. აქ არის ნამდვილი კაპიტალისტური სამოთხე!

ზერელე მეთვალყურეს, რომელიც ლონდონის ან დიდ პროვინციული ქალაქის ქუჩებს დაივლის, ყოველივე წესიერად, სრულყოფილათ ეჩვენება. თეატრები და სინემატოგრაფები სავსეა მაყურებლებით, უამრავი ავტომობილი ბედნიერ ადამიანებს ატარებენ, აბრეშუმით და ელვარე ძვირფასი ქვებით გამოწყობილი ქალები სიამოვნების მისაღებათ მიიჩქარიან, მდიდარი მაღაზიები ველარ იტევენ გემოვნების და ფანტაზიის საგნებს! თვალში არ გეცემათ არც სიღარიბე, არც მათხოვრები!

უეჭველად ასეთია ის შთაბეჭდილება, რომელსაც ლონდონი, ლივერპული, ედინბურგი, ან შეიძლება კიდევ მეტათ, მხოლოდ უფრო ვიწრო ფარგლებში პროვინციის ქალაქები ან ზღვის ნაპირა კურორტები ახდენენ.

მაგრამ ამ ბრწყინვალე, მხიარულ ფასადს უკან, რომელსაც კაპიტალიზმი აშენებს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე, რამდენი გაჭირვება, ტანჯვა, სილატაკე იმალება! საჭირო არ არის დიდი ცნობის მოყვარეობა, რომ ეს ყოველივე დაინახო. გადაუხვიეთ მხოლოდ რომელიმე ამ ბრწყინვალე პროსპექტს, გადასდგით რამდენიმე ნაბიჯი, განვლეთ მეზობელი ქუჩა. ცოტაოდენი მანძილის შემდეგ დაინახავთ, რომ ბრწყინვალე დეკორაციის იქით საშინელი კულისები იმალება.

განაპირა უბნები ინგლისის დიდი ქალაქების ნამდვილი ბინძური ჯურღმულებია. იქ ცხოვრობს გულისშემზარავ პირობებში ბეჩავი მუშა მოსახლეობა. ზოგიერთი ქუჩა ნეაპოლის ბუნაგებს მოგვაგონებს, მხოლოდ აქაურ პროლეტარულ უბნებს იტალიური მზე აკლია.

რამდენი არ მინახავს ასეთი უბადრუკი უბანი, ჭუჭყიანი, უსინათლო, ვიწრო ქუჩებიან, ნახევრათ დაშლილი, ხავსმოკიდებული კედლებიანი სახლებით. და მინახავს არა მარტო ლონდონში, არამედ პროვინციაშიაც. მაგრამ ყველაზე შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ეს პროლეტარული უბნები უეჭველად გლაზგოში ახდენენ. ამ მხრივ ეს ქალაქი ყველა ინდუსტრიულ ცენტრს სჭარბობს. ეს გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას!

ერთს მშვენიერ დღეს, როცა გლაზგოდან ედინბურგისკენ მიმავალი ქუჩით გამოვდიოდი. შევჩერდი დაბალი უფანჯრო შენობების წინ, რომლებსაც გაშავებული კედლები და ჩანგრეული სახურავები ჰქონდათ. ეს სახლები საშუალო საუკუნეების ნაშთებს ჰგავდა, რომელიც თითქო კაპიტალიზმს განგებ შეენახა. რათა თავისი ტეხნიკის პროგრესი დაენახვებინა.

ღელეში ძონძებიანი ბავშვები თამაშობდნენ. სიღარიბით და სიმშილით დაბეჩავებული დედაკაცები გამოდიოდნენ ამ ქოხმახებიდან.

მაგრამ ნამდვილათ ეს იყო არა საშუალო საუკუნეების ნაშთი, არამედ მუშათა უბანი, მჭიდროთ დასახლებული და, როგორც ჩემმა ამხანაგმა მითხრა, დიდათ შემოსავლიანიც მესაკუთრეებისათვის.

არ იფიქროთ, რომ ვაჭარბებ.

აი ამონაწერი შოტლანდიის ჰიგიენის ბიუროს ოფიციალური მოხსენებიდან, რომელიც გლაზგოს მუშათა უბნების მდგომარეობის შესახებ იყო დაწერილი:

„შენობათა უმრავლესობა სრულიად ბნელია. ბინადრები იძულებულნი არიან ზამთარ-ზაფხულ, დღისით და ღამით სინათლე აანთონ. არც ერთს სახლს ფეხსა-[illegible] აქვს. [illegible] ჩამონგრეულია, [illegible] დახეთქილია და ალაგ-ალაგ ოთახებიდან ქუჩა სჩანს. სახლები სავსეა მწერებით. ესაა ტილების, რწყილების და ბაღლინჯოების საბრძანებელი: აქვე ბინადრობენ თაგვები, ვირთხები, ლოკოკინები, აბანოს ქიები და თვით ბაყაყებიც".

ეს ყოველივე დაწერილია შავი ასოებით თეთრ ქაღალდზე ინგლისის ზეცივილიზაციური სახელმწიფოს მატიანეში. საჭიროა ამ შემაძრწუნებელი დეტალების ცოდნა. საჭიროა, რომ უცხოეთში წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ყოველდღიურ პროზაზე, რომელიც იმალება უაღრესათ განვითარებული კაპიტალიზმის ბრწყინვალე და ზვიად ფასადის უკან. საჭიროა იმ ორპირობის გამოაშკარავება, რომელიც ინგლისს ადამიანთა ტომის სამოთხეთ აცხადებს და ნიმუშათ თვალ წინ უყენებს სხვა ერებს.

ჰ. დავიდ.

ლონდონი, 10 ივლისი.

ინგლის-ამერიკის ბრძოლა საბჭოთა ნავთისათვის

როკფელერის ნავთის ტრესტის „სტანდარტ ოილ"-ის ორმაგი პოლიტიკა

„სტანდარტ ოილ"-ის ერთი განყოფილება ვაჭრობს საბჭოთა ნავთის პროდუქტებით

მეორე განყოფილება ვითომ მხარს უჭერს ინგლისის ნავთის მრეწველებს

ინგლისის ნავთის ტრესტი „როიალ დეჩ" უკმაყოფილოა, რომ ამერიკა ვაჭრობს საბჭ. ნავთის პროდუქტებით

შელის და კომპ. განცხადება

ლონდონი, 25 ივლისი. სავაჭრო-სატრანსპორტო კომპანია შელმა, რომელიც დაკავშირებულია „როიალ დეტჩშელ"-თან, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც უერთდება მის მეტოქე კომპანიის „სტანდარტ ოილ კომპანი"-ს განცხადებას „ნიუ ჯერსი"-ში საბჭოთა ნავთის ბოიკოტის შესახებ და მოუწოდებს საზოგადოებას გაერთიანდეს, რათა ბოლო მოეღოს საბჭოთა კამპანიას, რომელიც „სცდილობს ვაჭრობის დანგრევას და საცხოვრებელი დონის შემცირებას სხვა ქვეყნებში". (ადს).

საერთაშორისო მასშტაბის კონფლიქტი

ლონდონი, 25 ივლისი. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", „სტანდარდ ოილ კომპანის" და „ვაკუუმ ოილ კომპანი"-სთან ახლო მდგომი წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ამხილებს „სტანდარდ ოილ კომპანის" განცხადებებისა და პროტესტების არაგულწრფელობას. გაზეთები ამტკიცებენ, რომ „სტანდარდ ოილ ნიუ-ჯერსი", „როიალ დეტჩ"-თან (ინგლის-ჰოლანდიის ნავთის ტრესტი, რომელშიაც უმთავრესი გავლენა აქვს ინგლისის კაპიტალს) ერთად სცდილობდა საბჭოთა ნავთის პროდუქტების მიღებას.

„ვაკუუმ ოილი" უპასუხებს რა „სტანდარდ ოილ"-ის ბრალდებებს და განაცხადა, რომ საბჭოთა ნავთის პროდუქტების ყიდვა არის არაპატრიოტული აქტი, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა ნავთის პროდუქტების კონკურენციას ამერიკის ნავთის პროდუქტებთან, — აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნავთის პროდუქტები ნაწილდება ახლო-აღმოსავლეთში და ეგვიპტეში, სადაც ამერიკის ნავთი მას არ უწევს კონკურენციას.

კონფლიქტი ნავთის სამი კომპანიის შორის, რომელნიც ერთნაირად არიან დამოკიდებული როკფელერის კაპიტალისაგან, გამოხატავს საერთაშორისო მასშტაბის კონფლიქტს და ბრძოლას ბაზრებისა და ნავთის გასაღებისათვის.

„სტანდარდ ოილ ნიუ ჯერსი" — როკფელერის ჯგუფის უდიდესი ორგანიზაცია, უკვე რამოდენიმე წელიწადია თანამშრომლობს „როიალ დეტჩ"-თან და სცდილობს მიაღწიოს მსოფლიო ბაზრების განაწილებას. „როიალ დეტჩი" და „სტანდარდ ოილ ნი უჯერსი" სცდილობდენ დაედოთ ხელშეკრულებანი საბჭოთა ნავთის პროდუქტების შესაძენად, რათა ხელში ჩაეგდოთ ნავთის გაყიდვის მონოპოლია და ჰქონოდათ საბჭოთა პროდუქციის შეზღუდვის შესაძლებლობა.

როცა სასურველ პირობებს ვერ მიაღწიეს, ორთავე კომპანია შეთანხმდა იმაში, რომ ბოიკოტი გამოეცხადებინათ საბჭოთა ნავთისათვის, ამ შეთანხმებას მიზნად ჰქონდა არ დაეშვა ის, რომ ერთ რომელიმე მხარეს დაეჭირა უპირატესი მდგომარეობა. ერთ და იმავე დროს ორივე კომპანია სცდილობდა ევროპის ბაზრების შემდგომ მონოპოლიზაციას. ხმების მიხედვით, კომპანიებს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება ესპანეთის და ევროპის სხვა უმთავრესი ბაზრების კონტროლისათვის.

ტიგლ - დეტერდინგის მოლაპარაკება

ლონდონი, 25 ივლისი. „სტანდარდ ოილ ნიუ ჯერსში"-ს თავმჯდომარე ტიგლი ამას წინად გაემგზავრა ევროპაში „როიალ დეტჩის"-ს მეთაურ დეტერ დინგთან შემდგომი მოლაპარაკებისათვის. ამ დროს გამოქვეყნებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ „სტანდარდ ოილ კომპანი ნიუ-იორკში"-მ და „ვაკუუმ ოილი კომპანი"-მ დასდეს ხელშეკრულება საბჭოთა ნავთის ყიდვის შესახებ. დეტერდინგმა ბრალი დასდო სტანდარდ ოილ ნიუ-იორკში"-ს იმაში, რომ მან დაარღვია საბჭოთა ნავთის ბოიკოტი. დეტერდინგი დაემუქრა ევროპაში ნავთის გარშემო ბრძოლის გამოცხადებითაც კი და მოითხოვა, რომ ტიგლს მხარი დაეჭირა საბჭოთა ნავთის ბოიკოტისათვის.

ამ მოთხოვნილების საპასუხოდ ტიგლმა ევროპაში გამგზავრების წინ მოამზადა განცხადება, რომელიც ფაქტიურად ნაკარნახევი იყო დეტერდინგის მიერ; ამ განცხადებაში მან ხაზი გაუსვა „სტანდარდ ოილ კომპანი ნიუ-ჯერსში"-ს „მორალურ და პატრიოტულ" მისწრაფებებს და ამგვარად გამიჯნა მასთან არაპირდაპირ დაკავშირებული „სტანდარდ ოილ ნიუ-იორკში" და „ვაკუუმ ოილი". ტიგლმა ეს განცხადება ალბად გამოაქვეყნა ისე, რომ არ შეეკითხა „სტანდარდ ოილ ნიუ-იორკში"-ს და ვაკუუმ ოილი"-ს დირექტორებს, რომელნიც აღშფოთდენ მათზე თავდასხმებით იმ მეტად ხელსაყრელი ხელშეკრულებების გამო, რომელნიც ამას წინად დაიდო საბჭოთა ნავთის ყიდვის შესახებ.

„სტანდარდ ოილი"-ს ორმაგი დაზღვევა

ლონდონი, 25 ივლისი. ამერიკის საქმიან წრეებში დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს კონფლიქტის განვითარებას. შექმნილი მდგომარეობა ააშკარავებს შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა სარგებლიანობას, რომელნიც გამოტანილ იქნა ტრესტ „სტანდარდ ოილ"-ის „დაშლის" შესახებ, იმის გამო, რომ მან დაარღვია ტრესტების შესახებ გამოცემული კანონი.

ამჟამად ტრესტი ლეგალურად არის გაყოფილი რამოდენიმე კომპანიად, როგორიცაა კომპანიები ნიუ-ჯერსში, ნიუ-იორკში, „ვაკუუმი" და სხვ., რაც საშუალებას აძლევს ერთ ჯგუფს დასდოს დეტერდინგთან მეგობრული შეთანხმება ევროპის ბაზრების გაყოფის შესახებ, მეორე კი — შეისყიდოს საბჭოთა ნავთის პროდუქტები, რომ ამით ზიანი მიაყენოს ინგლისის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში და ეგვიპტეში. სწორედ ამნაირადვე „ნიუ-ჯერსის სტანდარდ ოილ"-მა რევოლიუციის შემდეგ შეისყიდა ნობელის სამფლობელოების აქციები, მაშინ, როდესაც „ნიუ-იორკის სტანდარდ ოილი" ყიდულობს საბჭოთა ნავთის პროდუქტებს. ამგვარად, სტანდარდ ოილ"-ი ორმაგად იზღვევს თავს ინგლისელ კონკურენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ხელში ჩაიგდონ საბჭოთა ნავთი.

მაშინ, როდესაც „ნიუ-ჯერსის სტანდარდ ოილი" გამოდის განცხადებით, რომ ის „მორალური მოსაზრებებით" უარს აცხადებს იქონიოს საქმე საბჭოთა კავშირთან, **აივი ლი** (როკფელერის პროპაგანდის ხელმძღვანელი პრესაში), **რომელიც დიდი ხანი არაა რაც დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, გულდამჯერებით განაგრძობს კამპანიას საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ, ხაზს უსვამს ამ ურთიერთობის ხელსაყრელობას და ებრძვის დეტერდინგს, რომელიც ამერიკულ პრესაში გამუდმებით აწარმოებს პროპაგანდას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იძლევა გაფრთხილებას საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგ.** (ადს).

უელის პასუხი ტიგლს

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. „ვაკუუმ ოილ კომპანი"-ს თავმჯდომარე უელი, ეხება რა ტიგლის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ნავთის პროდუქტების შესყიდვა „წარმოადგენს არაპატრიოტულ აქტს", რომელსაც ზიანი მოაქვს ამერიკელ მრეწველებისათვის, აღნიშნავს, რომ „ვაკუუმი" ყიდულობს საბჭოთა ნავთის პროდუქტებს არა იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიოს ამერიკელ მრეწველებს. უელი შემდეგ აცხადებს, რომ „ვაკუუმი" შეისყიდის საბჭოთა ნავთის პროდუქტებს იმ ბაზრებისათვის, რომელთა მომარაგების ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, მანამდე, სანამ ეს პროდუქტები მოწოდებული იქნებიან დამაკმაყოფილებელ პირობებში და დამაკმაყოფილებელი ღირსებითაც.

შემდეგ უელი აცხადებს, რომ სწორედ „ნიუ-იორკის სტანდარდ ოილ კომპანი" და „ვაკუუმ ოილ კომპანი" იყვნენ ის ერთად ერთი ამერიკული კომპანიები, რომლებსაც რევოლიუციამდე ქონება ჰქონდათ საბჭოთა კავშირში; მაშასადამე „ისინი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული არიან კომპენსაციის მიღებაში".

„ჩვენ იმედი გვაქვს — ნათქვამია განცხადებაში,— რომ შესაფერ მომენტში დავიწყებთ მოლაპარაკებას კომპენსაციის შესახებ დამაკმაყოფილებელ პირობებში, **მაგრამ ეს საკითხი ვაჭრო. ურთიერთობის განვითარების წინ მოუკიდებლად საკითხისა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ".**

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ი იუწყება, რომ ტიგლი მიემგზავრება ევროპაში, სადაც ის იქონიებს თათბირს დეტერდინგთან „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილ კომპანი"-ს და „როიალ დეტჩ"-ის შეთანხმებულ მოქმედების შესახებ „ნიუ-იორკის სტანდარდ ოილ კომპანი"-ს წინააღმდეგ.

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა სწერს გაზეთი,— რომ გაძლიერებული იქნება ანტი-საბჭოთა კამპანია იმ ოლქებში, რომლებიც იმყოფებოდენ „ნიუ-იორკის სტანდარდ ოილ კომპანი"-ს და „ვაკუუმ ოილ კომპანის" კონტროლის ქვეშ.

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ როკფელერს, რომელიც კონტროლს უწევს სამივე კომპანიას, შეუძლია ბოლო მოუღოს დავას, მაგრამ ჯერჯერობით არ ერევა კონფლიქტში.

ინგლისის პრესის გამოძახილი

ლონდონი, 25 ივლისი. ზოგიერთი გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ ცნობებს კონფლიქტის შესახებ „ნიუ-ჯერსის სტანდარდ ოილ"-ის და „ნიუ-იორკის სტანდარდ ოილ"-ის შორის.

გაზეთების ნაწილს მოჰყავთ ის საუბარი ჰენრი დეტერდინგთან, რომელიც გამოქვეყნებული იყო ამსტერდამის გაზეთ „ტელეგრაფ"-ში.

„დეილი-მეილი", ესალმება დეტერდინგის განცხადებას და სწერს: „მოპარულ ნავთით ვაჭრობის მომხრენი უადვილებენ ბოლშევიკებს იმის გამოცხადებას ყველა განათლებულ სახელმწიფოების წინააღმდეგ".

სააგენტო „იუნაიტედ პრეს"-ის ცნობაში ნიუ-იორკიდან მოჰყავს დეტერდინგის შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ „ნიუ-იორკის სტანდარტ —ოილ" კომპანიამ ვერ შესძლოს გაჰყიდოს ეს ნავთი, რომელიც ჩამორთმეულია მის კანონიერ მფლობელთ"; ინგლისის ინდოეთში და სხვა რაიონებში, რომლებზედაც ჩვენი გავლენა ვრცელდება". (ადს).

„ჟურნალ ოფ კომერს"-ი საბჭოთა ნავთის შესახებ

ნიუ-იორკი. 25 ივლისი. „ჯორნალ ოფ კომერს" აქვეყნებს წერილს, რომელშიაც გამოდის საბჭოთა ნავთის ყიდვის მომხრედ. ამერიკის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნების და ნავთით მოვაჭრე კომპანიების მოთხოვნილებანი აღემატება ამერიკის ნავთის მრეწველობის კომპანიების პროდუქციას. მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამერიკის კამპანიებმა აანაზღაურონ ეს დანაკლისი უცხოეთის წყაროებიდან.

კერძო სარგებლობის მოსაზრებანი, ისე როგორც სახელმწიფოებრივი ინტერესები, მოითხოვენ; რომ რუსეთის ნავთმა მიაღწიოს ამერიკის ბაზარს.

„უოლსტრიტ ჯორნალ"-ი ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში სწერს:

„კამპანია „როიალ დეტჩ"-ი 1922 წელში იყო საბჭოთა ნავთის პირველი შემსყიდველი. ამ კამპანიას, რომელიც ამჟამად ილაშქრებს საბჭოთა ნავთის შესყიდვის წინააღმდეგ; ახლო აღმოსავლეთში აქვს საკუთარი ნავთიანი რაიონები".

უარყოფს რა დეტერდინგის მიერ მოყვანილ „მორალურ ხასიათის მოსაზრებებს" საბჭოთა ნავთის სყიდვის წინააღმდეგ, გაზეთი სწერს:

„როიალ დეტჩ შელ"-ი და „სტანდარტ ოილ"-ი წარსულ წელში აპირებდენ შეთანხმების დადებას საბჭოთა ნავთის სყიდვის შესახებ. მოლაპარაკება არ დასრულდა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი უთხრა ინგლისელებს ნავთის ექსპორტის მონოპოლიის მიცემაზე". (ადს).

„როიალ-დეტჩ" მიმართავს ჰოლანდიის ხალხს

ბერლინი. 25 ივლისი. „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილ კამპანის" და „როიალ-დეტჩ შელ"-ის კამპანიების განცხადებებთან დაკავშირებით უკანასკნელი დირექტივა აქვეყნებს გაზეთებში „მოწოდებას ჰოლანდიის ხალხისადმი" და მოუწოდებს მას „შეუწყოს ხელი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას". (ადს).

კოტი და ნავთის სუნი

პარიზი. 25 ივლისი. „ფიგარო"-ში დაბეჭდილია სენატორ კოტის წერილი; რომელიც სასტიკად ილაშქრებს სენატორ ბორას წინააღმდეგ იმის გამო, რომ უკანასკნელმა გამოსთქვა მოსაზრება ამერიკის შრომის ფედერაციის მიერ საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოდ.

ეხება რა შემდეგ საბჭოთა ნავთით ვაჭრობის საკითხს; კოტი აცხადებს; რომ საბჭოების შეთანხმების გამო „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ კომპანი"-სთან და „ვაკუუმ ოილ კომპანი"-სთან ირღვევა ანტისაბჭოთა ბლოკადის ფრონტი". (ადს).

გომინდანი კავშირს სწყვეტს რევოლიუციასთან

გომინდანის პოლიტბიუროს რეზოლიუცია კომუნისტებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ

ფინ-იუი-სიანი შუამავლის როლში ნანკინსა და უხანს შორის

ფინ-იუი-სიანის არმიის შეტევა პეკინზე.—ტამინის აღება

გომინდანი კავშირს სწყვეტს კომუნისტებთან

ხანკოუ, 25 ივლისი. ჩინეთის კომპარტიის დეკლარაციამ და სუნ-ძინ-ლინის (სუნ იატ-სენის ქვრივის) განცხადებამ ერთგვარი აღშფოთება გამოიწვია გომინდანის უხანელ ხელმძღვანელებს შორის. მაგრამ ისინი არა თუ არ დარჩენ თავის ძველ პოზიციაზე, არამედ პირიქით, მიდრეკილება აქვთ კიდევ უფრო მეტი გადამჭრელი ზომები მიიღონ. მიუხედავად ყველა მიღებული ზომებისა, კომპარტიის დეკლარაცია და სუნ ძინ ლინის განცხადება გავრცელდა ფართო წრეებში.

კომპარტიის დეკლარაცია ჯერ პრესაში არ გამოქვეყნებულა. **სუნ ძინ-ლინის განცხადების დაბეჭდვისათვის ზოგიერთი გაზეთები დახურეს, ზოგიერთებს კონფისკაცია უყვეს.** უცხოეთის გაზეთებმა, რომლებიც ხანკოუში გამოდიან, ეს განცხადება უკომენტარიოდ მოათავსეს. **კომპარტიის დეკლარაციის საპასუხოდ გამოქვეყნებულია გომინდანის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის ცნობა, კომუნისტებთან ფაქტიურად კავშირის გაწყვეტის შესახებ.** (ადს).

ფინ-იუი-სიანი შუამავლის როლში უხანსა და ნანკინს შორის

შანხაი, 25 ივლისი. ეროვნულ დეპეშათა სააგენტოს ცნობით ხანკოუში მიღებულია ფინ-იუი-სიანის დეპეშა წინადადებით; რომ კაიფინში მოწვეულ იქნას უხანის და ნანკინის დელეგატების კონფერენცია. ეროვნულ სააგენტოს სიტყვით; **ფინ-იუი-სიანის წინადადება უარყოფილი იქნება უხანის მთავრობის მიერ.** (ადს).

შეტევა პეკინზე

პეკინი, 25 ივლისი. „ჩენ ბაო"-ს ცნობით, ფინ-იუი-სიანის გენერალმა ფან-ჩუან-ფუმ აიღო ტამინი ჩჟილის პროვინციაში 80 კილომეტრის მანძილზე პეკინ ხანკოუს რკინის გზის ხაზიდან. (ადს).

იჩქარიან „ალაგმონ" კომუნისტები

ხანკოუ, 25 ივლისი. კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ გრძელდება. გაზეთები ათავსებენ კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ მკაცრ წერილებს.

„მინ-ბაო" წერილში, სათაურით „იჩქარეთ კომუნისტების ალაგმვად", ამტკიცებს, რომ სუნ-იატ-სენი ყოველთვის წინააღმდეგი იყო მარქსისტული მეთოდების გამოყენებისა ჩინეთში, გაზეთი აღნიშნავს გომინდანის ხელში ხელისუფლების ცენტრალიზაციის აუცილებლობას.

„სინ-ვენ-ბაო", უკეთებს რა კომენტარიებს ბუხარინის წერილს ჩინეთის რევოლიუციის შესახებ, მოთავსებულს „პრავდა"-ში; ჩერდება ბუხარინის მტკიცებაზე; რომ კომუნისტებმა აუცილებლად უნდა გამოვიდენ უხანის მთავრობიდან, მაგრამ დარჩენ გომინდანში. გაზეთი ასეთ პოლიტიკას უწოდებს „არა გულწრფელს და ორპირულს" და მოითხოვს კომუნისტებთან კავშირის სრულიად გაწყვეტას, რომ „შენარჩუნებულ იქნეს გომინდანის მთლიანობა".

მთავრობიდან გასულ კომუნისტ-მინისტრების ადგილზე ნაციონალურმა მთავრობამ უკვე დანიშნა ახალი მინისტრები.

სიუ-ჩაო-ჩენის მაგიერ **შრომის მინისტრად დანიშნა გომინდანის ცეკას წევრი ვან-ფა-ჩინი.** მიწათმოქმედების მინისტრის მოვალეობის დროებითი აღმასრულებლად დანიშნა **ჩან ჩი-ვეი.** ხუბეის მთავრობაში შემავალი კომუნისტები და მემარცხენე გომინდანელები შეცვალენ გომინდანის ცეკას მომხრეებით. (ადს).

სუნჯოუ აიღეს შანდუნელებმა?

შანხაი, 25 ივლისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, შანდუნის პროვინციის სამოქალაქო გუბერნატორმა პეკინს აცნობა, რომ შანდუნის არმიამ—გენერალ სუიან-გუს ჯარებმა 24 ივლისს აიღეს სიუ-ჯოუ.

ეს ცნობა არაა შემოწმებული და გამომდინარეობს იაპონიის წყაროებიდან, რომელნიც უკანასკნელ ხანებში სცდილობენ გაზვიადონ ნანკინის არმიის დამარცხება შანდუნში, რათა მიაღწიონ კომპრომისის ან ზავის დადებას ჩან-კაი-შის და ჩან-ძო-ლინის შორის. (ადს).

„ჩაინა კურიერი" უარყოფს

შანხაი. 25 ივლისი. მემარჯვენე გომინდანელების ორგანო „ჩაინა კურიერ"-ი კატეგორიულად უარყოფს ცნობებს ნანკინის ჯარების დამარცხების შესახებ შანდუნში და კერძოდ ცნობებს ხაი ჩჟოუსა და სიუ-ჩჟოუს აღების შესახებ. გაზეთი ამ ხმებს უწოდებს „პეკინის პროპაგანდას; რომელსაც დიდი ხალისით ავრცელებენ უცხოეთის კორესპონდენტები" (ადს).

ნანკინის ჯარების დამარცხება

შანხაი, 25 ივლისი. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩჟან-ძუნ-ჩანმა სიუჯოუფეს რაიონში დაამარცხა ნანკინის ჯარები.

იაპონიის სააგენტო „ტოხო" იუწყება, რომ მუკდენის ჯარებმა აიღეს ხაიჯოუ. პეკინის ცნობები იუწყებიან, რომ ანგოძიუნის შტაბმა ჩჟან-ძუნ-ჩანს მისცა ბრძანება, რომ სიუჯოუსის აღების შემდეგ შესწყვიტოს შეტევა და მოუცადოს საზავო მოლაპარაკების შედეგებს.

აგიტაციამ გასჭრა

შანხაი, 25 ივლისი. ინგლისის ჯარების ორი პოლკი შანხაიდან ინდოეთში გაიგზავნა. ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ ევაკუაცია გამოწვეულია ამ ბოლო დროს ინდოელ ჯარებში აგიტაციის გაძლიერებით. (ადს).

დროებითი ზავი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის?

შანხაი. 25 ივლისი. ჩან-კაი-შის და ენ-სიშანის წარმომადგენლები ამჟამად იმყოფებიან პეკინში. მაგრამ დროებითი ზავის შესაძლებლობა ძლიერ საეჭვოა ხანკოუში მდგომარეობის შეცვლის გამო და იმის გამოც; რომ ფინ-იუი-სიანი სცდილობს ნანკინის და უხანის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას. (ადს).

გერმანიის გემების დაკავება შანხაიში

შანხაი, 25 ივლისი. **ჩინურმა სამხედრო ხელისუფლებამ შანხაიში დააკავა სამი გერმანული გემი.**

გავრცელებულ ხმების მიხედვით, გემები დაკავებულია ნანკინის მთავრობის განკარგულებით. ერთი ვერსიის თანახმად ერთ-ერთი გემი დააკავეს იმიტომ, რომ ის თითქოს, მოვიდა ხანკოუდან, გაჩერდა „სოვტორგფლოტის" მიერ დაქირავებულ გემთან და დაიწყო ტვირთის გადატვირთვა მეზობელ გემზე.

ამ ვერსიის მიხედვით, ჩინურ ხელისუფლებას დაებადა ეჭვი, რომ ამ გემით ხანკოუდან მოვიდა ბოროდინი. მეორე ვერსიით კი გემი დაკავებულია იმიტომ, რომ მას თითქოს, მუკდენელებისათვის მიჰქონდა სამხედრო მასალა. (ადს).

იაპონიის საქონლის ბოიკოტი შეწყვეტილია

შანხაი, 25 ივლისი. გრძელდება ბრძოლას სეტლმენტის მუნიციპ. საბჭოსა და იმ ჩინელ მოქალაქეებს შორის, რომლებიც გადასახადებს იხდიან. 24 ივლისს მუნიციპალურმა საბჭომ დაკეტა 12 ჩინური დუქანი. ინგლისურ გაზეთების საბირჟო ანგარიშების მიხედვით, ჩინეთის მსხვილმა ფირმებმა უკვე შესწყვიტეს იაპონიის საქონლის ბოიკოტი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზ" იუწყება, რომ იაპონური ფირმები თავისუფლად ჰყიდიან ქსოვილებს და საფეიქრო ნაწარმოებს. (ადს).

განხეთქილება გომინდანის განყოფილებებში

შანხაი, 25 ივლისი. „მინგო-ში-ბაო" იუწყება **განხეთქილების შესახებ გომინდანი მრავალ საზღვარ-გარეთელ განყოფილებებში, კერძოთ კი ფილიპინზე, კუბაზე და სან-ფრანცისკოში. ამ ორგანიზაციების მთელი რიგი წევრები ილაშქრებენ ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ და ემხრობიან კომუნისტებს.**

შემდეგ გაზეთი იტყობინება, რომ „გომინდანის ცეკამ დაადგინა განდევნოს პარტიიდან ასეთი წევრები, დააპატიმროს და გადასცეს ისინი სასამართლოს". (ადს).

„გენლი"-ზე დაპატიმრებულნი

შანხაი. 25 ივლისი. გემ „გენლი"-ზე დაპატიმრებულ იაპონელი ჩინურმა ხელისუფლებამ გადასცა იაპონიის კონსულს. გავრცელდა ხმები; [illegible] ორი **ჩინელი; რომელნიც გემზე და[illegible]; სიკვდილით დასაჯეს.** (ადს).

სამრეწველო კრიზისი

იაპონიაში

ზომები მუშათა მღელვარების წინააღმდეგ

ტოკიო, 25 ივლისი. საფეიქრო მრეწველობის კრიზისის და ფირმა „კავასაკის" ლიკვიდაციის გამო, სამუშაოდან ითხოვენ 3.000 მუშას. სამუშაოდან დათხოვნის გამოცხადების დღეს პოლიციამ წინასწარ დააპატიმრა 20-მდე მოღვაწე. ოსაკაში და ტოკიოში დახურეს ფუჯის საფეიქრო ფაბრიკა. სამუშაოდან დაითხოვეს 1000-დე მუშა. პროფკავშირთა წარმომადგენლებმა კამპანიას პროტესტი განუცხადეს. მწარმოებლებმა შეაშინათ აგიტაციის და ფაბრიკაში მოამწყვდიეს 800 მუშა და არ მისცეს საშუალება აგიტატორებთან კავშირის დაჭერის. (ადს).

ტერორი ბულგარეთში

ტატარ-ბაზარჯიკი, (ბულგარეთშია) 25 ივლისი. დასრულდა 41 გლეხის და მუშის პროცესი, მათ ბრალდებოდათ კომპარტიის წევრობა. 6 ბრალდებულს მიუსაჯეს მოედანზე საჯაროთ ჩამოხრჩობა, ორს—ხუთმეტ-ხუთმეტი წლის ციხე, 16-ს—სხვადასხვა ვადით დაპატიმრება—საერთოდ 40 წლით თავისუფლების აღკვეცა, 17 ბრალდებული გამართლებულია. ბრალდებულმა ხალოვმა, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, განაჩენის გამოცხადების დროს წამოიძახა: „ძირს ფაშისტური იუსტიცია; გაუმარჯოს კომუნიზმს". (ადს).

ამერიკის სესხი გერმანიას

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. პრესის ცნობით, რეიხსბანკის დირექტორი შახტი, რომელმაც ამას წინად იმგზავრა ამერიკაში, შეუთანხმდა ამერიკის ფინანსიურ წრეებს რეიხსბანკისათვის მუდმივი კრედიტის მიცემის შესახებ არა უმცირეს 25 მილიონ დოლარისა. (ადს).

კავერდას არ შეუმსუბუქდება სასჯელი

ვარშავა, 25 ივლისი. პრეზიდენტმა უარყო სასამართლოს შუამდგომლობა კავერდასთვის სამუდამო ციხის 15 წლის დაპატიმრებით შეცვლის შესახებ.

თავის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა დაასაბუთა იმით, რომ კავერდამ მოჰკლა უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც წარმოგზავნილი იყო რესპუბლიკის პრეზიდენტთან. (ადს).

სპარსეთში

კონტრაქტი მილსპოსთან

თეირანი, 25 ივლისი. „შეფაგ-ე-სორგ" იუწყება, რომ შედგენილია საბოლოო პროექტი კონტრაქტისა საფინანსო მრჩეველ მილსპოსთან; ეს პროექტი რამოდენიმედ უფრო გაფართოებულია ფინანსთა სამინისტროს პირველ პროექტთან შედარებით. ფინანსთა სამინისტრომ დაავალა წერილობით აცნობოს ამის შესახებ მილსპოს და მოსთხოვოს მას პასუხი, რათა იმ შემთხვევაში, თუ ის უარს განაცხადებს, მეჯლისის გაშვებამდე საზაფხულო არდადეგებზე შესაძლებელი გახდეს სხვა მრჩეველის მოწვევა. (ადს)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვენის ამბოხების შემდეგ

მთავრობას ეშინია ახალი მღელვარების

ვენის გარე-უბანში მუშები თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს

პოლონეთის უფროსი შობერი მენშევიკების დამცველის როლში

მუშების აღშფოთება ჯერ არ შენელებულა

ვენა, 25 ივლისი. შაბათ საღამოს ვენის მუშათა უბანში ადგილი ჰქონდა ისეთ ინციდენტს, რომელიც ცხადჰყოფს, რომ მუშათა მასების აღშფოთება პოლიციის წინააღმდეგ, დღემდი არ შენელებულა. პოლიციას მოჰყავდა პატიმარი. როდესაც კი ამასთან ერთად მან მოინდომა ერთი მუშის დაპატიმრებაც. მუშების მასა თავს დაესხა პოლიციის საუბნო სამმართველოს, რომელიც გადაარჩინეს სასწრაფოთ გამოწვეული პოლიციის გაძლიერებული რაზმის საშუალებით. მუშათა მტრულ განწყობილებას პოლიციის მიმართ ადასტურებს შემდეგი ფაქტიც: კვირას ქალაქის საავადმყოფოში დაჭრილ ამხანაგების სანახავად მისულ მუშებს ისე მტრულად ეჭირათ თავი იქვე მყოფ დაჭრილ პოლიციელების მიმართ, რომ უკანასკნელები გაიქცენ საავადმყოფოს ხალათებით ამარა, უახლოეს უბნის პოლიციის სამმართველოში. (ადს).

ეშინიათ ახალი მღელვარების

ვენა, 25 ივლისი. მთავრობის მიერ მიღებულია სერიოზული ზომები წესრიგის დასაცავად 25 ივლისისათვის განზრახულ პარლამენტის სამგლოვიარო სხდომაზე. წარმოთქმულ იქნება სიტყვა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ. ქანდარაზე გარეშე ხალხი დაშვებული არ იქნება. (ადს).

„დაპირებაა“ განთავისუფლების შესახებ

ვენა, 25 ივლისი. სასამართლოს გამომძიებელმა აცნობა ამხ. პიკის დამცველს, რომ „ბრალდებათა“ უქონლობის გამო პიკი განთავისუფლებული იქნება უთავდებოთ და მას გერმანიაში გამგზავრების შესაძლებლობა მიეცემა.

კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიები გრძელდება

ვენა, 25 ივლისი. კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება. დაპატიმრებულია კიდევ ავსტრიის კომპარტიის 12 მუშაკი. (ადს).

„საგამომძიებლო კომისია“

ვენა, 25 ივლისი. ვენის მუნიციპალიტეტის სხდომაზე მიღებულია სოციალ-დემოკრატების წინადადება—მუნიციპალური საბჭოს საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის შესახებ, კომისია შესდგება 6 წევრისაგან. წინადადება გამოწვეულია იმით, რომ მთავრობამ უარი სთქვა საპარლამენტო კომისიის დანიშვნაზე. მიღებულია აგრეთვე ქრისტიან-სოციალისტების წინადადება, რომ გამოძიებული იქნეს აგრეთვე მუნიციპალიტეტის მოსამსახურეების მონაწილეობა გამოსვლებში. წინადადება სათემო პოლიციის დაუყოვნებლივ დაშლის შესახებ უარყოფილ იქნა.

საბჭოს სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა ბურგომისტრ ზეიცს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: „პარტია განაგრძობს კლასიურ ბრძოლას მორალური შთაგონების საშუალებით“. (ადს).

პოლიცია ამართლებს სოციალ-დემოკრატებს

ვენა, 25 ივლისი. ვენის პოლიციის უფროსმა შობერმა მისცა პრესის წარმომადგენლებს ინტერვიუ, რომელსაც სხვადასხვა წრეები აფასებენ როგორც დასტურს იმისა, რომ **მთავრობის და სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობს შეთანხმება.** შობერი ამ ინტერვიუში სცდილობდა გაემართლებია სოციალ-დემოკრატები და მთელს პასუხისმგებლობას მოხდარ სისხლისღვრამდი, აკისრებდა კომუნისტებს.

მან განაცხადა:

„ვენის მოსახლეობა განსაკუთრებით მუშები—ძლიერ მშვიდობიანათ არიან განწყობილი, მხოლოდ თუ ექსცესებს ჰქონდა ადგილი, ამის მიზეზია ის, რომ დემონსტრანტებს გამოსვლის დროს არ ჰყავდათ ხელმძღვანელები და ისინი გახდენ მსხვერპლი კომუნისტური აგიტატორების, რომლებმაც მოინდომეს აჯანყების მოხდენა“. (ადს).

ამხ. პიკი ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ

ვენა, 25 ივლისი. პიკი ჯერ კიდევ ციხეში იმყოფება. პიკის დამცველმა შენგოფმა განაცხადა, რომ პიკი გამოძიების ქვეშ იმყოფება და განთავისუფლებული იქნება, ალბათ, უთავდებოთ მიმდინარე კვირის განმავლობაში. (ადს).

ბაუერი ზეიპელთან

ვენა, 25 ივლისი. კვირას ზეიპელის კაბინეტში შესდგა თათბირი ზეიპელის და ბაუერის შორის. თათბირი გაგრძელდა ერთ საათს. იუწყებიან, რომ მოლაპარაკება ზეიპელსა და ბაუერს შორის გაგრძელდება. (ადს).

კულტურული ურთიერთობა საფრანგეთთან

მოსკოვი, 26 ივლისი. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირთან დაახლოების ფრანგულმა კომიტეტმა საპატივსაცემო ნადიმი გაუმართა აკადემიკოს ლაზარევს და საბჭოთა კავშირის სხვა მეცნიერებს, რომელნიც ამჟამად იმყოფებიან პარიზში. ნადიმს დაესწრენ საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერები, საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ამხ. რაკოვსკი. საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში— **ერბეტი,** აკადემიკი—**ლაზარევი,** პროფესორები: **პავლოვი, სმირნოვი კრილოვი** და სხ.

რამდენიმე დღის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საელჩომ საპასუხო ნადიმი გამართა, რომელსაც დაესწრო 30-ზე მეტი ფრანგი მეცნიერი. (ადს).

ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის კონფერენცია

ლონდონი, 25 ივლისი. რაუტპრორტეში (ლანკაშირი) გაიხსნა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის კონფერენცია. კონფერენციას თავმჯდომარეობს ჰერბერტ სმიტი (ფედერაციის თავმჯდომარე).

ადგილობრივი ფედერაციების და კავშირების მიერ შეტანილი რეზოლიუციები საერთოდ ცენტრალურ საკითხად აყენებენ საკითხს მაღაროებში რვა საათის სამუშაო დღის შემოღების, ფედერაციაში წევრად შესვლის და მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ.

მაგრამ მაინც ნათელია, რომ მთავარი საკითხები, რომელნიც განხილულ იქნება კონფერენციაზე, არის: ინგლისის მემაღაროეთა მთლიანი კავშირი, მემაღაროეთა ინგლის-რუსეთის კომიტეტი და კომპარტიის მიღება მუშათა პარტიაში.

ნოტინგამშირის მემაღაროეთა ფედერაციამ შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც ემხრობა მემაღაროეთა მთლიან კავშირს. მემაღაროეთა მთლიანი კავშირის სასარგებლოდ ამას წინად გამოსთქვა აზრი ლანკაშირის და შოტლანდიის მემაღაროეთა ფედერაციამ.

შოტლანდიის მემაღაროეთა ფედერაციამ შეიტანაა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს საჩქარო ზომების მიღებას ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის შექმნისათვის. ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის სასარგებლოდ გამოსთქვა აზრი აგრეთვე სამხრეთ უელსის მემაღაროეთა ფედერაციამ თავის ყოველწლიურ კონფერენციაზე.

რაც შეეხება კომპარტიისა და მუშათა პარტიის ურთიერთობის საკითხს, შოტლანდიის მემაღაროეთა ფედერაციამ შეიტანა ორი რეზოლიუცია: ერთი რეზოლიუცია მოითხოვს რეფერენდუმის ჩატარებას ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის წევრებს შორის შემდეგი საკითხის შესახებ: აქვთ თუ არა უფლება კომპარტიის წევრებს დაიჭირონ თანამდებობა მუშათა პარტიაში და დაინიშნონ არჩევნებში კანდიდატებად მუშათა პარტიიდან. მეორე რეზოლიუცია ამბობს, რომ ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის დელეგაციამ მუშათა პარტიის კონფერენციაზე უნდა მოითხოვოს კომპარტიის მიღება მუშათა პარტიაში. შოტლანდიის ფედერაციის გარდა, ლანკაშირის და სამხრეთ უელსის მემაღაროეთა ფედერაციამაც გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ემხრობა კომპარტიის მიღებას მუშათა პარტიაში. (ადს).

ორი მეფე რუმინეთში

კაროლმა თავი გამოაცხადა მეფედ

პარიზი, 25 ივლისი. რუმინეთის ტახტის ყოფილმა მემკვიდრემ, გარდაცვალებულ მეფე ფერდინანდის პირველმა შვილმა კაროლმა გამოაქვეყნა პრესაში განცხადება, რომელშიაც უწოდებს თავს რუმინეთის მეფეს და და აღნიშნავს, რომ მის მიერ ბუქარესტში გაგზავნილი დეპეშა, რომელშიაც ის ითხოვდა მეფის დაკრძალვაზე დასწრების ნებართვას, უპასუხოდ იქნა დატოვებული. (ადს)

პოლონეთის „სოციალისტურ“ პარტიის დეკლარაცია

ვარშავა, 25 ივლისი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკ“-ში გამოქვეყნებულია პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დეკლარაცია სეიმის სესიის დახურვის გამო. დეკლარაციაში ნათქვამია:

„მთავრობამ მოულოდნელად დაითხოვა სეიმის სესია იმ მომენტში, როდესაც სეიმმა დაიწყო მსჯელობა სერიოზულ საშინაო საკითხების შესახებ. დემოკრატია საფრთხეშია! საფრთხეშია მუშათა კლასის ყველა უფლებები და სოციალური მონაპოვარნი“.

დეკლარაცია მოუწოდებს მუშებს მზად იყონ ბრძოლისათვის და აცხადებს: „ნუ უგდებთ ყურს კომუნისტებს! გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის“!

საერთოდ დეკლარაცია შედგენილია ზომიერი კილოთი. ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის პოზიციის შერბილებას ხელი შეუწყო მთავრობის კრედიტებმა, რომლებიც დიდი ხანია არაა, რაც მიეცა პეპეესის კოოპერატივებს (ადს).

უკანასკნელი ცნობები

„შრომისა და კაპიტალის ერთიანი ფრონტი“

ბერლინი, 26 ივლისი. ვოლფის სააგენტო ავრცელებს, როგორც ეტყობა, ვაშინგტონიდან საიდუმლოთ მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ამერიკის სავაჭრო პალატის მკაცრი განცხადება, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირთან საქმიან კავშირის წინააღმდეგ, გამოიწვია გაცხოველებული გამოხმაურება ადგილობრივ პოლიტიკურ და სამეურნეო წრეებში. ზოგიერთი წრეები ფიქრობენ, რომ შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულებათა განვითარებაზე უარის თქმა ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენს ინგლისის მიერ ჟენევაში ამერიკის მიმართ გაკეთებულ დათმობებისათვის. დანარჩენ წრეების აზრით, თავის გამოსვლით ამერიკის სავაჭრო პალატა ცდილობდა ხაზი გაესვა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სრულიად ამერიკის შრომის ფედერაციის რეზოლიუციისათვის, რაიც ამერიკაში შექმნიდა „შრომისა და კაპიტალის ერთიანი ფრონტის“ ილიუზიას. სავაჭრო პალატაში დიდი გავლენით სარგებლობს გუვერი რის გამო ზოგიერთი ფინანსიური წრეები ფიქრობენ.რომ მთავრობაც უთანაგრძნობს პალატის განცხადებას. ამავე დროს სამეურნეო წრეები აღნიშნავენ, რომ ისინი მიუხედავათ სავაჭრო პალატის გამოსვლისა, შემდეგშიაც აწარმოებენ ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან.

ინგლისის სამთამადნო მუშათა კონფერენცია

ლონდონი, 26 ივლისი. ინგლისის სამთამადნო მუშათა სრულიად ინგლისის ფედერაციის ყრილობა სოუტპორტში გახსნა ფედერაციის თავმჯდომარე სმიტმა. მან აღნიშნა, რომ ორი წლის წინად ფედერაცია აერთიანებდა 800.000 მუშას, ხოლო ეხლა ეს რიცხვი შემცირდა. სამთამადნო მუშათა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წევრთა რიცხვი უნდა აიყვანონ 1 მილიონამდე. შეთანხმება სამთამადნო მუშათა სამუშაო ხელფასის შესახებ დამაკმაყოფილებელი იქნება მხოლოდ ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის შემდეგ. სმიტის აზრით, ყველა ქვეყნის სამთამადნო მუშები შესძლებენ გაერთიანებას მხოლოდ არსებული ინტერნაციონალის წესდების საფუძველზე. შემდეგ სმიტმა აღნიშნა მუშათა მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციების რაც შეიძლება ფართედ გამოყენების აუცილებლობა. სმიტის სიტყვის შემდეგ ყრილობამ დახურულ სხდომაზე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ის ავალებს ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს შეეცადოს ხუთდღიური სამუშაო კვირის დაწესებას ყველა სამთამადნო მუშებისათვის (ადს).

საუბარი ჩან-ძო-ლინთან

შანხაი, 25 ივლისი. ჩან-ცზო-ლინის ახლად დანიშნული მრჩეველი სიმ-პო-ონი აქვეყნებს პრესაში თავის შთაბეჭდილებებს ჩან-ცზო-ლინთან მისი პირველი საუბრის გამო.

„მე ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე— სწერს სინ-პო-ონი,—რომ უსარგებლოა ლაპარაკი კომპრომისების შესახებ ჩან-ცზო-ლინსა და ჩან - კაი-ში შორის; ვინაიდან ჩან ცზო-ლინს განზრახული აქვს იბრძოლოს ბოლომდე“.

სხვათა შორის ჩან-ცზო-ლინი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მას უმოქმედოდ ყავს გაჩერებული ჯარები შანხაიში. ჩან ცზო-ლინის სიტყვით ჩინეთის ეროვნული მოძრაობა არის ბოლშევიზმი, რომელიც სცდილობს ჩინეთიდან გადავიდეს ინდოეთში; რომ იქ მომაკვდავებელი ლახვარი ჩასცეს ინგლისს.

შემდეგ რა საბჭოთა საელჩოზე თავდასხმას, ჩან-ცზო-ლინმა სთქვა:

„მე დამარწმუნეს, რომ თუ მე საბჭოთა საელჩოში ვნახავდი სათანადო საბუთებს; ინგლისი დაიწყებდა მოქმედებას. მე დავბეჭდე დამამტკიცებელ საბუთების 17 ტომი; ჩვენ ვაგზავნით საბუთებს ინგლისურ თარგმნებს და ფოტოგრაფიებს; მაგრამ ინგლისი მაინც განაგრძობს უმოქმედოდ ყოფნას“. (ადს).

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობა

პარიზი, 26 ივლისი. გაიხსნა შრომის საყოველთაო კონფედერაციის (რეფორმისტული) ყრილობა (ადს).

კლეპიკოვას მიუსაჯეს დახვრეტა

ლენინგრადი, 26 ივლისი. უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა კრონშტადის სამხედრო-საზღვაო ტრიბუნალის დადგენილება კლეპიკოვას საქმეზე, რომელსაც მისჯილი ჰქონდა დახვრეტა. (ადს)

ჯალათს ამართლებენ

ვენა, 25 ივლისი. ქრისტიანულ - სოციალისტური პარტიის ცეკას და პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ბიუროს გაერთიანებულმა სხდომამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც ნდობას უცხადებს ზეიპელს. (ადს)

პარლამენტის დათხოვა

ვენა, 25 ივლისი. მემარცხენე სოციალ - დემოკრატების ორგანო — „აბენდ“-ი ადასტურებს გავრცელებულ ხმებს, რომლის მიხედვით **მთავრობას განზრახული აქვს პარლამენტის გაშვება.** (ადს)

ავსტრიის პარლამენტის სამგლოვიარო სხდომა

ვენა, 26 ივლისი. გუშინ გაიმართა ავსტრიის პარლამენტის სამგლოვიარო სხდომა. ქანდარები და დარბაზი სავსე იყო გადაცმული პოლიციელებით, სიტყვით გამოვიდა მარტო პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც მწუხარება გამოსთქვა უკანასკნელი ამბების მსხვერპლების გამო და მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილეებს „წესრიგის აღდგენაში“. (ადს)

ავსტრიის კომპარტიის ცეკას მიმართვა

ვენა, 26 ივლისი. ავსტრიის კომპარტიის ცეკამ ავსტრიის ყველა მშრომელთ მიმართა მოწოდებით, რომელსაც სათაურად აქვს: „მშრომელნო, გამოიტანეთ დასკვნა“. მოწოდება აყენებს შემდეგ ლოზუნგებს: ყველა ფაშისტურ ორგანიზაციების განიარაღება და დაშლა; მუშების შეიარაღება; პოლიციის გადაყვანა მუნიციპალიტეტის უწყებაში; ბრძოლა რეაქციის ეკონომიური და პოლიტიკური იერიშების წინააღმდეგ; უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით ყველა დაპატიმრებულთა განთავისუფლება; ზეიპელის მთავრობის გადადგომა; ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის.

მიმართვა თავდება მოწოდებით: „შექმენით მასიური რევოლიუციონური პარტია, შედით ლენინის პარტიაში!“ (ადს)

კამპანია უხანის წინააღმდეგ

შანხაი. 25 ივლისი. უკანასკნელ ხანებში ნანკინის პრესა აწარმოებს გაძლიერებულ კამპანიას უხანის წინააღმდეგ და ამზადებს საზოგადოებრივ აზრს ნანკინის და უხანის „აუცილებელ“ ომისათვის, რომელიც; ზოგიერთ ჩინურ გაზეთის ცნობების თანახმად; უკვე დაწყებულიცაა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეურნეო თანამშრომლობა

ბერლინი, 26 ივლისი. დღეს გამოვიდა „ინდუსტრი უნდ ჰანდელსცაიტუნგ“-ის სპეციალური ნომერი რომელიც შეიცავს ცნობილ საბჭოთა სამეურნეო მუშაკების წერილებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან საკითხებზე. გაზეთში მოთავსებულია კრესტინსკის და ბროკდორფ-რანცაუს (გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში) წერილები გერმანია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შესახებ.

„საბჭოთა და გერმანიის მრეწველობის თანამშრომლობა,—სწერს კრესტინსკი, — იძლევა იმედს; რომ ის მომავალში გახდება უდიდესი ფაქტორი მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის“.

ბროკდორფ-რანცაუ აღნიშნავს, რომ გერმანია-საბჭოთა სამეურნეო თანამშრომლობა ნაკარნახევია არა მარტო ორივე ქვეყნის ინტერესებით, არამედ იმითაც, რომ ის ამასთან ერთად ხელს უწყობს საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვას. „ორივე ქვეყნის მთავრობები, —სწერს ბროკდორფ-რანცაუ—ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომები; რათა ამ თანამშრომლობამ მიიღოს რაც შეიძლება ფართო ხასიათი“. (ადს).

ინგლისის პროტესტი

ლონდონი, 26 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ინგლისის ელჩს ვაშინგტონში გოვარდს დავალებული აქვს, „ამერიკის გაზეთების განუწყვეტელი ანტიინგლისური კამპანიის გამო“, განუცხადოს ენერგიული პროტესტი შეერთებული შტატების მთავრობას. (ადს).

ახალი კანონის წინააღმდეგ პროფკავშირების შესახებ

ლონდონი, 26 ივლისი. საფეიქრო მრეწველობის მუშათა გაერთიანებული კავშირის კონფერენციამ ბლეკპულში მიიღო რეზოლიუცია, სადაც მოითხოვს, რომ „კავშირმა ყველა ღონე იხმაროს, რათა არ გატარდეს ცხოვრებაში ახალი კანონი პროფკავშირების შესახებ“. (ადს)

პატეკი პოლონეთ-საბჭ. კავ. ურთიერთობის შესახებ

პატეკს „თან მოაქვს ოპტიმიზმი“

ვარშავა, 25 ივლისი. ოფიციოზი „ეპოქა“ აქვეყნებს საუბარს პატეკთან სადგურზე მოსკოვში გამგზავრების წინ.

გაზეთის თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მიაქვს პატეკს მოსკოვში, პატეკმა განაცხადა, რომ მას „თან მიაქვს ოპტიმიზმი“.

შემდეგ პატეკმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, გაკეთებულია ყველაფერი მოლაპარაკების განხილვისათვის საგარანტიო პაქტის დასადებად.

ვარშავა, 25 ივლისი. პატეკის მოსკოვში გამგზავრების გამო „გოლოს პრავდი“ სწერს:

„პატეკს თან მიაქვს გარკვეული ინსტრუქციები ვოიკოვის მკვლელობის გამო შექმნილ გამწვავებულ ურთიერთობის სალიკვიდაციოდ. ამის შემდეგ პატეკი განაგრძობს მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

გაზეთ „ნაშ შპეგლონდ“-ის თანამშრომელთან საუბარში პატეკმა განაცხადა:

„მივდივარ, რათა ადგილობრივ განვაგრძო მოლაპარაკება. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მწამს, რომ მოლაპარაკება გამოიღებს კეთილ ნაყოფს და მიღწეული იქნება შეთანხმება. ცოტაოდენი მოთმინება—და ყველაფერი კარგად დასრულდება“.

იგივე გაზეთი აქვეყნებს, როგორც გავრცელებულ ხმას, რომ პატეკს თან მიაქვს საპასუხო ნოტა“. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. ჩიჩერინმა მიიღო პატეკი

მოსკოვი, 26 ივლისი.24 ივლისს მოსკოვში დაბრუნდა პოლონეთის ელჩი პატეკი, რომელიც ამხ. ჩიჩერინმა მიიღო 25 ივლისს. (ადს).

ამერიკელი მეცნიერები მოსკოვში

მოსკოვი, 26 ივლისი. ჩამოვიდა ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფი, მათ შორის პროფესორები —დუგლასი და გეიჯი. ამ დღეებში ამერიკიდან საბჭოთა კავშირში ჩამოვა რამოდენიმე მეცნიერი - ეკონომისტი. ეს დელეგაცია გამოგზავნილია ამერიკის რკინის გზელთა კავშირისა და ამერიკის შრომის ფედერაციის წევრთა ცალკე ჯგუფების მიერ.

საბჭოთა კავშირი ასრულებს თავის ვალდებულებას

მოსკოვი, 26 ივლისი. ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ თავი იჩინა ეჭვმა,—შესძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი თავის დროზე დაფაროს თავისი დავალიანება ინგლისისა და სხვა ქვეყნებისადმი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, ყველა ჩვენი ფულადი ვალდებულება სრულდება და სრულდება ჩვენ მიერ თავის დროზე ასი პროცენტით, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ფირმებისა და ბანკებისადმი არსებული ყველა საბჭოთა ფულადი ვალდებულებათა ერთი მესამედი მოელოდა ივნისზე,—ყველა ეს ვალდებულებანი დაფარულია სავსებით თავის დროზე. საბჭოთა საქონლის ექსპორტის საზღვარგარეთ უცხოეთის ვალიუტის მიღებისა და საზღვარ გარეთ საჭირო საქონლის შესაძენად უცხოეთის ვალიუტის დახარჯვის გეგმა ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ნორმალურად სრულდება. (ადს)

საჰაერო ფლოტის ახალი ერთეულები

მოსკოვი, 26 ივლისი. 24 ივლისს მოსკოვის ცენტრალურ ჰაეროდრომზე ზეიმით იქნა გადაცემული წითელი საჰაერო ფლოტისათვის თვითმფრინავი „მოსკოვის მეღითონე“ და მსუბუქი ჰაეროპლანი ფელიქს ძერჟინსკი,“ „მოსკოვის მეღითონე“ აშენებულია ქ. მოსკოვის მუშა-მეღითონეთა ხარჯზე. ეს სამხედრო ბიპლანია და მთლიანად აშენებულია საბჭოთა ქარხნებში. მასზე დადგმული 400 ძალიანი მოტორიც საბჭოთა ქარხნების ნაწარმოებია. მსუბუქი ჰაეროპლანი „ფელიქს ძერჟინსკი“ ერთ ადგილიანი მონოპლანია, 18 ცხ. ძალის მოტორით, აშენებულია გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების უჯრედის მიერ. მსუბუქი ჰაეროპლანი აშენებულია ინჟინერ ჩერნიხოვსკის გეგმის მიხედვით. მისი სისწრაფე უდრის 120 კილომეტრს საათში და შეუწყვეტლივ ფრენა შეუძლია 3 საათის განმავლობაში. საფრენი მანქანების გადაცემას დაესწრნენ — ს. ს. კამენევი, სამხედრო - საჰაერო ძალების უფროსის მოადგილე — ალკსნისი, საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების გენერალური მდივანი ალექსინსკი, რ. ს. ფ. ს. რ. თავდაცვა - ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების გენერალური მდივანი ფელდმანი, მოსკოვის საბჭოს და მეღითონეთა პროფკავშირის წარმომადგენლები. (ადს) ,

ძორაგესის გახსნა

ერევანი, 26 ივლისი. **24 ივლისს, 6 ვერსის მანძილზე სადგ. კალაგერანიდან თბილის-ჯულფის გზაზე საფუძველი ჩაეყარა ძორაგეთის ჰიდროელექტრო სადგურს (ძორაგეს).**

საფუძვლის საზეიმო ჩაყრას დაესწრო მრავალი ათასი გლეხები, მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატები და მოწვეულები. მშრომელი მასები დიდის ზეიმით შეხვდნენ ელექტრო - გიგანტის აგებას, რომელიც თავისი მძლავრი ენერგიით (30.000 ცხენის ძალა) შესცვლის სომხეთის ეკონომიურ სტრუქტურას.

ზეიმი გაიხსნა სრულ 12 საათზე სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ამბარცუმიანის** სიტყვით,რომელმაც მოკლედ აღნიშნა ძორაგესის მნიშვნელობა სომხეთის ეკონომიური და კულტურული წარმატების თვალსაზრისით.

ამხ. ამბარცუმიანის სიტყვის შემდეგ ამ.-კავკ. ცაკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კასიანმა.**

ამხ. კასიანის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. **ორახელაშვილი,** რომელსაც 30.000 კაცისაგან შემდგარი მიტინგი ხანგრძლივი ოვაციებით ხვდება. ამხ. ორახელაშვილი ესალმება კრებას ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით:

ამხ. ორახელაშვილმა გამოსთქვა რწმენა, რომ ძორაგეთის ჰიდრო - ელსადგური გააძლიერებს სომხეთის ეკონომიურ ძალას, კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს სომხეთის მშრომელთა ბედ-იღბალს ამიერ-კავკასიის და მთელი კავშირის მშრომელთა ბედ-იღბალთან.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: სომხეთის კომპარტიის ცეკას და ცაკის სახელით სომხეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **კარინიანმა,** საქართველოს კომპარტიის ცეკას და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ამხ. **სტურუამ,** აზერბეიჯანის მშრომელთა სახელით — ამხ. **ბაგიროვმა** და აგრეთვე მუშების, ჯარის ნაწილების, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

საძირკვლის ჩაყრის შემდეგ სტუმრებისათვის ღია ცის ქვეშ გაიმართა ბანკეტი. (ადს)

ანტისაბჭოთა ყალბი საბუთების დამზადება

მოსკოვი, 26 ივლისი. „იზვესტია“-ში გამოქვეყნებულია ახალი მასალები ანტისაბჭოთა ყალბი საბუთების დამზადების კამპანიის შესახებ საზღვარ - გარეთ.

„ჩვენ, — სწერს „იზვესტია“, — ხელთ ჩაგვივარდა ახალი „გამოგონება“, რაც მოწმობს იმას, რომ ყალბი საბუთების დამზადება ვითარდება ძველებური ტემპით და რომ ამ ყალბი საბუთების წყაროს წარმოადგენს პარიზი.

მიმდინარე წლის ივნისში პარიზის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამოცხადდა ვინმე დიტში რომელმაც ზრდილობიანად შესთავაზა სრულუფლებიან წარმომადგენლობას საბჭოთა ყალბ საბუთების დამამზადებელ ჯგუფის გამოაშკარავება. უცნობი შეჰპირდა წარმომადგენლობას რამდენიმე დოკუმენტის მიყიდვას ამასთან დოკუმენტებში მოითხოვა 5.000 ფრანკი.

სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ საჭიროდ სცნო ეცნობებია პოლიციისათვის ამ ვაჟბატონისა და მისი შაიკის შესახებ. ამასთანავე მისთვის გადაცემული ბანკნოტები აღნიშნულ იქნა განსაკუთრებული ნიშნებით, ხოლო ბანკნოტების ნომრები ეცნობა პოლიციის კომისარს. მიუხედავათ ამისა, უკანასკნელმა ბევრად არ შეიწუხა თავი ბოროტმოქმედის დაპატიმრებისათვის, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელთა მხოლოდ დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ პოლიცია ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა დაეპატიმრებია ბოროტმოქმედი. დაპატიმრებული დიტში აღმოჩნდა ვინმე საღოვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ მასთან აღმოჩენილი დოკუმენტები პირადათ მის მიერ არის დამზადებული „სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მოტყუების“ მიზნით ირკვევა შემდეგი:

თურმე, ჯერ კიდევ წარსული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში პარიზში მოკალათებულა ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელი მოუკიდნია ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გასაღებისათვის. ამ დოკუმენტებს ისინი ადგენდენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დაწესებულებათა და პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით. ორგანიზაციას პირველ ხანებში სათავეში ედგა ვინმე მატიანიანი, ეროვნებით სომეხი, ვითომდა რამდენიმე წლის წინად ჩამოსული საფრანგეთში საბ. პასპორტით.მისი თანაშემწეები იყვნენ მიხეევი, რუევსკი და საღოვსკი. გარდა ამისა, ამ ბოროტმოქმედთა ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ვინმე ლაზარევი, რომელმაც, იცოდა უცხო ენები და ამავე დროს სარგებლობდა საწერ მანქანების ერთგვარი ბიუროთი, ის ასრულებდა ჯგუფის მთელს მიმდინარე მუშაობას. შემდეგ მათ მიჰყვებიან მთელი რიგი „მეორეხარისხოვანი მოღვაწეები“. მთელს მუშაობას ხელმძღვანელობდა წმინდა წყლის კონტრ - რევოლიუციონური ჯგუფი მონარქისტული ემიგრაციის წარმომადგენლის გენერალ კუტეპოვის და პოლკოვნიკ რიაზანოვის მეთაურობით.

„ორგანიზაციის“ მსხვერპლთა რიცხვში მოჰყვნენ ესპანეთის, იტალიის, ინგლისის, ჰოლანდიის, სამხრეთ - სლავიის რუმინეთის; მექსიკის, ჩილის, არგენტინის და პარაგვაის მისიები პარიზში. ყველაზე მეტად დაზარალდა ესპანეთის საელჩო, რომელმაც მითიურ „საბჭოთა საელჩოს კურიერსა“ და სხვა „გამოაშკარავებაში“ გადაიხადა არც მეტი, არც ნაკლები — 180.000 ფრანკი. ესპანეთის პარიზის საელჩოს ვინმე სპეციალურ აგენტთან, რომელიც თავის თავს „მუსიო ლუის“ უწოდებდა, ბოროტმოქმედთა მხრიდან გამოცხადდა ვინმე ქალი, რომელმაც [illegible] საბჭოთა საელჩოს სპეციალურ კურიერად“ და აღუთქვა მას, რომ ესპანელებს [illegible] საბჭოთა საელჩოს მდივნის [illegible] საფრანგეთის კომპარტიის ქალის სიუზანა ჟიროს ყალბ წერილებს. წერილებში, რომლებიც დაწერილი იყო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (პარიზში) ყალბ ბლანკებზე, ნათქვამი იყო, რომ სიუზანა ჟირო უნდა გაემგზავროს ესპანეთში იმდროს საფრანგეთში დაპატიმრებულ პოლკოვნიკ მასიას საქმეზე მოსალაპარაკებლად.

შემდეგ ვინმე მატიონიანმა, თავად არლუთინსკის სახელით, რომელიც ვითომდა მუშაობს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შტაბის კონტრ-დაზვერვის განყოფილებაში პარიზში, მიჰყიდა საელჩოს კომინტერნის აღმასკომის სხდომის ოქმის ასლი.

შემდეგ ბოროტმოქმედი რუევსკი იგზავნება იმავე საელჩოში და აცნობებს უკანასკნელს, რომ ერთ პირს, რომელიც მუშაობს, როგორც კომინტერნის მსხვილი აგენტი ესპანეთის საქმეებზე, შეუძლია მიაწოდოს საელჩოს დოკუმენტალური მასალები ორი ემისარის გაგზავნის შესახებ ესპანეთში. პრიმო - დე - რივერაზე თავდასხის მოსაწყობათ.

შემდეგ ესპანეთის საელჩო იღებს ცნობებს „ესპანეთის საქმეთა კომიტეტის“ მუშაობის შესახებ, რომელსაც თითქოს თანხებს აწვდის საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა პარიზში.

ჩნდება რაკოვსკის ყალბი მიწერ - მოწერა და ინსტრუქციები ამ კომიტეტის სახელზე, აგრეთვე ფართე მიწერ - მოწერა, რომელსაც თითქოს ვინმე სოლნცევი აწარმოებს რაკოვსკისთან, დავთიანთან, ფირუმოვთან, საბჭოთა კავშირის პარიზში არ არსებულ სამხედრო ატაშესთან ვოლკოვთან უკანასკნელის მდივანთან, ახევე არ არსებულ როსტოვცევთან, და მთელი რიგი სხვა დოკუმენტები.

საელჩოს წარედგინა, აგრეთვე, ანგარიშები საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პარიზში ხარჯზე ვითომდა იარაღის გატანის შესახებ ესპანეთსა და მაროკოში. გარდა ამისა საელჩოს აცნობეს იარაღის საიდუმლო საწყობის არსებობა ჩრდილოეთ ესპანეთში, ერთ რომელიღაც ეკლესიის მახლობლად. ამის შედეგად, ესპანეთის მთავრობა გზავნის სასაფლაოს გასათხრელად მესანგრეთა ბათალიონს, მაგრამ უკანასკნელი ვერაფერს ვერ პოულობს.

ყალბ საბუთების დამმზადებელთა ასეთი გაცხოველებული მუშაობა გრძელდება მიმდინარე წლის მარტის დამლევამდე, სანამ მთელ რიგ დამარცხებამ და ცუდათ დამუშავებულმა მისტიფიკაციამ რამოდენიმედ არ შეარყია ესპანელების ნდობა და აიძულა ისინი ესპანეთის საელჩოს პასუხისმგებელი მოხელისათვის დაევალებინათ ორგანიზაციასთან ლუის კავშირის შემოწმება.

ამის შემდეგ ბოროტმოქმედთა ბრბოს ესპობა ფულის უხვი წყარო და ის იძულებულია მიმართოს არსებობის სხვანაირ საშუალებას. (ადს)

ყოფილ ატამან ანენკოვის საქმე

სემიპალატინსკი, 26 ივლისი. 25 ივლისს ლუნაჩარსკის სახელობის თეატრში მრავალრიცხოვან ხალხის თანდასწრებით დაიწყო ყოფილ ატამანის ანენკოვის და მისი შტაბის უფროსის დენისოვის საქმის გარჩევა.

თეატრის შენობას ზღვა ხალხი შემორტყმია გარშემო. საქმეს არჩევს უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სესია ამხ. მილიგალის თავმჯდომარეობით. სახელმწიფო ბრალმდებელია უზენაეს სასამრთლოს სამხედრო პროკურორი ამხ. პავლოვსკი. საზოგადოებრივ ბრალმდებლებია—ამხ. მუსტანბაევი, პასკევიჩი და იარკოვი. დამცველებია—ახალ ციმბირის დამცველთა კოლეგიის წევრები ცვეტკოვი და ბორეცკი.

სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

ანენკოვი სასამართლოს შეკითხვებზე უპასუხებს, რომ ის შთამომავლობით არის ტახტის აზნაური, 47 წლის; სამხედრო სამსახური დაიწყო ოდესის კადეტთა კორპუსში. კიევში ჰყავს დედა და სამი და.

ანენკოვი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ მოწვეულ იქნას ახალი მოწმე—ყოფილი გენერალი ბოლდირევი, რომელიც 1918 წელში სარდლობდა დირექტორიის ჯარებს და ამჟამად მუშაობს ნოვოსიბირსკში.

დენისოვის დაკითხვის შემდეგ პროკურორი ამხ. პავლოვსკი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ დამატებით გამოწვეულ იქნას 56 პირი, რომლებიც მოწმე ყოფილან ანენკოველების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისა. განსაკუთრებით პროკურორი მოითხოვს ყოფილი ანენკოველის, ამჟამად სერგიოპოლში მცხოვრები ვარდუგინის მოწვევას.

სასამართლო აკმაყოფილებს ანენკოვის თხოვნას ბოლდირევის გამოძახების შესახებ. და აგრეთვე პროკურორის თხოვნას 56 მოწმისა და ვარდუგინის მოწვევის შესახებ.

მოწმეთა რიცხვში ყურადღებას იპყრობენ მოხუცი გლეხები, ყოფილი პარტიზანები, და აგრეთვე თავსაკრავში გამოწყობილი გლეხიქალები. მოწმეთა შორის მრავალია ანენკოველ ჯარისკაცების მიერ წამებული.

შემდეგ სასამართლო კითხულობს საბრალმდებლო ოქმს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ; ანენკოვი უპასუხებს: წაყენებულ ბრალდების მიხედვით ვცნობ თავს დამნაშავედ. რაც შეეხება ნაწილობრივ ბრალდებებს, მე არ ვცნობ მათ და სასამართლოს მივცემ სათანადო ახსნა-განმარტებას“. ასევე აცხადებს დენისოვი.

სასამართლოს სხდომა შეწყდა. მეორე დღემდე (ადს).

ფრანგი მწერლები თბილისში

გუშინ საღამოს საქართველოს სამხედრო გზატკეცილით თბილისში ჩამოვიდნენ ფრანგი მწერლები **ფაბრ-ლიუსი** და **ანდრე ბოკლერი.** მათი ჩამოსვლის მიზნისა და საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ცხოვრებასთან გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ,— ფაბრ-ლიუსმა და ბოკლერმა ჩვენს თანამშრომელს უამბეს შემდეგი:

— **საფრანგეთიდან პირველად ჩამოვედით მოსკოვში 26. ივნისს ჩვენ ჯერ კიდევ საფრანგეთში გვაინტერესებდა რუსეთის ლიტერატურული ცხოვრება. ლიტერატორთა წრეებში იქ ისეთი აზრია, თითქოს საბჭოთა კავშირში მწერლობა მკვდარი იყოს. ჩვენს მიერ მოსკოვის ლიტერატურული კლუბების დათვალიერებამ და თანამედროვე მწერლობასთან გაცნობამ დაგვარწმუნა,** რომ არსად ისეთი ხელსაყრელი ობიექტიური პირობები არაა მწერლობისათვის, როგორც აქ.

საქართველოს სამხედრო გზატკეცილის სილამაზე წინადაც გვსმენია სხვადასხვა ჟურნალებიდან და უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი სილამაზე ჩვენ ჯერ არც გვინახავს და არც განგვიცდია.

— მე პირადათ—ამბობს ბოკლერი—ვთანამშრომლობ ჟურნალ „ახალი ლიტერატურა“-ში, სადაც დრო და დრო ვაგზავნი წერილებს აქაურ ლიტერატურულ ცხოვრებაზე. თბილისში ჩვენ მიზნად გვაქვს დავრჩეთ ერთი კვირა. ამ დროის განმავლობაში მოვასწრებთ ქართველ მწერლებთან გაცნობას და თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას. თბილისიდან ბათომით გავემგზავრებით პირდაპირ საფრანგეთში.

მსოფლიოს ამბები და ქართველი ხალხი

II

ევროპა, როგორც ამერიკის ნორმალური კოლონია

ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ან ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები საკუთარს ტერიტორიაზე ან ხელსაყრელი ხელოვნური პირობები საერთაშორისო მასშტაბით. ვერნერ ზომბარტი თავის „ჰოხკაპიტალიზმში“ ზედმიწევნით სწორი მასალებით გვიმტკიცებს, რომ შინაური ბუნებრივი პირობები ევროპიული კაპიტალიზმისა მეტის-მეტად ცუდია, ვინაიდან კაპიტალიზმის საუკუნოებრივმა მუშაობამ ევროპის მიწის ზედაპირს აართვა მთელი თავისი ნაყოფიერება ხოლო ყოველი მთის ადვილად ამოსაღები მადანი ევროპიულმა კაპიტალიზმმა უკვე ჩაყლაპა.

ადვილად ასატანი იქნებოდა ევროპიულ კაპიტალიზმისათვის შინაურ ევროპის გამწირებული ბუნებრივი პირობების ატანა, რომ მას შეეძლოს საერთაშორისო მასშტაბით თავის კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ხელოვნური პირობების შექმნა ახალ-ახალი, ჯერ კიდევ კაპიტალიზმის მიერ ნამუს აუხდელ და უმანკო ტერიტორიების შოვნა და ხელში ჩაგდება. მაგრამ ევროპისათვის ეს გზაც დახშულია, ვინაიდან გაუყოფელი და გამოუყენებელი ადგილები მსოფლიოში აღარ მოიპოვება. კოლონიების გაფართოების ისტორია მეოცე საუკუნისათვის დამთავრდა და ახალ ტერიტორიების შეძენის მხრივ ევროპის მდგომარეობა მეტად რთულია და მძიმე.

კაპიტალიზმის აყვავების ხანა არის ხანა საერთაშორისო მასშტაბით ხელოვნურ და ბუნებრივ პირობების შეერთებული გამოყენებისა, არის ხანა ოქროვან და ვერცხლოვან კოლონიების ხელში ჩაგდების, მათი ბუნებრივი და ხალხობრივი სიმდიდრის გამოყენებისა და მითვისების. ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალიზმის მსვლელობამ ამ გზით მიმართა, იქითვე გადაიტანა კაპიტალიზმის საექსპლოატაციო ფორმები, შინ ის ქადაგებდა მშვიდობას, გარედ კი ეწეოდა ომს, შინ ის ქადაგებდა ნორმალურ მოგებას და წარმოებაში მუშის მონაწილეობას (კოპარტნერშიპი, როგორც ინგლისური და ამერიკული კაპიტალისტური მოძღვრება), ხოლო გარედ ის მიმართავდა უკულტურო ხალხის უშუალო დარბევას, შინ ის მიდიოდა რაციონალიზმის ქადაგებით, გარედ კი ამეფებდა მხოლოდ ირაციონალიზმს. აი, ეს იყო კლასიური ფორმები უკანასკნელი დროის განვითარებისა.

მაგრამ ოქროს შადრევანების ხანა წავიდა კაპიტალიზმისათვის. საოცარის სისწრაფით გაძლიერებულ და გაბერილ კაპიტალისტურ ჯგუფებს სრულიად არ შეეძლოთ გაჩერება ერთს წერტილზე, მაშინ, როცა მათ სულ მეტი და კიდევ ახალი მატერიალური სასარი ჰქონდათ ფრთების კიდევ ფართედ გასაშლელად. ამერიკაში მორგანის სიმდიდრე ავიდა 40 მილიარდ დოლარამდე. ესე იგი შეერთებული შტატების (ამერიკა) მთელი (ნაციონალ. სიმდიდრის ერთი მეხუთედი მხოლოდ ერთ მორგანის ჯგუფის ხელში იყო მოქცეული. ესე იგი მარტო მორგანს ეჭირა ინგლისის მთელი ნაციონალური სიმდიდრის ნახევარზე მეტი, რვაჯერ მეტი ქონება, ვიდრე არის ბელგიის მთელი ეროვნული სიმდიდრე, ოთხჯერ მეტი რუმინიის მთელი ეროვნული სიმდიდრისა, ან სამჯერ მეტი სიმდიდრე, ვიდრე იაპონიის მთელი ეროვნული სიმდიდრე. ჰარიმანი, რომელსაც ქიათურის კონცესიით კარგად იცნობს ქართველი ხალხი მსოფლიოს უდიდეს და უშესანიშნავესი ტრანსპორტისტია. მის ხელშია გაცილებით მეტი რკინის-გზის ქსელი, ვიდრე მაგალითად რკინის-გზის ქსელი მთელი გერმანიის სახელმწიფოსი, მის ხელშია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რკინისგზების 75 პროც., ხოლო მთელი ქვეყნის საქონლის ტრიალს სატრანსპორტო ბედ-იღბალის 87 პროც. განაგებს იგი ჰარიმანი. მოდით ეხლა და უთხარით ამ ხალხს, გაჩერდით, მოითმინეთ; მეტი გზა თქვენ აღარ გაქვთო. მაგრამ ეს პირდაპირ შეუძლებელია მათთვის, მათ არ შეუძლიათ საშუალო საუკუნოების რაინდებივით ხელზე მიმინო წაისკუპონ და მწყერზე ნადირობით თავი გაირთონ, მათ არ შეუძლიათ ძველ რაინდულ ჯირითობას მიმართონ, ან თანამედროვე სპორტს გადაატანონ სიცოცხლე. ეს ჯგუფები ობიექტიურად ცოცხალი ადამიანები კი არ არიან, არამედ მათი კომპლიკაციური კაპიტალი შემდგარია ისეთს რელსებზე, რომლებიც ან უნდა დაიღუპონ, ან და მათმა რელსებმა უნდა მიიღონ საშუალება რაც შეიძლება მეტი და მეტი სიმდიდრის გადასატანად, ასამოძრავებლად, შესაქმნელად. კაპიტალიზმმა მიიღო საოცარი რთული და კოლოსალური ფორმები, მაგრამ ეს კი არ ზღუდავს მის გეგმებს, მის მისწრაფებებს, მის ქონს კიდევ ახალი, კიდევ უფრო დიდი ჰეშეფტების მოსახდენად, არამედ კიდევ მეტის დაყენებით ის საჭიროებს სრულიად გაუგონარს ნახტომებს სრულიად გაუგონარს მოგების მისაღებად. 1850 წელში გემების რიცხვი ითვლებოდა სულ 864,1880 წელში— 5880 და 1913 წელში კი—26.517. განა შეიძლება ამ გროვა კაპიტალისტურ გიგანტების ნორმალურის გზით გაჩერება. 1850 წელში ითვლებოდა 24 ათასი მილი რკინის-გზის ქსელი, მაგრამ 1913 წლისათვის იყო უკვე 690,2 ათასი მილი. მოდით და შეაჩერეთ ახლა სულ-სდგმა ამ აპარატის და დაუხშეთ მათ პერსპექტივა განვითარების

ევროპის კაპიტალისტური წარმოების რთული ფორმები საშინელ მდგომარეობაში იმყოფება, მას არ შეუძლია შეჩერება და არც შეუძლია გაფართოვდეს (გათავდა კოლონიები), მას წყურია ეკონომიური ჭიდილი და ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ ის ხედავს, რომ ჯერ პოლიტიკურ-მილიტარული ბრძოლა უნდა გადაიხადოს, რათა შედარებით შემთხვევით და ადვილად განაწილებული მთელი მსოფლიოს ტერიტორია ცხოვრების ახალ მოთხოვნილების მიხედვით გადაიჭრას და გადაანაწილოს. მაგრამ ეს ხომ უკვე იქნება არა კოლონიალური ომი, არამედ ომი შინაური, ეს ხომ იქნება კაპიტალიზმის ბოლო ხანში დამკვიდრებულ ტრადიც. უარყოფა. მაგრამ საქმეც იმაშია, თანამედროვე მთელი მსოფლიოს ისტორიის შესანიშნავი მდგომარეობაც იმაში გახლავსთ, რომ ცხოვრება გადავიდა არსებული ტრადიციების გზიდან და ის ახალ გზაზე შესდგა. ევროპის სახელმწიფოები ახლა ერთად კი აღარ მიდიან ხელიხელ ჩაკიდებული უცხოეთში სანადიროთ, არამედ ერთმანეთს უღრენენ უკვე მიღებულ ნადავლის გასანაწილებლად. ეხლა ხანაა უკვე შინაურ ევროპიულ ომების, უკვე შინაურულ საქმეების გართულების. აქედან იწყება ახალი პერიოდი მთელი ევროპის და განათლებულ კაცობრიობის ისტორიაში იწყება ხანა მათში ომების, იწყება ხანა მათში რევოლიუციების, იწყება ხანა მკაცრი კლასობრივი ბრძოლების. სოციალიზმის თეორიების და სოციალიზმის საქმის. აი, ამ ხანაშია დღეს ევროპა, აი აქ არის დღეს მთელი კაპიტალისტური ევროპა. აი ეს მომენტია უაღრესად შესანიშნავი, აი, ეს პერიოდი არის ახალი შემოქმედების წყარო; ახალ ძალთაგაწყობილების გამომწვევი. ომებმა და რევოლიუციებმა პირი იბრუნეს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ომებმა და რევოლიუციებმა ნახეს ახალი სარბიელი ევროპაში, ევროპ. შიდის სოციალისტურ რევოლიუ[illegible] ოჯახში. ჩვენ დღეს ვიმყოფებით [illegible] ხანიში [illegible] ისტორიულს პერიოდში.

მაგრამ ამავე დროს ეს მდგომარეობა საშინელი გამწვავების მომენტია. ევროპის სახელმწიფოებს საშინლად ეშინიათ თვით ერთმანეთის ძლიერების, მათ მოსვენებას არ აძლევს ერთმანეთის სიმდიდრე და იარაღი. ყოველი ევროპიული სახელმწიფო დღეს იგონებს არ არსებულ ფორმებს ბრძოლისას იმიტომ კი არა, რომ მას შიში აქვს ინდოელის, ჩინელის, ზეგერის ან სხვა რომელიმე მოდგმის ხალხის,არამედ ევროპიელს პირველყოვლისა ევროპიელის შიში აქვს. არცერთი 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი არ არის კოლონიალურ ქვეყნებისათვის საჭირო. დღეს 8 ათასი უძმიმესი „ტანკი“ დარახრახობს ევროპის მიდამოებში, ხოლო თორმეტი ათასი ჯავშნოსანი ვაგონი, მაგრამ არცერთი ესენი კოლონიისათვის არ არის საჭირო, კოლონიაში მათ ძალიან მსუბუქი არტილერია სავსებით ეყოფათ. ყველა ეს უმძიმესი ფორმები შეიარაღებისა ევროპას აქვს თვით ევროპისათვის, ისინი იარაღდებიან ერთმანეთის შიშით და ერთმანეთის გასანრესად. იმ შემთხვევაშიაც, როცა ისინი (ევროპიელები) ტანკს მიათრევენ მაგალითად ჩინეთში, ან როცა ინგლისი 40 სამხედრო გემს გზავნის შანხაიში თქვენ გგონიათ იმიტომ, რომ ინგლისს ამდენადვე ეშინიან კანტონის? არასოდეს. ევროპიელები იქ აშინებენ და აწამებენ ჩინელებს, მაგრამ ამავე დროს მათ ერთმანეთის შიშიც აქვთ და თავს უყრიან თავის ძალებს ერთმანეთის შიშის გამო.

გადახედეთ ახლა მეოცე საუკუნეს, მის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას და თქვენ დაინახავთ, რომ ისი ობიექტიური მდგომარეობა, რომელიც ჩვენ აქ გავარკვიეთ იმდენად ჩამოყალიბდა,რომ ის უკვე პოლიტიკურ კონფლიქტების სახით გვეხატება, ესე იგი უკვე აღარ არის საჭირო—ადამიანმა ძარღვები დაჭიმოს, ტვინს ძალა დაატანოს, რომ მეცნიერულის კვლევა-ძიებით და ანალიზით როგორმე მიწვდეს ცხოვრების დუღილს და მის მაჯის ცემას. ეხლა ყველაფერი ეს აშკარაა, თვალხილულია, თქვენ შეგიძლიათ ადგეთ სავარძელიდან და პირდაპირ „ხელი მოკიდოთ“ მას. თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ „ხელი მოკიდოთ“ 1912 წლის ბალკანეთის ომს, რომლითაც გაიშალა პირველი შინა ომების ასპარეზი ევროპისათვის. თქვენ პირდაპირ შეგიძლიათ„ხელი მოკიდოთ“და ასე გასინჯოთ შინა-ევროპის შესანიშნავი ომი 1914 წელში, თქვენ შეგიძლიათ „ხელით გასინჯოთ“ ყველა ის მოვლენები, რომელნიც თან სდევენ შინაურულ კრიზისებს და ომებს, ე. ი.-რევოლიუციებს. თქვენ ხედავთ, რომ ევროპაში იწყება ხანა რევოლიუციების და რბევა მირონცხებულთა ტახტების, თქვენ დაინახეთ ნიკოლოზის [illegible] დანგრევა 1917 წელში, თქვენ [illegible], რომ დაინგრა ტახტები აღმოსავლეთ ევროპის ყველა აღმოსავლეთ სახელმწიფოებში და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1918 წელში ავსტრო-ჰუნგრეთის მთელს ტერიტორიაზე და აგრეთვე სამსოფლიო ვილჰელმ 2-ს იმპერიაში (გერმანია). ამავე დროს თქვენ ხედავთ ევროპის პოლიტიკური რუქის სრულიად გადახალისებას და გადატრიალებას. ევროპა კაპიტალისტურ განვითარების პროცესში მიდიოდა ცალ-ცალკე სახელმწიფოების გაერთიანების და შეკავშირების გზით, ხოლო ეხლა კი ჩვენ მივიღეთ ევროპი საშინელი ბალკანიზაცია, სახელმწიფოების განაწილება, პატარა ნაქუცმაცევ ერთეულების შექმნა. ფედერაციის ტალღა შეიცვალა სეპარაციის ტალღად; თანამედროვე ლიმიტროფები თავიანთი ვიწრო ეგოიზმით და საბაჟოებით მოგვაგონებენ ჩვენ საშუალო საუკუნოების სამთავროებს. გაერთიანებულ ევროპის მიმართულება გაერთიანებიდან დანაწილებისაკენ ქმნიან კაპიტალისტურ ევროპისათვის მეტად ცუდ სოციალურ პირობებს კულტურულ და ნორმალურ განვითარებისათვის.

მეტის-მეტად საყურადღებოა, რომ ახალ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ოკეანეს გაღმა ქვეყნებში არაფერი ამის მსგავსი არ ხდება და იქ იმ მხრივაც გაცილებით უმჯობესი პირობებია სამსოფლიო ჰეგემონიისათვის.

ევროპის საერთო პირობების დახასიათებლად ჩვენი ისიც უნდა აღვნუსხოთ, რომ ჩვენ მიერ დახატული სურათები უნდა გაგებულ იქმნას და არა შაბლონიურად, დოგმატიურად, არამედ როგორც მთავარი საზოგადოებრივი მიმართულება... განა ევროპის მიმართულებით რევოლიუციების და ომების მიმართება გაგებულ უნდა იქმნას თითქოს აღმოსავლეთმა რევოლიუციას ზურგი შეაქცია იმიტომ, რომ გართულებათა და რევოლიუციათა ცენტრი გადავიდა ევროპაში?—რასაკვირველია, არა. მდგომარეობის სირთულეც სწორედ იმაშია, რომ ევროპის შინაური მდგომარეობის გართულება სრულიადაც არ მოასწავებს ევროპისათვის გარედ, კოლონიებში მშვიდობიანობის დამყარებას, ევროპის მდგომარეობა რთულდება შინ და ამ გართულებას კიდევ ემატება გართულება გარედ, ე. ი. ევროპის გართულების მასშტაბი, ღებულობს მეტად ფართო ხასიათს, ე. ი. კრიზისები, რევოლიუციები, ომები ხდებიან საერთაშორისო მასშტაბით. აქედან ჩვენთვის აშკარაა შემდეგი დებულება:ევროპისათვის, რომლისათვის კოლონია იყო სიმდიდრის და თავის სახლში მშვიდობიანობის ობიექტ. ფაქტორი, დღეს იგივე კოლონია ევროპის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და უქმნის ევროპას მეტად მძიმე სოციალურ და ეკონომიურ პირობებს მუშაობისათვის.

საერთო პირობების დახასიათება, რომელნიც ასე სწრაფად მიაქანებენ ევროპას ნორმალურ კოლონიალურ მდგომარეობისაკენ, არ იქნება შესაძლებელი თუ ჩვენ არ აღვნიშნეთ აქ რუსეთის მნიშვნელობა ამ საქმეში. მკითხველი შეგვნიშნავდა აქ, რომ ჩვენ წმინდა პოლიტიკურ ხასიათის მომენტებს, რომელნიც ართულებენ ევროპის საშინაო მდგომარეობას თითქმის არ ვეხებით, სრულიადაც არაფერი გვითქვამს პროფესიონალურ მოძრაობაზე, არაფერი გვითქვამს პოლიტიკურ პარტიების გამემარცხენებაზე, არაფერი გვითქვამს კომუნისტურ პარტიის ზრდაზე ევროპაში, რომელნიც დღითი-დღე ჰკრებენ ევროპის სარევოლიუციო ძალებს. ჩვენ ეს მხედველობაში მუდამ უნდა გვქონდეს, ხოლო აქ თუ ჩვენ ვიგონებთ რუსეთის მნიშვნელობას ევროპის კოლონიად გადაქცევის საქმეში, ამას ჩვენ ჩავდივართ იმიტომ, რომ განვიხილოთ რუსეთის ეკონომიური მნიშვნელობა უმთავრესად ინგლისისათვის.

1914 წლისათვის რუსეთს ქონდა 1.695 მილიონ მანეთის ოქრო, ხოლო მისი საერთო დავალიანება უდრიდა 8.811 მილ. მანეთს, საგარეო დავალიანება შეადგენდა 4.229 მილ. მანეთს. ომის პროცესში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ხოლო სამხედრო საქმისათვის რუსეთის საგარეო დავალიანება ავიდა 7.681 მილ. მანეთამდე. ამ ვეებერთელა დავალიანებაში უდიდესი ნაწილი თანხებისა ინგლისიდან იყო მოტანილი, იგი შეადგენდა 5.375 მილიონ ოქროს მანეთს, საფრანგეთს ქონდა ამ გზით რუსეთში ჩაყრილი 1492 მილ. მანეთი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს —553 მილ. მანეთი. გარდა ამისა რუსეთის მრეწველობაში ჩადებული იყო სულ 2.243 მილ. ოქროს მანეთი, აქედან საფრანგეთის მიერ იყო გამოღებული 731,7 მილ. მანეთი, ინგლისის მიერ 607,4 მილიონი, ბელგიის 321,6 მილიონი, ხოლო ამერიკიდან 117,7 მილ. მანეთი. რუსეთის რევოლიუციის 1918 წლის 21 იანვრის აქტი საგარეო დავალიანების ნულიფიკაციისა (უარყოფა) ნიშნავდა მარტო საფრანგეთისათვის, ინგლისისათვის და ბელგიისათვის რუსეთში მოქცეულ თავიანთი კაპიტალის 90 პროც. დაკარგვას და დაღუპვას. გარდა ამისა, რომ ევროპის კაპიტალი იყო ჩადებული ყველაზე უფრო მომგებიან საქმეებში, როგორც მგ. ნავთი, სპილენძი, რკინა, მარგანეცი და სხ., საიდანაც ევროპა, როგორც მწარმოებელი, იღებდა არა მარტო მისთვის საჭირო ძვირფას ნივთებს, არამედ სამრეწველო ძალიან დიდ მოგებას, მარტო რუსეთის მთავრობიდან ნასესხებ ფულის პროცენტების ანგარიშში ევროპა იღებდა ყოველწლიურად 300 მილიონზე მეტს ოქროს მანეთს. გასაბჭოების ფაქტი მოსწავებდა სისტემატიურ ზარალის მიყენებას ევროპის მთელი მეურნეობისათვის. ერთი ქვეყნის მიერ მეორეში ფულის ჩადებას, მარტო ის მნიშვნელობა კი არ აქვს, რომ ფულის გამსესხებელი იღებს თავის სარგებელს. თვით ეს ფაქტი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ფულის გამსესხებელი, როცა ამ გარემოებას ფართო მნიშვნელობა აქვს, აიძულებს მსესხებელს მისთვის ხელსაყრელ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას და ამ მხრივ ხომ მთელი ევროპისათვის რუსეთი სანახევროდ მაინც კოლონიალურ მდგომარეობაში იყო. ამგვარად რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა ევროპისაგან მოასწავებდა თვით ევროპისათვის მდგომარეობის მეტის მეტად გართულებას, ვინაიდან რუსეთში, რომელიც მთელს ევროპაში ყველაზე დიდი სახელმწიფო იყო, ევროპა კარგავდა როგორც დიდ ბაზარს თავის ყოველი ჯურის საქონლის გასასაღებლად, აგრეთვე კარგავდა საუკეთესო პირობებს ნედლი მასალების მისაღებად.

მეორე დიდი მოვლენა, რომელიც პირდაპირ თავზარდამცემელია მთელი ევროპისათვის და განსაკუთრებით კი ინგლისისათვის უეჭველად არის ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობა. რა ფორმაშიაც არ უნდა ჩამოყალიბდეს ჩინეთის მოძრაობა, სრულიად გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი, როგორც ბაზარი და ექსპლოატაციის ობიექტი ევროპისათვის დაკარგულია. ჩინეთში ევროპის ჰეგემონია უკანასკნელ სულს ლაფავს და ეს ჰეგემონია სრულიად გაქრება პირველსავე მახლობელ წლებში. ამ მხრივ პირველყოვლისა საყურადღებოა სურათი სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ვაჭრობისა ჩინეთთან. ინგლისი აქაც იმავე დეგრადაციის სურათს გვაძლევს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მსოფლიოს ყველა მხარეში. საერთო ჯამი ვაჭრობისა და როლი ამ ვაჭრობაში უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოებისა ასეთია:

წლები	ვაჭრობის საერთო ჯამი.	საერთო ჯამის პროცენტული დამოკიდ. ინგლისი თავისი კოლონიებით.	იაპონია.	ამერიკა.
1909	737	50,0	15,8	9,2
1913	973	49,0	20,0	7,5
1923	1676	41,8	27,0	17,1
1924	1790	38,2	26,1	16,3
1925	1724	31,3	30,5	16,3

თქვენ ხედავთ (იხ. დამატება „როტე ფანე“-ს 27 მარტ. №-ში „Wirtschaftslage und Auslandskapital in China.“—რომ იაპონია და ამერიკა ინგლისსმთელ თავის კოლონია-დომინიონებით საოცარის, პირდაპირ კატასტროფიულის სისწრაფით ერეკება ჩინეთიდან, მაგრამ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ კიდევ უფრო ახალის ცნობით, რომელიც კინგს ეკუთვნის და მოთავსებულია ხსენებულ გაზეთის 17 აპრილის ნომერში „Die Verluste des britischen kapitals in China“— აქ ავტორი იძლევა მეტისმეტად საყურადღებო მასალას, რომელიც ზედმიწევნით ახასიათებს ინგლისის და მის კოლონიების საერთო მდგომარეობას. ამხ. კინგი ჰყოფს ინგლისსა და ინგლისის კოლონიების ვაჭრობას ჩინეთთან და გვაჩვენებს მათ მდგომარეობას. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ჩინეთთან ვაჭრობა ეცემა, როგორც ინგლისის, ისე მისი კოლონიების, მაგრამ თვით ინგლისის ვაჭრობა უფრო სწრაფად ეცემა, ვიდრე კოლონიების. ეს მეტად შესანიშნავი ამბავია ინგლისის მთელი ისტორიისათვის. ასე მაგალითად ინგლისს შეუტანია ჩინეთში:

1924 წ. 42,2 მილ. გირ.—100 „
1925 „ 30,8 „ „ —73 „
1926 „ 10,6 „ „ — 25 „

ასეთსავე სურათს იძლევა ინგლისის მიერ ჩინეთიდან გატანილ საქონლის რაოდენობა. როგორც გატანა, ისე შემოტანა ინგლისის მიერ შეადგენდა:

1924 წ. 72,5 მილ. გირ. სტ.
1925 „ 50,9 „ „ „
1926 „ 13,1 „ „ „

ეს პირდაპირ საარაკო ციფრებია, მაჩვენებელი ინგლისის ვაჭრობის კატასტროფიული დაცემისა ჩინეთთან. საგულისხმიეროა, რომ შედარებით ნაკლებად ეცემა ინგლისის დომინიონების ვაჭრობა ჩინეთთან. მაშინ, როცა თვით ინგლისის უშუალო ვაჭრობა ჩინეთთან დაეცა 100 პროც-დან (1924 წ.) 25 პროცენტამდე 1926 წელში, ინგლისის კოლონიების სავაჭრო დამოკიდებულება ჩინეთთან დაეცა (1924 წლის ას პროცენტად აღებულისა) 47 პროცენტამდე. დიახ, ეს მართლაც შესანიშნავი მასალაა, ასე კარგად, რომ ახასიათებს ინგლისის კატასტროფას.

მარტო რუსეთსა და ჩინეთში ცხოვრობს 570 მილიონი ხალხი, უკვე აქედანვე წარმოიდგინეთ თუ რა მნიშვნელობა აქვს, როგორც მთელი ევროპისათვის, ისე ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობისათვის ამ ქვეყნების ანტი- იმპერიალისტურ პოლიტიკას, ამ ქვეყნებიდან ფაქტიურად გამოდევნას ევროპიულ კაპიტალის, ევროპიულ ვაჭრობის, ევროპიულ გავლენის.

მკითხველმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ არსებითად სრულიად ანალოგიურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ევროპა მთლიანად, ხოლო ინგლის

ქართველ მენშევიკების გასამართლება ხარკოვში

23 ივლისის (მეექვსე) სხდომა*)

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ანჯაფარიძის „შესწორება“

ანჯაფარიძეს თავის განცხადებაში იმის შესახებ, რომ იზიარებს პარიტეტული კომიტეტის დეკლარაციას, შესწორება შეაქვს — ის იზიარებს ამ დეკლარაციას იმ ადგილის გამოკლებით, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ პასუხისმგებლობა აჯანყებისათვის ეკისრება მენშევიკურ პარტიას, ე. ი. უარყოფს მენშევიკების პასუხისმგებლობას ამ სისხლიანი ავანტიურისათვის.

შემდეგ ანჯაფარიძე მენშევიკების ტაქტიკის გასამართლებლად, იშველიებს ქართველ უკლონისტების პოზიციას.

გაარშიყება ქართველ უკლონისტებთან

კერძოთ მას მოჰყავს დეპეშა რკინის გზის მუშების გამოწერის შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში, რის წინააღმდეგ ილაშქრებდა კოტე ცინცაძე, რომელიც ამბობდა: „რა გავლენას მოახდენს ეს ნაციონალური შხამით მოწამლულ მოსახლეობაზეო“.

შემდეგ ანჯაფარიძეს მოჰყავს ციტატები უკლონისტების გამოსვლებიდან პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე, როცა ისინი ილაშქრებდენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ ვითომ ეს ხდება მოსახლეობის თანხმობის გარეშე.

ფაქტები ყირამალა

გარდა ამისა, ანჯაფარიძეს მოჰყავს ორჯონიკიძის წერილი — პასუხი ათი აპრილის რეზოლიუციაზე. ამ წერილში სერგო ამბობს, რომ **საქართველოს რევოლიუციონურმა მთავრობამ გამოაცხადა ამნისტია, მაგრამ მენშევიკებმა ბოროტად გამოიყენეს იგი და გადავიდენ არალეგალური ბრძოლის მეთოდზე.**

ანჯაფარიძე ცდილობს დაამტკიცოს ს. ორჯონიკიძის წერილის მოყვანით, რომ მენშევიკებს სურდათ მშვიდობიანი თანამშრომლობა, მაგრამ კომუნისტებმა ისინი მეტეხში ჩაყარესო.

ანჯაფარიძე ამას ლაპარაკობს ამაღლებული ტონით, რომლითაც ცდილობს დაფაროს თავისი ულოღიკობა, რადგან სერგო თავის წერილში სწორეთ იმას აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება წავიდა დათმობაზე მენშევიკების მიმართ, დაივიწყა მათი ცოდვები წარსულში, რომ აწმყოში მიეცა მათთვის თანამშრომლობის საშუალება, ამ იზნით გამოაცხადა ამნისტია, მაგრამ მენშევიკებმა ბოროტად გამოიყენეს საბჭ. ხელისუფლების ეს ლმობიერება და თვით გადავიდენ არალეგალურ ბრძოლაზე.

მაგრამ ამაღლებული კილო ვერ ფარავს ანჯაფარიძის განცხადების შინაგან წინააღმდეგობას.

სენაკის მაზრის „მუშათა ცენტრები“

პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს: „მაშ, თქვენის აზრით, 1924 წლის აჯანყება საქართველოში გამოიწვია მუშების გამოწერამ რუსეთიდან“?

ანჯაფარიძე დადებითი პასუხს აძლევს შეკითხვაზე და საბუთათ მოჰყავს, რომ თითქოს მის სამშობლო მხარეში — სენაკის მაზრაში არსებობენ მუშათა ცენტრები და „სენაკის მაზრის მუშები გამოვიდენ კომუნისტების ბატონობის წინააღმდეგ“.

ანჯაფარიძე არ განმარტავს იმას, თუ როგორ შეიძლება ის, რომ ასეთი არ მარტო საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის მასშტაბითაც, დიდი პროლეტარული ცენტრის — თბილისის მუშები არა თუ არ გამოსულან (ერთი კაციც კი) კომუნისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ იარაღი აისხეს და დადგენ თავისი ხელისუფლების დასაცავად, სენაკის მაზრის „მუშათა ცენტრები“ კი ზღაპრული აჯანყების ალში გაეხვია. არ ამბობს არაფერს არც იმის განსამარტავად, თუ როგორ მოხდა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში, ე. ი. 1921 წ.— რამდენიმე კვალიფიციური რუსი მუშის გამოწერამ როსტოვიდან აჯანყება გამოიწვია 1924 წ. აგვისტოში.

მორიგი ჭორი

საზოგადოებრივ ბრალმდებელი ამხ. **პოპოვი** იმ წამსვე ნიღაბს ხდის ანჯაფარიძეს და აქარწყლებს ამ თითიდან გამოწუწნილ „საბუთს“ პარიტეტული კომიტეტის განცხადების იმ ადგილის მოყვანით, სადაც ნათქვამია, რომ „მუშებმა თვითონ მხარი არ დაგვიჭირეს. ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო ჯგუფების გამოსვლასო“.

ანჯაფარიძეს არ შეუძლია მიმართოს თავის ნაცადმეთოდს— „დამავიწყდა“-ს ან „არ მახსოვს“, რადგან თვით ბევრჯერ მოიყვანა ციტატები პარიტეტული კომიტეტის ამ განცხადებიდან, რომელიც, გარდა ამისა, წაკითხულ იქნა სასამართლოში მაგრამ მან ბრალმდებლის მიერ მოყვანილი ციტატის გასაბათილებლათ სხვა ხერხი — მორიგი ჭორი მოიშველია.

თურმე ნუ იტყვით, — მენშევიკების მოწოდებას აჯანყებისაკენ ქართველ მუშათა ფართე მასები იმიტომ არ გამოეხმაურენ, რომ „მათი 90 პროცენტი გადასახლებულია“, — ასე განაცხადა ანჯაფარიძემ სასამართლოში.

მაგრამ უცნაურია ერთი რამ, რატომ ეს „საშინელი ამბავი“ — ამდენი ხალხის (ქართველი მუშების 90 პროცენტის „გადასახლება“) რაღა ახლა ანჯაფარიძემ შეიტყო. ნუ თუ ამის შესახებ არ იცოდა კოტე ანდრონიკაშვილმა, რომლის განცხადებიდან ნათლად სჩანს, რომ მათ არ გაჰყვენ მუშათა ფართე მასები, არამედ უმნიშვნელო ჯგუფები? მაშ ყოფილა თურმე საქართველოში „მუშათა ფართე მასები“, რომლებმაც არ ინდომეს მენშევიკური გზით სიარული

მაგრამ განა ანჯაფარიძეებისათვის ლოღიკა არსებობს!

ან იქნებ ანჯაფარიძეს საქართველოს მუშათა კლასის, 90 პროცენტათ მიაჩნია რამოდენიმე ათეული გაუსწორებელი მენშევიკი, რომელთა მოშორება საქართველოს ფარგლებიდან საბჭ. ხელისუფლებამ საჭიროდ აღიარა?

პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს: ასახლებდა თუ არა მენშევიკური მთავრობა კომუნისტ-მუშებს?

მაგრამ აქ ანჯაფარიძე ისევ „ჰკარგავს“ მეხსიერებას, მან არ იცის, არ ახსოვს.

მენშევიკები და მოსალოდნელი ომი

ამის შემდეგ ბრალმდებელი გადადის მენშევიკების პოზიციის გამორკვევაზე საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მოსალოდნელი ომის შემთხვევაში. ამხ. პოპოვი სთხოვს სასამართლოს გამოქვეყნდეს ჟორდანია - რამიშვილის უკანასკნელი წერილები აბესალომ — პრალელის სახელზე. ეს წერილები პოპოვს მოჰყავს კაპიტონ ანჯაფარიძის გასაბათილებლად, თითქოს ქართველ მენშევიკების საზღვარგარეთელი ბიურო საბჭოთა კავშირის მხარეზე იქნება მოსალოდნელი ომის შემთხვევაში.

პოპოვი აცხადებს, რომ ამ წერილებში არაფერია ნათქვამი აჯანყების ტაქტიკის უარყოფაზე, როგორც ამას ამბობს ანჯაფარიძე. პირიქით, წერილებში გარკვევით არის გატარებული ის აზრი, რომ ინგლის-საბჭოთა ომის შემთხვევაში მენშევიკები საბჭოთა კავშირის დამარცხებას ნატრობენ. ჟორდანია - რამიშვილის წერილებში გატარებული აზრები სასტიკ წინააღმდეგობაში იმყოფება ანჯაფარიძის განცხადებასთან. მენშევიკებს არა თუ აზრადაც არ მოსვლიათ ხელის აღება ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან, ისინი არა თუ არ იქნებიან საბჭოთა კავშირის მხარეზე, უკანასკნელსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შესაძლებელ ომში, არამედ ისინი პირიქით, თავისი ყოველდღიური საქმიანობით წყალს ასხამენ კაპიტალისტების წისქვილზე. ან როგორ უნდა დარჩეს საბჭოთა კავშირის მხარეზე ხალხი, რომელიც მოკავშირეებს ეძებს რომის პაპისა და კენტენბერიის არქიეპისკოპოზის სახით, რომელიც კავშირს იჭერს პოლონეთის გენერალურ შტაბთან და უცხოეთის გენშტაბების დავალებით ჯაშუშურ ცნობებს აგროვებს საბჭოთა კავშირის სამხედრო მდგომარეობის შესახებ?

განცვიფრებაში მოდიხარ, თუ როგორ უბრუნდება პირში ენა ანჯაფარიძეს, რომელმაც კარგათ იცის, თუ ვისთან აქვს კავშირი მის შეფებს, განაცხადოს ასეთი აშკარა ტყუილი.

პენკოვ - პოლოჟნი საბჭოთა კავშირს „დაცვას“ ჰპირდება

ანჯაფარიძის ტყუილებმა პენკოვ-პოლოჟენიც წაახალისა. ამ მამალ ჯაშუშს, რომელიც პოლონეთის გენერალური შტაბის დავალებით არა ერთხელ გადმოსულა საბჭოთა საზღვარზე და რომლის მუშაობით ძლიერ კმაყოფილი იყვნენ პოლონეთში, ჰყოფნის უსირცხვილობა ბრალმდებლის შეკითხვების საპასუხოთ განაცხადოს, რომ ომის შემთხვევაში იარაღით ხელში გამოვიდოდა საბჭოთა კავშირის დასაცავად (რომელიც მას მეათას ერთჯერ ყავს გაყიდული).

ეს მოულოდნელი პასუხი სიცილს იწვევს მთელს დარბაზში.

ამ განცხადებით ანჯაფარიძეც კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო პენკოვმა, რომელიც ცდილობს ანჯაფარიძეს წაჰბაძოს ყველაფერში.

ფარსი

არა ნაკლები სიცილით ხვდება აუდიტორია ანჯაფარიძის განცხადებას, რომ მისი საქმიანობა ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის ძლევამოსილების ზრდას და ამტკიცებდა მის პოზიციას იმპერიალისტების წინააღმდეგ.

დასასრულ ანჯაფარიძე აცხადებს, რომ ომის შემთხვევაში იბრძოლებს კომუნისტების მხარეზე, მაგრამ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ შესწყვეტს.

დარბაზში კვლავ სიცილი გაისმის. თავმჯდომარე ხშირათ ვერ ახერხებს დაშვიდებას დარბაზისას, რომელშიც ბრალდებულთა პარადოქსალური განცხადებები სიცილს იწვევს.

— : —

დილის სხდომა თავდება. საღამოს სხდომა არ შემდგარა.

აქ. ჭყონია.

24 ივლისის დილის (მეშვიდე) სხდომა

„კერძო პირები“—ჟორდანია და რამიშვილი

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 24 ივლისი. გრძელდება ანჯაფარიძის დაკითხვა.

დამცველი ეკითხება ანჯაფარიძეს: „იზიარებ თუ არა თქვენ ქარცივაძისათვის ჩამორთმეულ ჟორდანია-რამიშვილის წერილებში გამოთქმულ აზრებს?“

ანჯაფარიძე: „ამ წერილებში გამოთქმულ აზრებს არ ვიზიარებ მთლიანად და სავსებით“.

მიკიბულ-მოკიბული, არა პირდაპირი პასუხი პირველად როდი ესმის სასამართლოს ანჯაფარიძისაგან. უკანასკნელს ჰყოფნის გამბედაობა მთლიანად მიიღოს ან უარჰყოს ფაქტები.

პოპოვის შეკითხვაზე, თუ რატომ სთვლის ის ჟორდანია-რამიშვილის წერილებში გამოთქმულ აზრებს კერძო პირების აზრად,

ანჯაფარიძე უპასუხებს, რომ „რაც პარტიის დადგენილებებით არ არის დადასტურებული, მას მიაჩნია „კერძო პირების შეხედულებათ“.

პოპოვი—„თუ თქვენ პარტიის ხელმძღვანელების აზრი მიგაჩნიათ კერძო პირების აზრად, მაშ რითი ხსნით თქვენ იმას, რომ ეს პირები აწარმოებენ მოლაპარაკებას ევროპის სახელმწიფოების მთავრობებთან, აძლევენ დირექტივას პარტიას არ დაიწყონ აჯანყება, სანამ საამისო სიგნალს არ მიიღებენ პარიზიდან და სხვ.“

ანჯაფარიძე უპასუხებს, რომ პარტია არ არის პასუხისმგებელი მთავრობის მოქმედებისათვის.

ეს არის მორიგი „გაძვრომა“ ანჯაფარიძის მხრივ, რომელმაც არ შეიძლება არ იცოდეს, რომ „კერძო პირები“—ჟორდანია-რამიშვილი აჭახრაკებენ არა მარტო გადახვეწილ „დემოკრატიული მთავრობის“ მთელ შავბნელ საქმეებს, არამედ ფაქტიურად წარმოადგენენ მენშევიკების მთელ საზღვარ-გარეთელ ბიუროს, რომლის კარნახითაც მუშაობენ საქართველოში არსებულ მენშევიკურ ცეკას წევრები ანუ ის ორგანო, რომელიც ცეკას როლს ასრულებს.

თუ ჟორდანია-რამიშვილი „კერძო პირები“ არიან ანჯაფარიძისათვის, რატომ მიიღო მან დავალებები მათგან? განა ჟორდანია-რამიშვილს შეეძლოთ მიეცათ სხვა დავალებები გარდა იმისა, რაც მათ ცნობილ „სადირექტივო წერილებშია“ მოცემული და რომლებსაც ანჯაფარიძე თავის მიკიბულ-მოკიბულ პასუხშიც კი „არ იზიარებს მთლიანად და სავსებით?“

ანჯაფარიძე არაფერს ამბობს ამის შესახებ.

რივლინი, ანჯაფარიძის დამცველი, იმის დასამტკიცებლად, რომ რუსი მენშევიკები არ ეთანხმებიან ქართველ მენშევიკებს, კითხულობს მენშევიკ აბრამოვიჩის წერილს „სოციალისტურ ვესტნიკ“-ში (რომელიც უფრო ცნობილია „სოცალისტური სპლეტნიკ“-ის სახელწოდებით). ამ წერილებში აბრამოვიჩი აღნიშნავს, რომ ქართველმა მენშევიკებმა კლასიური ბრძოლა ნაციონალური ბრძოლით შესცვალესო.

ბრალდებული გალაქტიონ გოგლიჩიძე

პოპოვს ამის საპასუხოთ მოყავს ამონაწერი იმავე „სოციალისტური სპლეტნიკ“-იდან, სადაც ნათქვამია, რომ ჩხეიძე-გეგეჭკორის ჩასვლამ ვარშავაში ხელი შეუწყო პოლონელ „სოციალისტებს“ ანტი-რუსული დემონსტრაციის მოწყობაში. წერილი პოლონეთს უწოდებს აღმოსავლეთის ჟანდარმს.

პოპოვი სთხოვს სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ რუსი მენშევიკებიც კი ჟანდარმს უწოდებენ პოლონეთს, რომელიც ქართველ მენშევიკების საზღ.-გარ. ბიუროს წერილის მიხედვით (წერილს ხელს აწერენ ჟორდანია და შარაშიძე), წარმოადგენს „საქართველოს განთავისუფლების ერთად ერთ მთავარ დასაყრდენს.

ამით თავდება ოთხი დღის სხდომების შემდეგ ანჯაფარიძის დაკითხვა და იწყება მისი ღირსეული თანამებრძოლის, მის მიერ „ლამაზ ქვეყანაში“ „დასასვენებლად“ წამოყვანილი პენკოვ-პოლოჟენის დაკითხვა.

აქ. ჭყონია.

პოლონეთის ჯაშუშ პენკოვის დაკითხვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ვარშავა—ლვოვი—კიევი—თბილისი—კიევი—გეპეუ

ჯაშუშის ბიოგრაფია

ხარკოვი, 24 ივლისი. პენკოვ-პოლოჟენი ჩვენების მიცემის დროს გარეტიანებულივით სდგას, თავი მაღლა ვერ აუწევია, ქვეშ-ქვეშ იყურება. პასუხს იძლევა ხრინწიანი, მოქანცული ხმით.

ეროვნებით—რუსი, დაიბადა 1899 წელს, გლეხის შვილი. წინეთ მსახურობდა წითელ არმიაში, შემდეგ, მცირე დროის განმავლობაში მამას ეხმარებოდა მეურნეობაში. ერთ დროს „სამეშოჩნიკობას“ ეწეოდა. შემდეგ ხელი მიჰყო კონტრაბანდისტობას. ჯაშუშურ მუშაობაში ჩააბა ცნობილმა ჯაშუშმა—კონტრაბანდისტმა **ზილბერმანმა,** რომელიც კონტრაბანდულ საქონელს მას დაკლებულ ფასებში აძლევდა. ზილბერმანმა ასწავლა აგრეთვე საბჭოთა საზღვარზე გადასვლა უშიშრათ.

გაცნობა პოლონელ ჯაშუშებთან

ერთხელ ზილბერმანმა ის წაიყვანა ლვოვში. აქ ის, პოლონეთის არმიის კაპიტან დანილევსკის დახმარებით, პირველად მოხვდა პოლონეთის შტაბში, სადაც პენკოვი მიიღეს სამუშაოთ. წინასწარ გამოჰკითხეს, თუ რა მდგომარეობაა კიევში, ვის იცნობს იქ. ერთი სიტყვით, გამოარკვიეს, თუ რის გაკეთებას შესძლებს პენკოვი პოლონეთის შტაბისათვის. კოჭებში და სიფათში შეატყვეს, რომ ის სასარგებლო იქნებოდა მათთვის, დატვირთეს კოტრაბანდით, მისცეს დავალებები და გაისტუმრეს.

ჯაშუშური ტრიგონომეტრია

პენკოვი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ივაჭრა, როგორ გაასაღა კოტრაბანდა ან რამდენი პროცენტი საკომისიო უნდა მიეცა პოლონეთის გენერალური შტაბის ოფიცრებისათვის, რომლებიც თავის ჯამაგირს კოტრაბანდული საქონელით ვაჭრობით ავსებენ, მაგრამ, როგორც სჩანს, პენკოვმა ხელსაყრელად სცნო პოლონეთის ჯაშუშებთან თანამშრომლობა და ხელმეორეთ მიაკითხა შტაბს.

მისდა სამწუხაროთ, ექსპოზიტურა (ჯაშუშთა განყოფილება) უკმაყოფილო დარჩა პენკოვის ცნობებით, მაგრამ მაინც მისცა ახალი დირექტივები, დაავალეს კიევში შტაბის ერთ-ჯაშუშთან მისვლა. მისცეს პაროლი: პენკოვს უნდა ეთქვა **სინუს,** კიეველ ჯაშუშს—**კოსინუს.** ამგვარი ტრიგონომეტრიული ცოდნით და კონტრაბანდული საქონელით დატვირთული პენკოვი ისევ გადმოდის საბჭოთა საზღვარზე. პოლონეთის ჯაშუში, რომელიც უნდა ენახა პენკოვს, მკვდარი აღმოჩნდა.

ნდობის მოპოება

პენკოვმა დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა პოლონეთის შტაბს, სადაც მისი მოხსენებით ამ ჯერზე კმაყოფილი დარჩენ. გაატარეს რეგისტრაციაში და მისცეს ყალბი საბჭოთა პასპორტი.

გაცნობა კოტე იმნაძესთან

ლვოვში გაიცნო კოტე იმნაძე. იმნაძე და პენკოვი ჩქარა დაუახლოვდენ ერთმანეთს და დამეგობრდენ („სულს სული იცნობს და გულსა გული“. ა. ჭ.) იმნაძემ დაწვრილებით გამოჰკითხა პენკოვს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, საზღვარზე გადასვლის პირობები.

პენკოვმა უთხრა იმნაძეს, რომ მას შეუძლია იკისროს კაცის გადაყვანა საზღვარზე, რისთვისაც „ძვირს არ აიღებს“.

პოლონეთის შტაბის მორიგი დავალება

ამ ჯერათ შტაბს მიუცია პენკოვისათვის საბჭოთა კავშირში გასასაღებლად კონტრაბანდული ტილო და 100 დოლარი ჯაშუშ ხმელევსკისათვის გადასაცემად კიევში. ხმელევსკი პენკოვს კიევში ვერ უპოვია და მისი ცოლისათვს დაუტოვებია წერილი და ორმოცდაათი დოლარი. იქვე დაუტოვებია მას აგრეთვე კონტრაბანდული ტილო (ალბათ გასაღება ვერ მოასწრო. ა. ჭ.) დარჩენილი ორმოცდაათი დოლარი დაუბრუნებია პოლონეთის შტაბისათვის, რამაც შემდეგში ალტაცებაში მოიყვანა ანჯაფარიძე-კოლონაშვილი.

მზადება ანჯაფარიძის გადასაყვანად საზღვარზე

აქ პენკოვი ისევ შეხვდა იმნაძეს, რომელმაც წინადადება მისცა მას გადაეყვანა საზღვარზე „ერთი კაცი“—როგორც შემდეგ გაიგო პენკოვმა — ანჯაფარიძის. იმნაძემ გააფრთხილა პენკოვი, რომ ანჯაფარიძის გადასვლას საზღვარზე ხელს უწყობენ აგრეთვე პოლონეთის შტაბის ოფიცრები **მატჩეკი და სოლოდკოვსკი.**

საღამოს პენკოვმა შეიარა იმნაძის ბინაზე, სადაც მას დახვდა, **მატჩეკი, სოლოდკოვსკი და ჯლამაია** (ანჯაფარიძე) მოილაპარაკეს საბჭოთა საზღვარზე გადასვლის ყველა დეტალებზე და გაუდგენ გზას. პენკოვთან ერთად იმავე მატარებლით გაემგზავრენ საბჭ. საზღვრებისაკენ იმნაძე და ჯლამაია.

საბჭოთა საზღვართან

უკანასკნელ სადგურზე (პოლონეთის ტერიტორიაზე) პენკოვი და ჯლამაია—ანჯაფარიძე გამოცხადდენ ოფიცერ დანილევსკისთან და გააფრთხილეს, რომ გადადიან საზღვარზე.

პოლონეთის სანაპირო რაზმელებმა დაათვალიერეს საზღვარი, გამოარკვიეს მოელოდათ თუ არა პოლონეთის გენშტაბის „სტუმრებს“ რაიმე საფრთხე და გააცილეს პენკოვი და ჯლამაია.

სანამ პენკოვი პოლონეთის სანაპირო რაზმელებთან ერთად ათვალიერებდენ საბჭ. საზღვარს, ჯლამაია—ანჯაფარიძე დარაჯობდა პენკოვის კონტრაბანდას და პოლონეთის შტაბის ჯაშუშურ ფოსტას.

საზღვარზე გადასვლა

დიდის სიფრთხილით გადავიდენ საბჭოთა საზღვარზე და ჩავიდენ კამენეც - პოდოლსკში, საიდანაც გაემგზავრენ კიევში, სადაც ჯლამაია - ანჯაფარიძეს ეგულვებოდა მეგობრები, რომელთა ვინაობა პარიზში გააცნო მას ჟორდანიამ.

გზაში ანჯაფარიძე ეუბნებოდა პენკოვს: „თქვენსას ნურაფერს დახარჯავთ, თქვენს სამგზავრო ყოველგვარ ხარჯებს მე ვკისრულობო“.

კიევში პირველი დღეები ანჯაფარიძემ გაატარა პენკოვის მეგობარ ჟელეზნოვის ბინაზე. თვით პენკოვი კი ამ დროს თავქუდმოგლეჯილი დაეძებდა ექიმ გოგლიჩიძეს, რომელიც მან ბოლოს იპოვა რესტორან „ედემში“ (აბა სხვაგან სად ნახავდა ქართველ „პატრიოტს“ და საქართველოს „განთავისუფლებისათვის“ „მებრძოლს“! ა. ჭ.)

გოგლიჩიძე — ანჯაფარიძის შეხვედრა

პენკოვმა ჩქარა გაიცნო გოგლიჩიძე და ორივენი გაემართენ ჟელეზნოვის ბინაზე, სადაც ანჯაფარიძე მოუთმენლად მოელოდა გოგლიჩიძის ნახვას, ანჯაფარიძემ გააცნო მას თავისი მისია და პარიზში მიცემული დირექტივები, კერძოთ კი—ნოე ჟორდანიას დირექტივა კიევში უცხოეთიდან მიღებული და უცხოეთში გადასაგზავნი ფოსტის გადამცემი და არალეგალურ მომუშავეთა გამოსაცხადებელი პუნქტი, გოგლიჩიძემ აღუთქვა ანჯაფარიძეს ყველა დავალებების პირნათლად შესრულება და დანიშნეს შემდეგი შეხვედრის დრო და ადგილი.

„მასლაათი“ „ვლადიმირსკაია გორაზე“

მეორე დღეს „ვლადიმირსკაია გორა“-ზე გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრენ: ანჯაფარიძე - ჯლამაია, პენკოვ-პოლოჟენი, ექიმი გოგლიჩიძე და უკანასკნელის მიერ მოყვანილი — შექეშვილი და კოლონაშვილი, ანჯაფარიძემ გააცნო მათ ის დავალებები, რომლებიც მას მისცეს პარიზში, ის ამოცანები, რომელთა გადაჭრა ეკისრება კიეველ პატრიოტებს და სხვ.

„ჩვენი კაცია“

დამსწრეთ ძალიან ეუცნაურათ, რომ ანჯაფარიძე ასეთ საიდუმლო რამეებს ლაპარაკობდა „გარეშე კაცთან“, როგორც მათის აზრით იყო მათთვის უცნობი, არა-ქართველი პენკოვ - პოლოჟენი და შიში გამოსთქვეს — არ გაგვცესო.

მაგრამ ანჯაფარიძემ დაამშვიდა ისინი: „ნუ გეშინიათ, ეს — ჩვენი კაცია, ჩვენთან ერთად იბრძვის ბოლშევიკების წინააღმდეგ“-ო.

ამ პირველმა შიშმა განვლო, მაგრამ მთაზე შეკრებილი „გმირები“ თავს მაინც ვერ გრძნობდენ მშვიდათ. ხალხი ბუზივით ირეოდა და „პატრიოტებს“ შეეშინდათ — ჩვენს საუბარს ყური არ მოჰკრანო და გადასწყვიტეს კრება სხვა ადგილზე გადაეტანათ.

მეორე დღეს შესდგა კრება შექეშვილის ბინაზე, სადაც გადასახლდა ანჯაფარიძე.

გამგზავრება საქართველოში

როცა ანჯაფარიძემ „მოაგვარა“ დაკისრებული საქმეები, ეს იყო 1925 წ. ივლისის შუა რიცხვებში, მან დააპირა საქართველოში გამგზავრება და წინადადება მისცა პენკოვს გაჰყოლოდა მას.

„ვინ იცის რა მოგვივა გზაზე. სჯობს ერთად ვიმგზავროთ. ერთმანეთთან ახლო ვიყოთ და თუ რომელიმე დაგვაპატიმრეს დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ამის შესახებ კიევს და იქიდან პოლონეთის გენერალურ შტაბსო“.

პენკოვ-პოლოჟენი დასთანხმდა, კიევის სადგურზე ანჯაფარიძემ მას გადასცა პარიზიდან წამოღებული დაშიფრული დოკუმენტები და ორივენი გამოემგზავრენ საქართველოსაკენ.

თბილისში

თბილისში ჩამოსვლისთანავე ანჯაფარიძემ დაავალა პენკოვ - პოლოჟენის ვინმე ყიფიანის მოძებნა. დახელოვნებულ ჯაშუშს სრულიადაც არ გასჭირვებია მისთვის უცხო ქალაქში სრულიად უცხო კაცის მოძებნა და პირნათლად შეასრულა ანჯაფარიძის დავალება.

ყიფიანმა დაუკავშირა ანჯაფარიძე მენშევიკურ ცეკას წევრ „მამიასთან“, რომელსაც ანჯაფარიძემ გადასცა საზღვარგარეთელ ბიუროს დირექტივები და მიიღო მისგან ინფორმაცია უცხოეთში გადასაცემად.

ისევ კიევში

თბილისიდან პენკოვი გაემგზავრა ყირიმში, ანჯაფარიძე კი ისევ კიევში.

პენკოვი აგვისტოს შუა რიცხვებში დაბრუნდა ყირიმიდან და შეხვდა ანჯაფარიძეს. ორთავემ თავიანთი მისია შესრულებულად ჩასთვალეს და გადასწყვიტეს პოლონეთში დაბრუნება.

პენკოვს შეუსრულებელი ჰქონდა მხოლოდ პოლონეთის გენერალური შტაბის ერთი დავალება. სახელდობრ—სამხედრო სამსახურიდან მოხსნის მოწმობათა შტამპების შოვნა.

ამ დავალების შესასრულებლად პენკოვმა მიმართა დახმარებისათვის კიევის სამხედრო ოლქის თანამშრომელს, თავის მეგობარს **გრიგოლ ფეოდოროვს,** რომელსაც სთხოვა შეედგინა უვადო შვებულებაში განთავისუფლების მოწმობა მის — პენკოვ-პოლოჟენის და ფილიპე ჯლამაიას (კაპიტონ ანჯაფარიძის) სახელზე. საქმის ტექნიკურად მოგვარება პენკოვმა დაავალა თავის ნაცნობს **ნიკოლოზ დრობოტს.** ფეოდოროვმა დაამზადა შესაფერი მოწმობები და გადასცა ისინი პენკოვ - პოლოჟენის.

გამგზავრება.. გეპეუში

ყველაფერი მზად იყო პოლონეთში დასაბრუნებლად. პენკოვმა გასცა უკანასკნელი განკარგულებები: თავის მოადგილეთ კიევში დასტოვა ნ. დრობოტი და დაავალა ფეოდოროვს ისეთივე მჭიდრო კავშირი ჰქონოდა დრობოტთან, როგორც მანამდი იყო ფეოდოროვსა და პენკოვს შორის.

პოლონეთში გამგზავრებამდე პენკოვმა და ანჯაფარიძემ მოაწყვეს კიევის ქართული ანტი-საბჭოთა არალეგალური ორგანიზაციის კრება, რომელზედაც გადაწყდა, რომ ანჯაფარიძესა და პენკოვს პოლონეთის საზღვრამდე გაჰყვებოდა სიმონ შექეშვილი, რომელიც თვალყურს ადევნებდა „ორი მეგობრის“ მშვიდობიანად გადასვლას „სამშვიდობოს“.

22 აგვისტოს ანჯაფარიძე, შექეშვილი და პენკოვი გაემგზავრენ კიევიდან და უხიფათოთ ჩავიდენ კამენეც-პოდოლსკში. აქ მათ თავი უკვე „სამშვიდობოს“ ეგონათ, უცდიდენ „ბნელ ღამეს“ გადაელახათ საბჭოთა საზღვარი, მაგრამ ისინი მოულოდნელად დააპატიმრა უკრაინის გეპეუს აგენტმა.

ასეთია პენკოვ-პოლოჟენის „აღსარება“. ყველაფერი ეს მან სასამართლოს უამბო ისე, რომ ერთჯერაც არ აუწევია თავი ზევით. ლაპარაკობდა ნელა, პაუზებით, თითქო დაავიწყდა და იხსენებს თავის მოგზაურობის ისტორიასო. მთელი დარბაზი არაჩვეულებრივის ყურადღებით ისმენს მის მოთხრობას.

ანჯაფარიძე წელში მოხრილი ზის. პენკოვის „აღსარება“ ავსებს იმას, რაც მან დაუმალა სასამართლოს ან უარყოფდა.

ჯაშუში ხმელევსკი

იწყება შეკითხვის მიცემა პენკოვისათვის.

თავმჯდომარე ეკითხება მას: „რა უნდა გადმოეცა ან რა უნდა ეცნობებია თქვენთვის კიევის ჯაშუშ ხმელსკის“.

პასუხი: „მან გამაცნო მე ხონდაჟევსკი, მეორმოცდახუთე დივიზიის თანამშრომელი, რომელსაც უნდა გადმოეცა ჩემთვის კორესპონდენციები პოლონეთის შტაბში გადასაცემად.

„ერთი ჯიბე“

შემდეგ პენკოვი ამბობს: „გასამრჯელო ანჯაფარიძის გადაყვანისათვის საბჭოთა საზღვარზე ჩემთვის უნდა მიეცა იმნაძეს. ვინაიდან იმნაძემ ვერ მოასწრო ჩემთან ანგარიშების გასწორება, ფულები მომცა ანჯაფარიძემ“, „ეს ხომ ერთი ჯიბეა“—საფუძვლიანად შენიშნავს პენკოვი.

„გასამრჯელოს შესახებ არ შევთანხმებულვართო,—განაგრძობს პენკოვი. იმნაძემ მითხრა მხოლოდ, რომ თუ თვითონ ვერ მოასწრო ანგარიშების გასწორება, ფულს მივიღებდი ანჯაფარიძისაგან“.

„სასიამოვნოს და სასარგებლოს“ შეთავსება

პენკოვისათვის მიცემულ შეკითხვიდან ირკვევა აგრეთვე, რომ საქართველოში გამგზავრებაზე დასთანხმდა არა „დასვენების“ მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ეს ხელსაყრელი იყო მისთვის, რადგან „ყოველ საგზაო ხარჯებს კისრულობდა ანჯაფარიძე“. ანჯაფარიძის მიერ საქართველოში გამგზავრების წინ პენკოვისათვის გადაცემული საიდუმლო საბუთები, უკანასკნელს, დაპატიმრების შემთხვევაში უნდა გაესაღებია „ნაპოვნ ქაღალდებათ“.

„ფორმალური და ფაქტიური“ ჯაშუშები

„ფორმალურად მე ვითვლები პოლონეთის შტაბის შტატიან აგენტად“,—ამბობს პენკოვი თავმჯდომარის შეკითხვის საპასუხოდ და ამით, თითქო მიჯნას ავლებს თავის თავსა და ანჯაფარიძეს შორის, რომელიც, რადგან რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ, ითვლებოდა მხოლოდ ფაქტიურ აგენტად. კოტრაბანდის გადატანა, პენკოვის სიტყვით, იყო მისი ძირითადი პროფესია, რომელთანაც ათავსებდა ჯაშუშობას.

პენკოვი ცდილობს „იხსნას“ ფეოდოროვი

ფეოდოროვი კატეგორიულად უარყოფს, რომ სამხედრო მოწმობების შევსებული ბლანკები მისცა პენკოვს.

ამის საპასუხოდ თავმჯდომარეს მოჰყავს ამონაწერი პენკოვის. წერილობითი ჩვენებიდან, სადაც ის ლაპარაკობს, რომ „„სამხედრო მოწმობები, რომელიც მას აღმოაჩნდა დაპატიმრების დროს, მიიღო ფეოდოროვისაგან“.

პენკოვი იმ მიზნით, რომ იხსნას თავისი მეგობარი, რომელსაც მან თავისი წერილობითი ჩვენებით „ყელი გამოსჭრა“, მეორეთ ბაძავს ანჯაფარიძეს და აცხადებს:

„ჩემი წერილობითი ჩვენება არ არის სწორიო“.

რა დავალებები ჰქონდა პენკოვს

ბრალდებულს კითხვებს აძლევს სახ. ბრალმდებელი ამხ. პრიგოვი.

ამხ. პრიგოვი ეკითხება პენკოვს: „რას წარმოადგენდა ის ბინა, სადაც თქვენ და ზილბერმანი ცხადდებოდით საზღვარზე გადმოსვლის შემდეგ“.

პენკოვი: „ეს იყო ბინა, სადაც ჩვენ უნდა გამოვცხადებულიყავით, იქიდან კი ფარულ აგენტს დანილევსკის თავის (ე. ი. პოლონეთის შტაბის, ა. ჭ.) ხარჯზე მოვყავდით ლვოვში“.

კითხვა: მოგცეს თუ არა თქვენ დავალება გაგეგოთ რომელი მოსამსახურე, როგორ ცხოვრობს, რომელს უყვარს ხელგაშლილი ცხოვრება, სმა, კარტის თამაში, ქალები“?

პასუხი: ასეთი დავალებაც მქონდა მოცემული“.

პენკოვი ცდილობს გულწრფელობა გამოიჩინოს და მიმართავს „თვითგამომჟღავნებას“.

თურმე მას, ზემოხსენებულ დავალებას გარდა, პოლონეთის შტაბის აგენტმა ნედზვიალკოვსკიმ დაავალა გაეგო, თუ სად იმყოფება პოლონეთის გენერალური შტაბის კურიერი.

დეგტიარევი, რომელსაც შტაბი დაეძებდა. ნედზვიალკოვსკისთან გამოცხადების პაროლი იყო „სალამი ნარიანჩიკისგან“.

ხმელევსკი,—პენკოვის სიტყვით,—მას გაეცნო, როგორც ლომბარდის თანამშრომელი.



უზენაეს სასამართლოს შენობა ხარკოვში, სადაც ირჩევა ქართველ მენშევიკების საქმე

„შურისძიება“

ამხ. **პრიგოვი** ეკითხება პენკოვს: „უარყოფთ თუ არა თქვენ თქვენს წერილობითი განცხადებას, რომ ანჯაფარიძე გაგაცნოთ კაპიტანმა მაგერამ“.

პენკოვი უარჰყოფს თავის წერილობითი ჩვენებას. „ეს მე ვქენი ანჯაფარიძეზე შურის საძიებლად, რადგან მან დაპატიმრების დროს ყველაფერი სთქვა ჩემზე და ამან მე აღმაშფოთაო“,—განმარტავს პენკოვი.

აუდიტორია იცინის.

გასტრონომიული წვრილმანები

პენკოვი უარყოფს ფულების მიღებას იმნაძისაგან და აცხადებს, რომ კამენეც-პოდოლსკში ჩასვლისთანავე ჯლამაიამ (ანჯაფარიძემ) იკისრა ყოველივე ხარჯების დაფარვა და ამ მიზნით აძლევდა ფულებს პენკოვს.

„ხურდას ჩემს ჯიბეში ვიტოვებდიო“,—უტიფრად აცხადებს პენკოვი.

შემდეგ პენკოვი დაწვრილებით მოუთხრობს პენკოვს, რამდენი მიიღო ანჯაფარიძისაგან კამენეც-პოდოლსკში, სად სადილობდენ, რას სჭამდენ, როგორ ყიდულობდენ პაპიროსებს.

აუდიტორია იცინის ამ ორი ჯაშუშის გასტრონომიულ მიდრეკილებათა დაწვრილებით აღწერის დროს.

პენკოვი თითქო წაათამამა ამ მხიარულმა სიცილმა, მას ენა ეხსნება დაწვრილებით და გაბედულად მოუთხრობს სასამართლოს თავის „საქმეებს—საგმიროთ“.

პენკოვი უკმაყოფილოა

თბილისში პენკოვს თურმე არ მოეწონა ბუნება. „რა არის ეს?—მხოლოდ მთები და მთებიო!“—უკმაყოფილოდ განუცხადა მან ანჯაფარიძეს. უკანასკნელმა თითქო დანაშაულად იგრძნო თავი, რომ მის მიერ „ლამაზ ქვეყანაში“ „დასასვენებლად“ წამოყვანილ ჯაშუშს არ მოეწონა საქართველოში და მორცხვად წინადადება მისცა პენკოვს გამგზავრებულიყო ყირიმში, სადაც მთებიც არის და ზღვაც“.

ანჯაფარიძემ მისცა პენკოვს საგზაო ფული და გაისტუმრა ის ყირიმში.

უსაფუძვლო შიში

„ისე მოხდა საქმე,—განაგრძობს „გულახდილობას“ პენკოვი, რომელიც უბრუნდება ანჯაფარიძესთან შეხვედრის ამბავს,—რომ იმნაძეს მე შევხვდი მანამდი, სანამ მას გამაცნობდენ პოლონელი ოფიცრები. მე ვშიშობდი—ვაი თუ მომხვდეს იმისათვის, რომ შტაბის ზურგს უკან ვაწარმოებდი მოლაპარაკებას კაცის გადაყვანის შესახებ საზღვარზე. გამოირკვა, რომ შიში უსაფუძვლო იყო, რადგან იმნაძე და ჯლამაია „თავისი ხალხი“ აღმოჩნდა.

ანჯაფარიძე აჯანყების „წინააღმდეგია“

პრიგოვი ეკითხება ანჯაფარიძეს: თქვენ ალბათ იარაღით ხელში საბჭოთა კავშირის დასაცავად მიიღეთ ფეოდოროვისაგან ყალბი სააღრიცხვო ბარათი“?

ანჯაფარიძეს უხერხულობისაგან ნაცრის ფერი ადევს. მას სურს შეასწოროს თავისი გუშინდელი განცხადება და ამბობს, რომ იარაღით ხელში იბრძოლებს საბჭოთა კავშირის მხარეზე, რომ ომის შემთხვევაში რუსეთში არ დაბრუნდეს თეთრ ცხენზე მჯდომი მონარქისტები.

ტარასოვი, სასამართლოს წევრი ეკითხება ანჯაფარიძეს: „საზღვარგარეთელი მენშევიკები კი, როგორც ვიცი, ამტკიცებენ, თითქო ბოლშევიკების დამხობის შემდეგ დემოკრატია გაიმარჯვებსო“?

ანჯაფარიძე თავის ამხანაგების ამ აზრს არ იზიარებს. იგი აცხადებს, რომ „მესამე ძალა რუსეთში არ არსებობს“.

პრიგოვი შენიშნავს: „თუ თქვენ ამას აღიარებთ, მაშ რათ ერევით მესამე ძალის სახით?“

ანჯაფარიძე იბნევა.—„მე ხომ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი ვარო“, ნახევრად ყრუდ ამბობს ბოლოს ის და ამით თითქო სურს დაანახოს სასამართლოს განსხვავება თავის თავსა და საზღვარგარეთელ მენშევიკებს შორის.

დარბაზი იცინის.

35 მანეთი ყალბ საბუთებში

ფეოდოროვი უარჰყოფს, რომ მიიღო 35 მანეთი ყალბი სამხედრო საბუთების დამზადებისათვის, თუმცა საბრალმდებლო ოქმში მოიპოვება მისი წერილობითი ჩვენება, რომელშიც იგი ფულის მიღების ფაქტს ადასტურებს.

ყალბი სამხედრო საბუთების ფულის მიცემის ფაქტს უარყოფს აგრეთვე პენკოვიც, რომელმაც, ეტყობა, დაჰკარგა რა თავისი თავის „გამოძვრენის“ იმედი, გადასწყვიტა როგორმე „გამოაძვრინოს“ თავისი მეგობარი ფეოდოროვი.

სასამართლო მოუწოდებს ორივეს იყონ გულწრფელი.

ჯაშუშის „ლოღიკა“

პოპოვი ეკითხება პენკოვს: რამდენს იღებდა პოლონეთის შტაბში სამსახურისთვის.

პენკოვი უარყოფს ფულად ჯილდოს მიღებას პოლონეთის შტაბისგან და გულუბრყვილოდ აცხადებს, რომ გასამრჯელოს სახით მას აძლევდენ კოტრაბანდის გადატანის ნებართვას. პენკოვი ცინიკურის მწუხარებით აღნიშნავს: „ფულის მიღება პოლონეთის შტაბისგან არაკეთილსინდისიერება იქნებოდა, რადგან მე შესაფერისად ვასრულებდი ექსპოზიტურის დავალებებსო“.

პენკოვის განცხადებით, მისი ჯაშუშური მუშაობა სრულიად არ უთხრიდა ძირს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილებას.

ეს არის განმეორება ანჯაფარიძის ნათქვამის. საერთოდ პენკოვი ცდილობს მიჰბაძოს ანჯაფარიძის ქცევას სასამართლოში.

უცნაური ლოღიკა აქვს ამ ჯაშუშს, თურმე მისი მოღვაწეობა „უვნებელი“ იყო იმიტომ, რომ მას გადაჰქონდა ცნობები, მაგრამ თვითონ არ აგროვებდა მათ.

პენკოვის ეს განცხადება ეწინააღმდეგება მის მიერ სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე მიცემულ პასუხს, რომ პოლონეთის შტაბის დავალებით აგროვებდა ცნობებს კიეველ სამხედრო პირების ზნე-ჩვეულებების შესახებ.

— „თუ ასეთი „უვნებელი“ იყო თქვენი მოღვაწეობა, მაშინ რატომ არ ეწეოდით მას“-ო,—ირონიულათ ეკითხება პენკოვს ამხ. **პრიგოვი.**

— „იმიტომ, რომ გეპეუ დამიჭერდა და სარდაფში ჩამსვამდაო“,—გულახდილათ აცხადებს პენკოვი.

დარბაზში შეუკავებელი სიცილია.

ჭეშმარიტი რუსი

ჯერი მიდგა დამცველებზე.

დამცველი **კორნიკოვი** ეკითხება პენკოვს—აქვს თუ არა მას ეროვნების მიხედვით რაიმე კავშირი პოლონეთთან?

— „არა, მე რუსი ვარ“,—უპასუხებს პენკოვი ისეთი კილოთი,—როგორც ეს სჩვევია აშკარა შავრაზმელს.

„მზად ვარ დაუბრუნდე ზეინკლობას“

კითხვა: მიდით, თუ არა რაიმე დასკვნამდე ამ ორი წლის განმავლობაში?

პასუხი: დიაღ. და თუ გამათავისუფლებენ, ვიმუშავებ პატიოსნათ. არ მივიყვან საქმეს იქამდი, რომ ჯაშუშობისათვის გამასამართლოს უზენაესმა სასამართლომ. მე ვარ ზეინკალი. ვიცი დურგლის ხელობა. შემეძლო კვლავ ამ ხელობას დავბრუნებოდიო“—ამბობს პენკოვი ისეთი კილოთი, რომ თავი შეაბრალოს სასამართლოს.

სკეტსის, ფეოდოროვის დამცველის შეკითხვაზე პენკოვი უპასუხებს, რომ ფეოდოროვს იცნობს შკოლიდან—ერთად სწავლობდენ რეალურ სასწავლებელში.

პენკოვი უარყოფს, რომ ფულის მიცემა აღუთქვა ფეოდოროვს ჯლამაიასათვის დამზადებულ სააღრიცხვო ბარათში.

გაცვეთილი ხერხი

ამხ. **პრიგოვი** სთხოვს სასამართლოს გამოქვეყნდეს პენკოვის წერილობითი ჩვენება, სადაც ის ამ ფაქტს ადასტურებს.

პენკოვი უარყოფს თავის წერილობითი ჩვენებას. უარყოფს ამას ფეოდოროვიც.

ყველა „საბედისწერო“ მომენტებში ბრალდებულ ანჯაფარიძის, პენკოვის და ფეოდოროვის პასუხები ერთგვარია: „არ ვიცი“, „არ მახსოვს“, „დამავიწყდა“, „ავად ვიყავი წერილობითი ჩვენების დროს“ და სხვ. ეს ერთი და იგივე ხრიკი იმდენათ ხშირად მეორდება, რომ ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს.

დაშიფრული მიწერ-მოწერა

მაგრამ გამოძიების აქტის მასალებში ამ მხრივ მოიპოვება ისეთი ურყევი საბუთები, რომ მათ ვერ გააქარწყლებს ვერავითარი „არ ვიცი“ და „არ მახსოვს“.

ეს არის დაშიფრული ბარათები, რომლებსაც ერთმანეთს უგზავნიდენ პენკოვი და ფეოდოროვი გეპეუს კამერაში ჯდომის დროს.

ერთს ასეთ დაშიფრულ ბარათში ფეოდოროვი წინადადებას აძლევს პენკოვს უარჰყოს ჩვენება, დროს მის, ფეოდოროვის მიერ ყალბი სამხედრო ბლანკების დამზადება: „თუმცა ეს ეწინააღმდეგება შენს წერილობით ჩვენებასო,—სწერდა ფეოდოროვი პენკოვს,—მაგრამ იმედი მაქვს რომ ცოტაოდენი თაღლითობით

გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე

განსაკუთრებით ყოველ თავის კოლონიის მხრივაც, საიდანაც ფაქტიურად იდევნება ინგლისური ვაჭრობა, ინგლისური მრეწველობა, ინგლისური გავლენა. ეკონომიურად ინგლისი უკვე მეორე და მე-3-ე ხარისხოვანი სახელმწიფოა თავისავე კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში, საიდანაც იგი (ინგლისი) გამოდევნა ამერიკამ. მაშინ, როცა ინგლისს და დანარჩენ ევროპას არავითარი საშუალება აღარ გააჩნია (გარდა მუშისა, რაიც უნდა დაუძლურდეს ეკონომიკის მიხედვით) თავიანთ კოლონიებს მიაწოდონ სულ ახალ-ახალი თანხები და სესხები, ამერიკა არ უშვებს არც ერთს თვეს, რომ თავისი კაპიტალი არ აამაღლოს თავისი პრესტიჟი და თავისი ეკონომიური გავლენა, რასაკვირველია, ევროპა-ინგლისის ხარჯზე „United States Daily“-ის 6 აპრილის ცნობით 1927 წლის პირველს მეოთხედში მან ლათინურ ამერიკას ასესხა 141,7 მილ. დოლარი, შორეულ აღმოსავლეთს 72,5 მილ. დოლარი, ხოლო კანადას 47,7 მილ. დოლარი.

ჩვენ ვიმყოფებით მეტის-მეტად საინტერესო პირობებში. სოციალ - დემოკრატიულ პარტიას ევროპის კრიზისის შესახებ დღესაც ვერ გამოუტანია გარკვეული აზრი და მას აშინებს ევროპის კრიზისის აღიარება, ვინაიდან ეს ხომ იქნებოდა კომუნისტების ანალიზის აღიარება, ეს ხომ იქნებოდა აღიარება რევოლიუციის შესაძლებლობისა ევროპაში... აკი „ფორვერტსი“ აიმედებდა თავის მკითხველებს, რომ ნუ გეშინიათ, ევროპა არ გადაიქცევა ამერიკის კოლონიადო. რასაკვირველია, „ფორვერტს“ გამოეპარა ის, რომ ევროპა დღეს უკვე ამერიკის ფაქტიური კოლონიაა. გარდა იმ მასალებისა, რომელნიც ჩვენ მიერ აქ მოყვანილია ჩვენ მოვიყვანთ რუდოლფ ჰილფერდინგის ჟურნალიდან „ჰეზელშაფტი“-დან) კარლ რენერის ვრცელ დებულებას, რომელსაც ალბად მენშევიკები უფრო დაუჯერებენ, ვინაიდან ის ერთი დიდი იურისტი და ეკონომისტია გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა. კ. რენერი სწერს: ევროპა, როგორც ფინანსიურ კაპიტალის ქვეყანა ეკონომიურად უკვე გამოდევნილია თავის წინანდელ კოლონიებიდან, რომელნიც ამ მხრივ გახდნენ დამოუკიდებელნი. თანხები, რომელიც 1914 წელში ამერიკის შეერთებული შტატებს ჩაუდვია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აღწევდა სამ მილიარდს, ხოლო ათი წლის შემდეგ, ე. ი. 1924 წ. უკვე თვრამეტ მილიარდ მარკას. ამავე ხნის განმავლობაში ამერიკის კაპიტალის განწყობილება ისე შეიცვალა, როგორც 0,6 დამოკიდებულება 3,7 მილიარდ მარკასთან, თვით ბრიტანეთის კოლონიებში ამერიკული კაპიტალი 2,2 მილიარდიდან ავიდა 11,4 მილიარდ მარკამდე, ხოლო ევროპაში, ჯერ კიდევ მოუგვარებელ საკრედიტო პოლიტიკის პირობებში 0,2 მილიარდიდან 57.2 მილიარდ მარკამდე. კ. რენერს საჭიროდ მიაჩნია მოიყვანოს გერმანიის გამოჩენილ ეკონომისტის ჰარმსის აზრი ამ საგანზე, ვინაიდან ეკონომისტი ჰარმსი ბურჟუაზიულს მსოფლიოში ითვლება საერთაშორისო მეურნეობის საუკეთესო მცოდნეთ და მკვლევარად. ჰარმსი ამბობს: ამერიკას არ დასჭირებია ათი წელიწადიც, რომ თავისი დავალიანება ევროპისადმი ომის წინ (16 მილიარდი მარკა) გადაეხადა, ხოლო თვითონ ევროპისათვის დაედო 60 მილიარდი მარკა და გარდა ამისა, ესესხება მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებისათვის 30 მილიარდი მარკა. ინგლისისათვის კი საჭირო იქნებოდა მთელი საუკუნე, რომ ეშოვნა 80 მილიარდი წმინდა კაპიტალი (კრედიტი) ან და გერმანიისათვის საჭირო იქნებოდა მხოლოდ 30 მილიარდი მარკისათვის ერთნახევარი სიცოცხლე (დრო) ადამიანისა და საფრანგეთის 50 მილიარდისათვის ორი ჯამი ადამიანის სიცოცხლისა, ე. ი. 160 წელიწადი.

ჰარმსი ამტკიცებს, რომ მეოცე საუკუნე ამერიკისათვის ისეა გადაშლილი, როგორც ევროპისთვის იყო მე-19 საუკუნე, მისი ოქროვან პერიოდით კაპიტალიზმის პირველ-ყოფილ დაგროვებისათვის. არა თვით ეს მდგომარეობა ამ წუთში, არამედ ამ ციფრების მიმართულება და განვითარება ჰბადებს ჩვენში მოუსვენრობას—ამბობს კ. რენერი. ახასიათებს რა ამ მდგომარეობას კ. რენერი დაასკვნის, რომ ამერიკული ეკონომიკის საერთო განვითარება სწარმოებს არა უბრალო პროგრესის მიხედვით, არამედ მისი განვითარება სწარმოებს კვადრატიულის სიჩქარით. იხ. რენერის—Nationalwirtschaft und Weltvirschaft“—გვ. 305.

კიდევ უფრო ადრე, ვიდრე მრავალი ნაშრომი იქნებოდა გამოქვეყნებული ევროპიულ კაპიტალიზმის დეკადანსის შესახებ, ერთი ფრანგი მწერალი (დემანჟონი) ამბობდა, რომ „ამჟამად ჩვენ მოწმენი ვხდებით ეკონომიური ცხოვრების ცენტრის გადატანისა ამერიკასა და აზიაში“-ო. (იხ. მისი თხზულება—Le Declin del, Europe.—მაგრამ ეს შესანიშნავი პროცესი ამჟამად სავსებით ჩამოყალიბებულად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი მომავალი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება იქნება დაკავშირებული ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნების დეკადანსის შედეგებთან, ამ ნიადაგზე გამოწვეულ ყოველგვარ კონფლიქტებთან, ყოველგვარ ექსცესებთან.

თედო ღლონტი.

ბერლინი.

---

*) დასასრული.

შევსძლებთ დაუძრეთ ამ ბრალდებას სასამართლოში.

ფეოდოროვი უარობს ამ წერილის ავტორობას და აცხადებს, რომ წერილი დაწერილია „სხვის მიერ“.

მაგრამ ამაო არის ეს ცდა.

სასამართლოს თავმჯდომარე აქვეყნებს ფეოდოროვის წერილს, რომელშიც მრავლათ არის გაფანტული უცენზურო სიტყვები. საჭირო ხდება წერილის წაკითხვა სიფრთხილით.

თავმჯდომარე აქვეყნებს აგრეთვე ფეოდოროვის მეორე, დაშიფრულ წერილს. ამ წერილში ფეოდოროვი ატყობინებს პენკოვს: „გამომძიებელმა, როგორც ჩანს ეჭვი აიღო, რომ ჩვენ მიწერ-მოწერა გვაქვს და რომ ჩვენ შეუთანხმდით ერთმანეთს“.

ეს უკანასკნელი წერილი ადასტურებს, რომ დაშიფრული წერილების ავტორი არის ფეოდოროვი და რომ მას მიწერ-მოწერა ჰქონდა პენკოვთან თავისი პროვოკმოქმედების ფაქტის დაფარვის შესახებ.

ფეოდოროვი სტოვებს შთაბეჭდილებას ნამდვილი კანცელარიის „ვირთხისას“, ლაპარაკობს, როგორც ფელდფებელი, ყოველნაირად ცდილობს გაუქვრეს ბრალდებას, მაგრამ ულმობელ ფაქტების წინაშე იძულებულია აღიაროს, რომ თავით-ფეხებიანა გაება.

პენკოვის მთავარი და დამატებითი პროფესია

პენკოვი აცხადებს, რომ დაასრულა რეალური სასწავლებლის ხუთი კლასი. სასწავლებელშივე შეისწავლა ზეინკლობა და დურგლის ხელობა.

„ჩემი მთავარი პროფესია არის კონტრაბანდა“,—განმეორებით აცხადებს პენკოვი, რომელიც დაჟინებით ცდილობს თავისი დანაშაულის სიმძიმე გადაიტანოს კონტრაბანდაზე და თავი განთავისუფლოს უფრო საშიშ ბრალდებებიდან, ბრალდებიდან ჯაშუშობაში.

უყურებ პენკოვს და ვხედავ ტიპიურ დეგენერატს, რომელიც „გულუბრყვილო“ პასუხებს იძლევა შეკითხვებზე, ლაპარაკობს სხვების კარნახით. ერთი სიტყვით წარმოადგენს ტიპს კარგად დაგეშილ, საკუთარ ნებისყოფას და აზროვნებას მოკლებულ ჯაშუშისას.

—:—

დილის სხდომა დასრულდა. საღამოს სხდომაზე დაკითხულ უნდა იქნეს მოწმე კულინიჩი, რომლის ჩვენებამ ბევრი ახალი რამ უნდა შესძინოს გამოძიების მასალებს.

ყველანი მოუთმენლად ელიან მის დაკითხვას.

აქ. ჟუნია.

24 ივლისის საღამოს (მერვე) სხდომა

მოწმე კულინიჩის ჩვენება

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მოწმე საპატიმროდან

ხარკოვი, 24 ივლისი. სასამართლო იწყებს დაკითხვას მოწმე კულინიჩისას, რომელიც პენკოვთან ერთ კამერაში იჯდა და რომელსაც პენკოვი ყველაფერში გულწრფელად გამოუტყდა.

კულინიჩი ახლაც დაპატიმრებულია და სასამართლოში პირდაპირ გამასწორებელი სახლიდან მოიყვანეს.

კულინიჩი უამბობს სასამართლოს, რომ პენკოვი მას ყველაფერში გამოუტყდა. და აი, რა ირკვევა მისი ჩვენებიდან.

კონტრაბანდისტობიდან — ჯაშუშობამდე

პენკოვი, რომელიც არ დააკმაყოფილა მამის მეურნეობაში მუშაობის „ვიწრო“ ფარგლებმა და ვერც დურგლობა-ზეინკლობას მოჰკიდა ხელი, დაიწყო კონტრაბანდისტობა. გაეცნო საბჭოთა საზღვარზე გადასვლა - გადმოსვლის ტექნიკას, შეიძინა ნაცნობ - მეგობრები პოლონეთის შტაბის ჯაშუშებში და ჩქარა დარწმუნდა, რომ შესაძლებელია გამოჩენილმა კაცმა „ორიოდე გროში“ კიდევ წაუმატოს კონტრაბანდული ვაჭრობით მიღებულ შემოსავალს — ხელი მიჰყო ბნელი პირების გადაყვან - გადმოყვანას საბჭოთა საზღვარზე. პენკოვი ახალი ხელობით კმაყოფილი დარჩა, რადგან ხალხი, რომელსაც საფუძველი ჰქონდა არ დანახოდა საბჭოთა ხელისუფლებას და ბნელ ღამეში გადასულიყო საბჭოთა საზღვარზე, კარგ გასამრჯელოს აძლევდა მას.

„კოსტია“ და „ფილიპე“

პენკოვმა უამბო კულინიჩს, რომ გადმოიყვანა პოლონეთიდან ვინმე ფილიპე ჯღამაია, რომელთანაც ერთად იმგზავრა საქართველოში. ლაპარაკის დროს პენკოვმა აღნიშნა, რომ ჯღამაია გაიცნო ლვოვში კაპიტონ სოლოდკოვსკის საშუალებით. პოლონეთის შტაბში პენკოვს უთხრეს, რომ ჯღამაია მან უნდა გადაიყვანოს საბჭოთა კავშირში და შემდეგ უკან. ჯღამაიასა და პენკოვს შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი, რადგან ორივეს დავალებული ჰქონდა შტაბისაგან ანტი-საბჭოთა მუშაობის წარმოება.

პენკოვმა ფილიპესთან (ჯღამაია - ანჯაფარიძე) იმგზავრა საქართველოში. უკრაინაში დაბრუნების წინ მან შენიშნა, თითქო მათ თვალს ადევნებენ. ამიტომ პენკოვი გაემგზავრა ყირიმში, ჯღამაია კიევში.

პენკოვს კულინიჩისათვის სხვათა შორის უთქვამს: „ჯღამაია დიდი ფიგურაა პოლონეთის შტაბში, მაგრამ გეპეუმ ეს არ იცის. მე ალბათ, როგორც კონტრაბანდისტს, მომისჯიან ექვსი წლის ციხეს, მაგრამ შემდეგ ფილიპე უზრუნველმყოფს“.

განზრახვა, რომელიც სისრულეში ვერ მოიყვანა პენკოვმა

პენკოვს განზრახვა ჰქონდა ჩამოეტანა ფოტოგრაფიული აპარატი ასლების გადასაღებად იმ საიდუმლო ბრძანებებიდან, რომელთა გატაცება არ შეიძლებოდა. საარიცხვო ბარათების ბლანკებს პენკოვი ინახავდა თავის ბინის პატრონ გროზდოვის ქალთან, რომელიც ამ საბუთებს მალავდა მაგიდის საფარს ქვეშ.

კულინიჩი არის შოფერი. დაპატიმრებულია ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის ანგარების მიზნით. მისი ჩვენება ფარდას ხდის ბრალდებულთა ბანდის მთელ ჯაშუშურ საქმიანობას. „პენკოვი ბევრ რამეს მალავდა ჩემთან საუბარში,—განაგრძობს კულინიჩი. — ყველაფერი რაც მან მითხრა, ვაცნობე ხელისუფლებას, რადგან მე მუშა ვარ და მხარს უჭერ საბჭოთა ხელისუფლებას“.

ფასიანი და უფასო „მგზავრები“

პრიგოვის შეკითხვაზე, თუ რამდენს იღებდა „მგზავრების“ გადაყვან - გადმოყვანისათვის საბჭოთა საზღვარზე, პენკოვი უპასუხებს, რომ კერძო პირებისაგან იღებდა 100 დოლარს, შტაბის მიერ დავალებულ პირების გადაყვანისათვის—არაფერს. ჯღამაია ეკუთვნოდა უკანასკნელ კატეგორიას, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მას „უფასო მგზავრობის“ უფლება ჰქონდა, ანჯაფარიძე თავისი ნებით უხვად აჯილდოვებდა პენკოვს.

პენკოვის გასეირნება პარიზში

პენკოვი, კულინიჩის სიტყვით, სამხედრო დოკუმენტებისათვის შტაბში იღებდა 300—400 დოლარს.

როგორც კულინიჩის ჩვენებიდან ირკვევა, ვარშავაში მოკალათებული ქართველი მენშევიკები იმდენათ მოუხიბლავს პენკოვის „უნარობას“ და „გამოცდილებას“, რომ პარიზში გაუგზავნიათ საზღვარ-გარეთელ ბიუროსთან კავშირის დასაჭერად. პარიზში პენკოვი დროს ტყუილად არ კარგავდა და ორმაგად სასარგებლო მენშევიკებისა და თავის ჯიბისათვის) საქმესთან ათავსებდა კიდევ მესამეს — გადაეშვა პარიზის გახრწნილების მორევში. და არც გაემტყუნება ეს პენკოვს — განა ხშირად მიეცემა კაცს ისეთი შემთხვევა, რომ სხვის ხარჯზე იმგზავროს პარიზში! „თუ ახლა არა სხუმის როდისო“, — ალბათ, ესერ გობერიასავით მსჯელობდა პენკოვიც.

პენკოვმა ისეთი რამეები უამბო თავის პარიზულ დროს ტარების შესახებ, რომ კულინიჩი ქალების თანდასწრებით ვერ ახერხებს ამ ამბის გამეორებას. პენკოვიც კი წითლდება და თავჩაქინდრული ზის.

დარბაზი იცინის.

კულინიჩის ჩვენება ყველა ბრალდებულებზე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. ისინი გრძნობენ, რომ მათ „უვნებელ“ ანტი-საბჭოთა მოღვაწეობას საშიში ხასიათი მიეცა მოწმის ჩვენებით.

პენკოვი რამოდენიმეჯერ ცდილობს უარჰყოს მოწმის ჩვენების ზოგიერთი ადგილები, მაგრამ ამაოთ.

კოლონაშვილი „ხუმრობს“

კოლონაშვილი აცხადებს, რომ მიწერ-მოწერა ჰქონდა პატიმრებთან, მათ რიცხვში კულინიჩთანაც. კულინიჩთან მიწერ-მოწერაში თავის თავს უწოდებდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წარმომადგენელს, აკადემიის გენერალს, ქართულ ცხენოსანთა პოლკის უფროსს.

უყვარს ამ ყოფილ თუ ნამდვილ ესერს ხუმრობა და ეს ხუმრობაც ასე ვსთქვათ, მისი გონებრივი ავლა-დიდებისა და პოლიტიკური სიმტკიცის შესადარია!

ყიფიანი

პენკოვის გვერდით კამერაში იჯდა ვინმე ყიფიანი, რომელთანაც პენკოვი კაკუნით აწარმოებდა მოლაპარაკებას და უფრო გულახდილი იყო, ვიდრე კულინიჩთან. პენკოვი უარჰყოფს ამას.

ფოსტა ფეხისადგილში

კულინიჩის სიტყვით, შექეშვილმა, ანჯაფარიძემ და პენკოვმა ფეხისადგილში მოაწყვეს ფოსტა, სადაც ერთმანეთს წერილებს უტოვებდენ. წაკითხვის შემდეგ წერილებს სწვავდენ.

მოხერხება, რომ მართლაც გასაოცარია. ამას შესძლებდენ მხოლოდ დახელოვნებული ჯაშუშები.

პრიგოვი ეკითხება ანჯაფარიძეს—აწარმოებდა, თუ არ იგი მიწერ-მოწერას პენკოვთან და მის შემთხვევითი თანამეზობლებთან—ყიფიანთან.

ანჯაფარიძე ადასტურებს მიწერ - მოწერის ფაქტს. პენკოვი წერილებში უსაყვედურებდა ანჯაფარიძეს, თუ რატომ „ყველაფერში“ გამოტყდა და გასცა პენკოვი.

პენკოვი ასეთი წერილის გაგზავნას უარჰყოფს.

„დიდი კაცი“ ანჯაფარიძე

კულინიჩი რამოდენიმეჯერ ამოწმებს ფაქტს იმისას, რომ პენკოვმა განაცხადა: „ანჯაფარიძე დიდი კაცია პოლონეთის შტაბში“.

თავის მეზობელთან კამერით—ყიფიანთან — პენკოვი განსაკუთრებით გულახდილი იყო, რადგან თვლიდა მას ქართველ მენშევიკათ. კულინიჩს საშუალება ჰქონდა ყური დაეგდო მათი კაკუნით მოლაპარაკებისათვის და ყოფილიყო პენკოვ - ანჯაფარიძის და სხვ. ჯაშუშური მოღვაწეობის კურსში.

შემდეგ კულინიჩი უამბობს სასამართლოს, რომ პენკოვი ცნობებს აგროვებდა მეორმოცდახუთე დივიზიის შესახებ კიევში.

ანჯაფარიძის „კონსპირაციის თეორია“

ანჯაფარიძე ცდილობს დიდ რევოლიუციონერ - კონსპირატორათ მოაჩვენოს თავი სასამართლოს და კულინიჩის ჩვენების იმ ნაწილის გასაბათილებლად, თითქო პენკოვმა შენიშნა, რომ მათ თბილისში თვალს ადევნებდენ, აცხადებს: „რომ მცოდნოდა, თითქო მე და პენკოვს თვალს გვადევნებდენ, არ დავბრუნდებოდი კიევში, რადგან კონსპირაციის წესების მიხედვით, თვალყურის დევნების დროს არ ბრუნდებიან იქ, საიდანაც ეჭვ აღებული კაცი გამოემგზავრა“.

ანჯაფარიძის „კონსპირაციის თეორიას“ თავის დაქნევით ადასტურებს პენკოვიც.

პარიზელ შეფების გამათრახება

შემდეგ პროკურორი განმეორებით ეკითხება ანჯაფარიძეს: სცნობს თუ არა ის ე. წ. „პარიზის მთავრობას“?

ანჯაფარიძე იძლევა ჩვეულებრივ მიკიბულ-მოკიბულ პასუხს: „მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს ვცნობ, პარიზის მთავრობას“ არ ვცნობ. რადგან მთავრობა უტერიტორიოთ არ არის მთავრობაო“.

„კი მაგრამ, ჟორდანია ხომ მთავრობის თავმჯდომარეც არის და ბიუროსიც,—ეკითხება ანჯაფარიძეს სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. პრიგოვი.

„ჟორდანიას აზრი ხშირად არ ეთანხმება პარტიის აზრსო“,—უპასუხებს ანჯაფარიძე და სთხოვს სასამართლოს წაიკითხოს ამონაწერი სეით დევდარიანის წიგნიდან „პასუხი ჟორდანიას“.

თავმჯდომარე კითხულობს ამონაწერს; სადაც ნათქვამია რომ ჟორდანია არ ითმენს პარტიაში ისეთ ხალხს: რომელიც მისებრ არ აზროვნებს; რომ ის ნამდვილი დიქტატორია.

ანჯაფარიძე, როგორც თავისი პარტიის შინაური ცხოვრების კარგი მცოდნე, ამონაწერს კიდევ უფრო ანვითარებს და ამბობს, რომ ჟორდანიას დიქტატორობა არაფერი არაა რამიშვილის დიქტატორობასთან შედარებით.

თავის პარიზელ შეფების ასეთი დაუზოგავი გამათრახება ანჯაფარიძეს დასჭირდა იმისათვის, რომ დაესაბუთებინა თავისი „უარყოფითი“ დამოკიდებულება“ პარიზის მთავრობისადმი“.

საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებს ამ განდიდებულ მენშევიკის განცხადება. როგორც კი საჭიროა პირდაპირი პასუხის გაცემა ისეთ კითხვაზე, რომელიც ნათელყოფს მის პოზიციას, ანჯაფარიძე ეთხოვება ლოღიკას და იწყებს რაღაც აბდა-უბდის ჩმახვას. და მართლაც რა ლოღიკაა განცხადებაში: „პარიზის ბიუროს ვცნობ, მთავრობას კი არაო“.

ეს პარიზის ბიურო ხომ უდავოთ სცნობს ამ „მთავრობას“, ანჯაფარიძე სცნობს პარიზის ბიუროს. ე. ი. სცნობს იმ „მთავრობას“, რომელსაც სცნობს მენშევიკების საზღვარგარეთელი ბიურო. ეს ლოღიკური დასკვნა ცხადია, საბავშვო ბაღის მოწაფისათვისაც. ცხადი „არ არის“ მხოლოდ ანჯაფარიძისათვის, რომელიც ფიქრობს ვინმე მოატყუოს და დააჯეროს იმაში, რომ ის არ იზიარებს გადახვეწილი „მთავრობის“ პოლიტიკას და „ოპოზიციონერია“.

„ავადმყოფობის“ ბრალია

ანჯაფარიძე, იმ მიზნით, რომ შერჩეს ამ „ოპოზიციონურ“, „პლატფორმაზე“, ხშირად უარყოფს თავის წინანდელ ჩვენებებს, ასაბუთებს ამას იმით, რომ შეუძლოთ იყო: აპენდიციტი და ფილტვების კატარი ჰქონდა და სხვ.

თავმჯდომარე შენიშნავს, რომ ყველა ეს არის შინაგანი ავადმყოფობა, რომელსაც არ შეუძლია გავლენა იქონიოს ჩვენების სისწორეზე.

ანჯაფარიძე სდუმს.

საერთოდ ამ ჯაშუშთა ბანდის ყველა მთავარი „მოღვაწეები“ ათას და ერთს უარყონ თავიანთი წინანდელი ჩვენებე- „საბუთს“ პოულობენ იმისათვის რომ ბის ის ადგილები, რომლებიც მათ ახლა არ მოსწონთ.

ამისათვის პენკოვი იშველიებს „ტვინის ანთებას“, ფეოდოროვი—სურდოს, ქართული კავალერიის „კომანდირი“ კოლონაშვილი — „არტერიო - სკლეროზს“, ანჯაფარიძე—ფილტვების კატარსა და აპენდიციტს.

რასაკვირველია, ეს, ავადმყოფობის უკანა რიცხვით სიმულიაცია, არავის არაფერში არ არწმუნებს, მაგრამ მათი ამოცანაა მოჰქანცონ სასამართლო და დარბაზი მათი ჯაშუშური აბდა-უბდის სმენით.

აქ. ჟუნია.

25 ივლისის დილის (მეცხრე სხდომა

ექიმ გოგლიჩიძის დაკითხვა.

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 25 ივლისი. იწყება ექიმ გალაქტიონ გოგლიჩიძის დაკითხვა.

გოგლიჩიძე თავის თავს თვლის ფედერალისტად. დაპატიმრებულია მეორეჯერ. პირველად დაპატიმრებულ იქნა 1924 წ. იმავით, რომ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა.

ჩვენებას იძლევა შეუფერხებლად. რუსულად ლაპარაკობს გაცილებით უკეთესად, ვიდრე ანჯაფარიძე.

გოგლიჩიძის ბინა კიევში თავიდანვე წარმოადგენდა სხვადასხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერების თავშესაფარს. ასე მაგალითად, ცნობილი შანტაჟისტი და პოლონეთის გენერალური შტაბის დამსახურებული ჯაშუში კოტე იმნაძე 1924 წ. გოგლიჩიძის დახმარებით გადავიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

გარდა ამისა, 1925 წ. გოგლიჩიძემ პოლონეთში გადაგზავნა ვინმე ბაგრატ ხამხაძე. მაგრამ ამით არ გათავებულა ექიმ გოგლიჩიძის „მოღვაწეობა“ პოლონეთში კონტრ-რევოლიუციონერების გადაგზავნის დარგში. 1925 წ. ივნისში მან სცადა ვინმე უშურაულის და მთავარაშვილის გადაყვანა საბჭოთა საზღვარზე, მაგრამ უკანასკნელებმა პოლონეთის ნაცვლად უკრაინის გეპეუში ამოჰყვეს თავი.

სანამ დააპატიმრებდენ, გოგლიჩიძეს კავშირი ჰქონდა პოლონეთში მცხოვრებ კოტე იმნაძესთან ვინმე ბერუაშვილის საშუალებით; რომლის სახელზედაც პოლონეთიდან მოდიოდა იმნაძის საიდუმლო წერილები.

რომ გოგლიჩიძემ საკმაოდ „დამსახურებული“ პოზიცია ქართველ კონტრრევოლიუციონერთა ბანაკში, ამას მოწმობს თუნდ ისიც, რომ ჟორდანიამ საქართველოში გაგზავნილ ანჯაფარიძეს პირველ რიგში გოგლიჩიძის მოძებნა დაავალა კიევში. გოგლიჩიძე თავის კონტრრევოლიუციონურ მოღვაწეობისათვის სარგებლობდა კიევის ქართული კოლონიის თავმჯდომარის მდგომარეობით.ასე მაგალითად; პოლონეთიდან ჩამოსულ კაპიტონ ანჯაფარიძეს, კოლონიის გამგეობის სახელით ყალბი მოწმობები მისცა.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე გოგლიჩიძე უპასუხებს, რომ ფედერალისტები საქართველოში აწარმოებდენ მშვიდობიან, უვნებელ არალეგალურ მუშაობას. „რადგან ჩემი პარტია არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეც შევედი კიევის არალეგალურ ორგანიზაციაში“.

გოგლიჩიძე შეუთანხმდა ანჯაფარიძეს, რომ „კოსტია“ იქნება ჯღამაიას (ანჯაფარიძე) შიკრიკი და რომ, თუ ჯღამაია დააპატიმრეს, ის ამის შესახებ აცნობებს კიევის ორგანიზაციას.

განსაკუთრებით უხერხულ მდგომარეობაში აყენებს გოგლიჩიძეს კითხვა „ტეხნიკური თავგის შაქრის“ შესახებ.

ცდილობს უპასუხოთ დასტოვოს თავმჯდომარის შეკითხვები ამ საკითხზე, თხოვს სასამართლოს „თავგის შაქრის“ შესახებ წაიკითხონ მისი წერილობითი ჩვენება, რომელიც არის საბრალმდებლო აქტში და ამდენი ხალხის წინაშე არ გაიმეორებინონ „ბინძური ისტორია“.

თავმჯდომარე დაჟინებით მოითხოვს მისგან პასუხს.

მაშინ გოგლიჩიძე თავჩაქინდრული, ისე, რომ არავის არ შეხედოს; ბლუყუნით აძლევს პასუხს თავმჯდომარის შეკითხვაზე.

„თავგის შაქარი“ გოგლიჩიძემ და კოლონაშვილმა მიიღეს ნისიათ ქართული კოლონიის სახელის ყალბი მიწერილობით მიჰყიდეს საქონელი ქართველ ებრაელს; რომელმაც ხუთჯერ მეტი ფასი გადაიხადა. „თავგის შაქრის“ ფული არ გადაიხადეს, ჩაიჯიბეს.

ასეთია ექიმ გოგლიჩიძის აფერისტობისა და სპეკულიანტობის ისტორია.

თავმჯდომარე ეკითხება გოგლიჩიძეს: ხომ არ ჰქონდათ მათ განზრახვა ამ მოგებული ფულის ნაწილი შეეტანათ კიევის არალეგალურ ორგანიზაციაში.

მაგრამ, თურმე; ამას საჭიროება არ მოითხოვდა; რადგან, გოგლიჩიძის განცხადებით; ჯღამაიას (ანჯაფარიძე) ფული საკმაოდ ჰქონდა.

კოლონაშვილი ადასტურებს გოგლიჩიძის მორცხვ ჩვენებას და ჩვეულებრივი ენა-ტარტალობით აცხადებს, რომ „თავგის შაქარი“—შხამია“.

დარბაზი იცინის.

ეს შხამი ნამდვილად შაქარივით შეირგეს ექიმმა და მისმა მეგობარმა.

კოლონაშვილი განსაკუთრებული აზრის არის „თავგის შაქარში“ ამოგებულ ფულის მოხმარების საკითხში. წინააღმდეგ გოგლიჩიძის განცხადებისა, კოლონაშვილი ამბობს, რომ მოგების დიდ ნაწილს ორგანიზაციის სასარგებლოდ გადადებდა, მაგრამ... ეს არ მოხდა.

გოგლიჩიძე აცხადებს, რომ წააგეს ამ „ოპერაციაზე“, რადგან ქართველი—ებრაელი მოითხოვდა ნაჭერ თავგის-შაქარს, ჩვენ კი ფხვნილი თავგის შაქარი გვქონდაო.

როგორ „იზარალეს“ გოგლიჩიძემ და კოლონაშვილმა, როცა თავგის შაქარი ხუთასი პროცენტი მოგებით გაყიდეს, ამ საიდუმლოების შესახებ ისინი არაფერს ამბობენ.

გოგლიჩიძე კარგავს პირვანდელ სიმშვიდეს. თავგის შაქრის „ოპერაციის“ გახსენებამ მას დავთარი აურია.

მიკიტანი ბერუაშვილი ამბობს, რომ თავგის შაქარი კოლონაშვილმა მიუტანა მას და მის კომპანიონ ვინმე მამაგეიშვილს. თავგის შაქარი კასრებში იყო.

როგორც ეტყობა, კოლონაშვილს აღარ გადარჩა თავგის შაქარში მიღებული ფული თავისი „პატრიოტული“ განზრახვის—არალეგალური ორგანიზაციისათვის გადაცემის—მოსაყვანად სისრულეში, რადგან მან, ბერუაშვილის ჩვენებით, ამ ფულიდან 150 მანეთი ერთ ღამეში დახარჯა ქეიფში. ფულის ნაწილი კი მისცა ვინმე მთვარელიძეს, რომელიც პოლონეთში აპირებდა გაპარვას, მაგრამ გეპეუმ დააპატიმრა.

კოლონაშვილი უარჰყოფს ბერუაშვილის ჩვენებას. მათ კამათში ერევა გოგორიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ ორასოცდაათი მან. მთვარელიძეს გადასცა, არა კოლონაშვილმა, არამედ გოგლიჩიძემ. თავგის შაქრის გასაღებას აწარმოებდა უმთავრესად კოლონაშვილი.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. პოპოვი წინადადებას აძლევს გოგლიჩიძეს უამბოს სასამართლოს მენშევიკ-ფედერალისტების ძველი უთანხმოების შესახებ.

გოგლიჩიძე სიამოვნებით გადადის მისთვის არასასიამოვნო „თავგის შაქრის ისტორიიდან“ მენშევიკ-ფედერალისტების ძველი დავის ამბავზე და ცდილობს დაწვრილებით გააცნოს სასამართლოს ეს უთანხმოება.

„უთანხმოება მდგომარეობდა ნაციონალურ და მიწის საკითხში,—უამბობს ის სასამართლოს. 1917 წლამდი მენშევიკები თავის ნაციონალურ პროგრამაში არ სცილდებოდენ კულტურული ავტონომიის ფარგლებს. ჩვენ კი, ფედერალისტები. მოვითხოვდით ფედერაციას. მიწის საკითხში მენშევიკები მოითხოვდენ მუნიციპალიზაციას. ჩვენ — ნაციონალიზაციას. მოსკოვის თათბირზე ჩხენკელმა განაცხადა, რომ ქართველებს სხვა მოთხოვნილებები არა აქვთ. ამრიგად მენშევიკები მხარს უჭერდენ დროებითი მთავრობას ნაციონალურ საკითხში. მენშევიკებმა მემამულეებს ჩამოართვეს მიწა და დაუტოვეს მათ შვიდ-შვიდი დესეტინა.

თქვენ ეს კარგათ გახსოვთ? — ეკითხება ბრალდებულს პოპოვი.

გოგლიჩიძეს მოჰყავს ამონაწერი კვირინკის წიგნიდან, სადაც ვიღაცასთან საუბარში ნათქვამია, რომ მენშევიკებმა თავის წინააღმდეგ ამხედრეს მემამულეები.

წინააღმდეგ ანჯაფარიძის ჩვენებისა, რომელმაც სთქვა, რომ გლეხთა აჯანყებებს საქართველოში მონარქისტული ხასიათი ჰქონდა, გოგლიჩიძე ამბობს, რომ სამეგრელოს, დუშეთის და ლეჩხუმის მაზრის გლეხების აჯანყება გამოიწვია აგრარული რეფორმის გატარების დაყოვნებამ.

პოპოვი: გახსოვთ თუ არა თქვენ, რომ პოლკოვნიკმა წერეთელმა გასცა კომუნისტები.

გოგლიჩიძე ადასტურებს ამ ფაქტს და აცხადებს, რომ „თითეული პატიოსანი და რიგიანი ადამიანი გაატარებდა უკან დახეულ ბოლშევიკებს. წერეთელი არ აღმოჩნდა ასეთი რიგიანი ადამიანი. ამისათვის ის უნდა დაესაჯათ“.

პოპოვი ეკითხება გოგლიჩიძეს: არსებობდენ თუ არა საქართველოში, თებერვლის გადატრიალების შემდეგ, რეაქციონური ჯგუფები?

გოგლიჩიძე ამბობს, რომ ასეთ ჯგუფებს წარმოადგენდენ: ნაციონალ-დემოკრატების, რომლებიც მოითხოვენ მეფეს გაზ. „კლდეს“—ფეოდალების იდეოლოგიის ჯგუფი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, რომელსაც ნაციონალ-დემოკრატების პოზიციაც კი „მემარცხენეთ“ მიაჩნია. „სხვა რეაქციონურ ჯგუფებს არ ვიცნობ“,—ამბობს გოგლიჩიძე.

„აჯანყების წინ ჩვენი პარტია დადიანის სახით შევიდა პარიტეტულ კომიტეტში. მე სამწუხაროთ მიმაჩნია ეს ფაქტი, მაგრამ დადიანმა გამოასწორა შეცდომა იმით, რომ გამოვიდა პარიტეტული კომიტეტიდან, როცა იქ ირჩეოდა აჯანყების საკითხი“.

პოპოვი: როგორ უყურებთ თქვენ პარტიათა გაერთიანებას უცხოეთში?

გოგლიჩიძე — ვფიქრობ, რომ ფედერალისტები და სხვა პარტიები მხიარულ გუნებაზე არ არიან. თუმცა სოსიკო მდივანი პარიზში მხარს უჭერს მენშევიკებს, მაგრამ პარტიისათვის ეს სავალდებულო არ არის.

გოგლიჩიძის ჩვენება საერთოდ წააგავს მენშევიკ - ფედერალისტთა ძველ დავას.

პოპოვი: როგორ უყურებთ პეტლიურას?

გოგლიჩიძე: როცა პეტლიურა ებრძოდა გეტმანს, მაშინ თანაუგრძნობდი მას, მაგრამ, როცა პეტლიურა პოლონელებთან ერთად ებრძოდა ბოლშევიკებს, მე პეტლიურას წინააღმდეგი ვიყავი.

პოპოვი ეკითხება გოგლიჩიძეს: იქნება პოლონელებს უკრაინის „განთავისუფლება უნდოდათ?

გოგლიჩიძე უპასუხებს ქართული ანდაზით: ბავშს თუ სახლში შია, ტაბლას გარეთ რა უნდა“-ო.

გოგლიჩიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის საერთოდ ბოლშევიკების მხურვალე მომხრეა და ეს შეათავსოს თავის „პატრიოტულ“ „მოღვაწეობასთან“. მთელი მისი ჩვენება ამ წერტილში ურტყამს.

ანჯაფარიძის სახეზე უკმაყოფილება იხატება, მას არ მოსწონს, რომ გოგლიჩიძე საბჭოთა ხელისუფლებას ერთგულებაში ეფიცება.

იმ მიზნით, რათა უფრო გაუსვას ხაზი ფედერალისტების ნაკლებ მტრულ განწყობილებას კომუნისტების მიმართ, გოგლიჩიძე აცხადებს, რომ პარტიის ნაწილი ღლონტის მეთაურობით შეუერთდა კომუნისტებს, მემარცხენე ფედერალისტები პირველნი მივიდენ კომუნისტებთან თანამშრომლობის მიზნით.

პოპოვი რიგს გარეშე სთხოვს სასამართლოს დაურთოს საქმეს ჯუღელის წიგნი „Тяжелый крест“, რომელიც მან დაგვიანებით მიიღო.

სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას.

პოპოვს მოჰყავს ამონაწერი ამ წიგნიდან, სადაც ლაპარაკია პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ომის შესახებ. ჯუღელი სწერს: „ეს ომი დახმარებას გვიწევს ჩვენ. პოლონელებმა აიღეს კიევი. ეს კარგია“.

შემდეგ ჯუღელი ეხება რა პოლონელების უკან დახევას, სწერს: „ბოლშევიკები ანადგურებენ საბრალო პოლონელებს“-ო.

ჯუღელის გასამართლებლად სიტყვას იღებს ანჯაფარიძე. დღეს მას გაუძვრია წმინდა ევროპიული კოსტიუმი და ხალათი ჩაუცვამს. სახე ჩვეულებრივზე უფრო ნაცრის-ფერია.

„ჯუღელი ამას სწერდა, — ამბობს ანჯაფარიძე — საქართველო - აზერბეიჯანის ომის დროს. ამიტომ გასაგებია მისი განწყობილება“.

პოპოვი ადვილათ უარჰყოფს თარიღების შედარებით ანჯაფარიძის მორიგ ტყუილს.

გოგლიჩიძე პოპოვის შეკითხვის საპასუხოთ ამბობს, რომ იმნაძეს წინათ არ იცნობდა, არ იცოდა, რომ ის ტერორისტია. გაიგო ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა კოლუაშვილის ჩვენება.

ბრალდებულს შეკითხვებს აძლევს სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. პრიგოვი.

ამხ. **პრიგოვი** ეკითხება გოგლიჩიძეს—უწყობდა, თუ არა ის ხელს სამხარაძის, უშურაულის (იგივე ჰიპაშვილის), მთვარელიძეს, სიმონაძის და იმნაძის გადასვლას პოლონეთ-საბჭოთა საზღვარზე.

გოგლიჩიძე აცხადებს, რომ მე ხელი შეუწყე მხოლოდ იმნაძის გადასვლას პოლონეთში, იმნაძესთან ერთად ამ დროს იყო ვიღაც თეთრგვარდიელი სახელად „ბები“.

დანარჩენები, რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან გაპარვა სურდათ, გოგლიჩიძეს ეს გაუცნია პროკოპისათვის, რომელიც ეწეოდა საეჭვო პირების გადაყვანას პოლონეთში. ეს ქართველები აგვისტოს ამბების შემდეგ გამოიქცენ საქართველოდან. ერთხანს ვაჭრობდენ კიევში. ისინი ცდილობდენ პოლონეთში გადაყვანათ აგრეთვე ბენდელიანი, რომელიც კიევში ცხოვრობდა გოგოხიას გვარით.

გოგლიჩიძე აცხადებს, რომ მას არ შეუწყვია ხელი მათი გადასვლისათვის საბჭოთა კავშირიდან პოლონეთში.

იმნაძე გოგლიჩიძესთან მისულა მოსკოვიდან, სადაც ის ჩასულა საქართველოდან შარაშანიძის გვარით.

ბრალმდებელი ეკითხება გოგლიჩიძეს: „როგორ მოხდა ის, რომ თქვენ, ექიმმა კაცმა, ხელი მოჰკიდეთ კონტრ-რევოლიუციონერების გადაგზავნას საბჭოთა საზღვრებზე“.

გოგლიჩიძე ამბობს, რომ ეს იყო „მეგობრული დახმარების აღმოჩენა“.

მაგრამ, როგორც საბრალმდებლო ოქმიდან და თვით გოგლიჩიძის ჩვენებიდან ირკვევა, მისი „მეგობრული დახმარება“ მარტო იმნაძემ როდი ისარგებლა! ასეთივე „მეგობრული დახმარება“ აღმოუჩინა მან აგვისტოს ამბების შემდეგ უკრაინაში გაქცეულ უშურაულს და სამხარაძეს, რომელთა გადასაგზავნად პოლონეთში, გოგლიჩიძემ დააგირავა თავისი ნივთები და გაყიდა კოლონაშვილის საათი.

ქართველ კონტრ - რევოლიუციონერების პოლონეთში გადაგზავნის შესახებ კითხვების მიცემის შემდეგ, გოგლიჩიძის პირვანდელი მიჩვენებითი გულწრფელობა, შესცვალა მიკიბულ-მოკიბული პასუხების პოლიტიკამ.

პრიგოვი ეკითხება ანჯაფარიძეს, თუ ვინ მისცა მას პარიზში გოგლიჩიძის მისამართი.

ანჯაფარიძე უპასუხებს, რომ გოგლიჩიძის მისამართი მას პარიზის ბიუროში მისცა ჟორდანიამ და ბიუროს ხაზინადარმა კანდელაკმა.

პრიგოვი ეკითხება კოლონაშვილს, თუ რა იცის მან ამის შესახებ.

მაგრამ **კოლონაშვილს** კვლავ მოუარა დავიწყების ავადმყოფობამ, მას არაფერი არ ახსოვს.

პრიგოვი კითხულობს კოლონაშვილის ჩვენებას, სადაც ნათქვამია, რომ გოგლიჩიძის მისამართი ანჯაფარიძეს გადასცა იმნაძემ.

აქ ერევა გოგლიჩიძე, რომელიც ამბობს, რომ მისი მისამართი პარიზის ბიურომ გადასცა იმნაძეს.

კოლონაშვილი პრიგოვის შეკითხვებზე იწყებს აბდა-უბდის ბოდვას. ასე მაგალითად ის ამბობს, რომ ქართული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სამასი ათასი ტომია და მათ შორის არც ერთი რუსული წიგნი არ მოიძებნებაო. ამიტომ მოსკოვიდან სამასი პროფესორი გამოგზავნეს უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ჩასატარებლადო.

შემდეგ კოლონაშვილი აცხადებს, რომ ქართველ მუშებს სდევნიან, რის დასამტკიცებლად მოჰყავს ცინცაძის სიტყვა მეთორმეტე პარტიულ ყრილობაზე და სთხოვს სასამართლოს ყრილობის ანგარიში დაურთოს საქმეს.

კოლონაშვილის პასუხები, მისი ზღაპრული სტატისტიკა და „მეცნიერულად“ მსჯელობის მანერა ისეთ მხიარულ განწყობილებას ქმნის დარბაზში, რომ თავმჯდომარე დიდხანს ვერ ახერხებს დამსწრეთა დამშვიდებას.

სასამართლო ადგენს პარტიული ყრილობის ანგარიში ჩაერთოს საქმეში.

პრიგოვი ეკითხება კოლონაშვილს: „აპირებდით, თუ არა თქვენ არალეგალური სტამბის მოწყობას ასტრახანში?

კოლონაშვილი არ უარყოფს ფაქტს. ამბობს, რომ „სტამბის მოწყობას ვაპირებდი იმ მიზნით; რათა მებეჭდა ლიტერატურა, რომელიც მოითხოვდა სოციალისტური პარტიების ლეგალიზაციას“. ანჯაფარიძემ, თურმე, აღტაცებით მიიღო ეს აზრი.

გოგლიჩიძე ბრალდებულის საპასუხოდ ადასტურებს არალეგალური სტამბის მოწყობის განზრახვას. აცხადებს, რომ „საშიში იყო ლიტერატურის ჩამოტანა პარიზიდან. ვცდილობდით საკუთარი ძალებით მოგვეწესრიგებინა ეს საკითხიო“.

როგორც ვხედავთ, არალეგალურ სტამბას აწყობდენ არც ისეთი „მშვიდობიანი“ მიზნებისათვის, როგორც კოლონაშვილი ამბობს; არამედ იმ მიზნით; რომ ადგილობრივ დაებეჭდათ ის, რისი შემოტანა პარიზიდან „საშიში იყო“. ჟორდანია-რამიშვილის „ლიტერატურის“ შინაარსი კი ყველამ კარგად იცის.

გოგლიჩიძე აცხადებს, რომ კოლონაშვილს დავალებული ჰქონდა კავშირის გაბმა გადასახლებულებთან და არა სტამბის მოწყობა.

პრიგოვი, გოგლიჩიძის ამ განცხადების გასაბათილებლად, აქვეყნებს მის წერილობითი ჩვენებას, სადაც გოგლიჩიძე ამბობს, რომ „კოლონაშვილის გაგზავნა ასტრახანში არალეგალური სტამბის მოსაწყობად, მოწონებულ იქნა კიევის მთელი არალეგალური ორგანიზაციის მიერ“.

ანჯაფარიძე—შექეშვილი—პენკოვის გამგზავრების შემდეგ, გოგლიჩიძეს ძლიერ აფიქრებდა მათი ბედი. რამოდენიმე ხნის შემდეგ გოგლიჩიძემ მიიღო წერილი ვარშავიდან—იმნაძისაგან. იმნაძე იწერებოდა, რომ „მოფრინდა ორი ბატი“. გოგლიჩიძე დარწმუნდა; რომ ანჯაფარიძე და პენკოვი უხიფათოდ გავიდენ „სამშვიდობოს“. მაგრამ ეს იმედი გაცრუებული აღმოჩნდა.

იმნაძე თურმე იწერებოდა ორ წერილზე, რომელიც მან კიევიდან მიიღო. რაც შეეხება პენკოვ-ანჯაფარიძეს—ისინი „უხიფათოდ“ მოხვდენ გეპეუში.

ანჯაფარიძის გადასვლამ საზღვარზე,—ამბობს გოგლიჩიძე,—ეჭვები აღძრა ჩემში, მით უფრო, რომ ამ საქმეში ჩარეული აღმოჩნდენ ზაქარიაძე და იმნაძე—პოლონეთის შტაბის თანამშრომლები. ამიტომ მე გავაფრთხილე ანჯაფარიძე—არ დაგაპატიმრონ და ჯაშუშობა არ დაგწამონ თქო. გენერალმა ზაქარიაძემ დახმარება აღმოუჩინა ანჯაფარიძეს, როგორც გენერალმა და არა როგორც ქართველმა. ქართველი მუშა მას ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენდაო“,—ამბობს გოგლიჩიძე.

გოგლიჩიძის ჩვენების ეს ნაწილი მოწმობს, რომ მას სურს გაემიჯნოს თავისი მეგობრების ჯაშუშურ მოღვაწეობას. მაგრამ ეს გამიჯვნა უკანა რიცხვით, მას შემდეგ, რაც მას კავშირი ჰქონდა პოლონეთის შტაბის დამსახურებულ ჯაშუშ კოტე იმნაძესთან, მას შემდეგ, რაც ის მონაწილეობას იღებდა კიევში გამართულ არალეგალურ თათბირებში, რომელზედაც ირჩეოდა უკრაინაში პარიზის ბიუროსთან დამაკავშირებელი ცენტრის მოწყობის საკითხი, პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში აგდებს მას.

შემდეგ გოგლიჩიძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ პოლონეთიდან კიევში ჩამოსულთა პაროლი იყო „ფილიპე“. გამოსაცხადებელი პუნქტი იყო გოგორიშვილ-ჩარკვიანის სამიკიტნო.

გოგლიჩიძე ამბობს, რომ ის საერთოდ „გულშემატკივარი“ კაცია. დახმარებას უწევდა ყველას, ვინც მას დახმარებისათვის მიმართავდა. ასე მაგალითად მას დახმარებისათვის მიმართეს ქართველმა მსახიობებმა. გოგლიჩიძემ ანჯაფარიძეს გამოართვა ას ოცი მანეთი და გადასცა მათ.

ანჯაფარიძე უარყოფს ამ ფაქტს. კითხულობენ წერილობით ჩვენებას, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს.

როცა კოლონაშვილი პარიზში აპირებდა გამგზავრებას, გოგლიჩიძისათვის გამოურთმევია ორი სარეკომენდაციო წერილი იმნაძის სახელზე.

გოგლიჩიძე უარყოფს ამას და აცხადებს, რომ მართალია, წერილები დასწერა, მაგრამ არა იმნაძესთან, არამედ მიმიშვილის (?) სახელზე, რომელიც პარიზში ცხოვრობს.

პრიგოვი ეკითხება გოგლიჩიძეს, თუ რა ჰქვია მიმიშვილს?

გოგლიჩიძე უპასუხებს—ნიკოლოზ, მეტ სახელად კი კოტე.

პრიგოვს საეჭვოდ მიაჩნია ეს. და მართლაც საეჭვოა ეს ამბავი. რათ დასჭირდა კოლონაშვილს სარეკომენდაციო წერილი ვიღაც მიმიშვილთან?

ეტყობა, რომ ბოლოს და ბოლოს გოგლიჩიძე ითვისებს ანჯაფარიძე-პენკოვ-კოლონაშვილის პასუხების მეთოდს და აბდა-უბდას ამბობს, რომ მიჩქმალოს თავისი დანაშაული.

აქ. ჟუნია.

25 ივლისის საღამოს (მეათე) სხდომა

გოგლიჩიძე ორ ცეცხლს შუა

ბრძოლა „ძმა-ბიჭურ“ და საღ აზროვნების შორის

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 25 ივლისი. გრძელდება გოგლიჩიძის დაკითხვა.

დარბაზში არის სამხრეთ - სლავის სტუდენტობის მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომელიც დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პროცესს.

გოგლიჩიძე ეხება ვეშაპელის მოკვლას და ცდილობს ამ მაგალითზე დაამტკიცოს თავისი შეხედულება ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე. მერაბიშვილი გაამართლა კლასიურმა სასამართლომ—აცხადებს გაბანდიტებული ექიმი გოგლიჩიძე და ვითომ ამით სურს დაამტკიცოს, რომ თვითონ იგი თითქოს არ ამართლებს ბანდიტ მერაბიშვილის მოქმედებას.

ვეშაპელის მხეცური მკვლელობის ფაქტის შეფასების შემდეგ გოგლიჩიძე ისევ უბრუნდება „თავის დაძრომის“ მეთოდს და ყოველის მხრივ სცდილობს „მშრალზე გამოყვანოს“ სოფიო შექეშვილი. მე არასოდეს არ მიმიმართავს სოფიო შექეშვილისათვის დახმარებოდა იმნაძის საზღვარ-გარეთ გადაგზავნაში,—აცხადებს გოგლიჩიძე.

ამის თქმაზე სწრაფად წამოხტა სოფიო. ის პოლონელი ინტელიგენტი - ქალია, საკმაოდ თავისუფლად უჭირავს თავი. გოგლიჩიძეს ყოველთვის ექიმად იხსენიებს.

ექიმმა მთხოვა დავხმარებოდი მას ერთი სპეკულიანტის საზღვარ-გარეთ გადაგზავნაში, (ლაპარაკია იმნაძეზე),—ამბობს სოფიო შექეშვილი. ამ განცხადებამ ცივი წყალი გადაასხა გოგლიჩიძეს, რომელიცამას წინათ ამტკიცებდა, გლიჩიძეს, რომელიც ამას წინათ ამტკიცებდა, თავს სოფიო შექეშვილისათვის გოგლიჩიძე იძულებულია გამოტყდეს, მაგრამ ამავე დროს აცხადებს, რომ გადაწყვეტილი იყო სოფიოსათვის არ მიგვემართა დახმარებისათვის, რადგან ბროკონი, რომელიც მან წამოაყენა გამცილებლად, ბევრს თხოულობდა. ჩვენ პირდაპირ საზღვრისაკენ გავემგზავრეთ, მაგრამ იძულებული შევიქენით ისევ ბროკონისათვის მიგვემართა, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო.

შემდეგ გოგლიჩიძე აცხადებს, რომ მიკიტანმა თოდუამ კოლონაშვილს გააცნო ვინმე გოგოხია, რომელსაც გოგლიჩიძე იცნობდა, როგორც ბენდელიანს.

ეხება რა არალეგალურ მუშაობას კიევში, გოგლიჩიძე აცხადებს, რომ ერთხელ ბრალდებულებმა თავი მოიყარეს სათათბიროდ კოლონაშვილის სიდედრთან და მისი თანდასწრებით არჩევდენ სხვადასხვა საკითხებს. სწორედ იმიტომ გავებით ჩვენ თავიან-ფეხიანათ ხაფანგში,—ირონიულად შენიშნავს გოგლიჩიძე,—რომ ასეთი „კონსპირაცია“ გვქონდა.

გოგლიჩიძის დამცველი სკეტსი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა საქმეში ჩართული იქნეს **თედო ღლონტის წიგნი „ბოლშევიკების აზიური პოლიტიკა“,** რომ გამორკვეული იქნეს ფედერალისტების პოზიცია კომუნისტებისადმი.

თავის მხრივ ამხ. პოპოვი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა საქმეში ჩართული იქნეს თედო ღლონტის წიგნი „მენშევიკური და ბოლშევიკური საქართველო“. სასამართლომ დააკმაყოფილა ორივე შუამდგომლობა.

გოგლიჩიძის დამცველს სკეტს ღლონტის წიგნიდან მოჰყავს ერთი ადგილი და ეკითხება გოგლიჩიძეს: „როგორ უყურებთ თქვენ ოქტომბრის რევოლიუციას“. გოგლიჩიძე ამაზე უპასუხებს, **რომ სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არის სოციალისტური რევოლიუცია. თებერვლის შემდეგ ბურჟუაზია შეუდგა თავის ძალების დარაზმვას და რომ არ ყოფილიყო კომუნისტური პარტია, რომელმაც გადამწყვეტი შეტევა დაიწყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზია გაილაშქრებდა მუშათა კლასის წინააღმდეგ და ჩაახშობდა რევოლიუციას. ოქტომბერმა დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიული რევოლიუციის გარეშე შეიძლება გადავიდეთ ნამდვილ ხალხურ მმართველობაზე.**

ასეთ პასუხს აძლევს გოგლიჩიძე დამცველის შეკითხვებს.

თუ დაუკვირდებით გოგლიჩიძის საქციელს და მის განცხადებებს, დარწმუნდებით, რომ მასში მოხდა ღრმა პოლიტიკური გარდატეხა საერთოდ მაგრამ ის კიდევ თავს ვერ აღწევს გულუბრყვილო „ძმა-ბიჭურ“ გრძნობას დანარჩენ ბრალდებულებისადმი, რის გამო ხშირად გვერდს უქცევს ფაქტებს, პასუხს არ აძლევს პროკურორის შეკითხვებს რომ გლახა დღეში არ ჩააგდოს თავისი ამხანაგები.

— იმ ხალხის თვითეული შვილი, რომელსაც თავის თავზე განუცდია ეროვნული ჩაგვრა, საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად უნდა იყოს — კატეგორიულად აცხადებს გოგლიჩიძე.

თ. ღლონტის წიგნიდან მოჰყავთ სხვადასხვა ადგილები, რომელთაც გოგლიჩიძე სავსებით ეთანხმება და აცხადებს: **„ეკონომიურად და ისტორიულად ჩვენ დაკავშირებული ვართ რუსეთთან: სხვა ორიენტაცია საქართველოს არ შეიძლება ექნეს, მით უფრო, რომ რუსეთი ერთად - ერთი სოციალისტური ქვეყანაა“.**

შემდეგ გოგლიჩიძე აცხადებს:—მამა ჩემს ჰქონდა სამი დესეტინა მიწა. ასაზრდელი მყავდა 8 ბავშვი. მე ღარიბი გლეხის შვილი ვარ. სამშობლო უსაზღვროდ მიყვარს და ვფიქრობ, რომ ის უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა კავშირში.

შემდეგ დამცველი შეკითხვებს აძლევს სოფიო შექეშვილს, საიდანაც ირკვევა, რომ გოგლიჩიძემ სოფიოს გამოართვა ოქროს სამაჯურები და ბეჭდები, დააგირავა ისინი და მიღებული თანხა გამოიყენა ამხანაგების საზღვარზე გადასაყვანად.

— პარიტეტული კომიტეტი კიევში არ ყოფილა, — უპასუხებს გოგლიჩიძე სასამართლოს წევრის ტარასოვის შეკითხვას, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლონაშვილს, რომელიც თავის თავში ათავსებდა ოთხ პარტიას: ის იყო მემარცხენე ესერიც, ნაროდნიკი-რევოლიუციონერიც, ფედერალისტიც და ნაროდნიკი — კომუნისტიც. **(დარბაზში ხანგრძლივი სიცილია. გულუბრყვილოთ, სულელურად იცინის თვითონ კოლონაშვილიც).**

ბერუაშვილი ითხოვს გოგლიჩიძისათვის შეკითხვის მიცემის ნებას.

— ძვირფასო ბიჭიკო, მიმართავს ის გოგლიჩიძეს, ვინ დაავალა კოლონაშვილს პოლიტიკური პარტიის სახელით გამოსვლა? აქვს თუ არა მას პარტიის სახელით ლაპარაკის უფლება?

ბერუაშვილის კილო შეურაცხმყოფელია კოლონაშვილისათვის. გოგლიჩიძე, რომელსაც არ სურს შეურაცხყოს კოლონაშვილი, უარს ამბობს პასუხის გაცემაზე.

— რა განსხვავებაა ქართველ ნაციონალ-დემოკრატებსა და კადეტებს შორის? — ეკითხება ბრალმდებელი.

გოგლიჩიძე უპასუხებს: ორივე ბურჟუაზიული პარტიაა. კადეტები მოითხოვდენ დიდ რუსეთს, ნაციონალ - დემოკრატები კი ბურჟუაზიულ საქართველოს.

შეკითხვებს კვლავ ამხ. პოპოვი აძლევს:

— რატომ მიგაჩნიათ ასტრახანი არალეგალურ მუშაობისათვის გამოსადეგ პუნქტად, ასტრახანი ხომ ახლოს არის საქართველოსთან, იქ ბევრია კავკასიელები?

გოგლიჩიძე ასტრახანს არავითარ უპირატესობას არ აძლევს კიევთან შედარებით.

გოგლიჩიძე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს ფედერალისტების პარტიაში უთანხმოების წარმოშობის ისტორიას. იგონებს მემარცხენე „მაშვრალთა ჯგუფს“ და აცხადებს, რომ 1917 წელს ჩვენ ხშირად გამოვდიოდით ბოლშევიკებთან ერთად საერთო სიით, რადგან მათ ჩვენ ვსთვლიდით ნაციონალური პოლიტიკის ყველაზე უფრო სწორად გამტარებლად.

— პარიზის კომუნის საშინელებანი დაიბრუნებიან იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდა საგარეო ომში, ამიტომ ჩემი თანაგრძნობა უსათუოდ საბჭოთა კავშირის მხარეზე იქნება. **მე საბჭოების დამარცხების წინააღმდეგი ვარ. თუნდაც როგორც ქართველი. ვინაიდან ბოლშევიკების დამხობა უდრის საქართველოს დაბეჩავებას,**—აცხადებს გოგლიჩიძე.

ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის წერილებს, რომელშიაც ისინი იმედებს ამყარებენ საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებაზე, გოგლიჩიძე უწოდებს მოღალატურს.

ასეთია გოგლიჩიძის პასუხი პოპოვის შეკითხვებზე.

შეკითხვებს აძლევს პრიგოვი.

— აღიარებთ, რომ კიევში გქონდათ ორგანიზაცია?

— ფორმალურად არ არსებობდა, ლაპარაკობს გოგლიჩიძე; მე ის მოვაწყვე ანჯაფარიძის ჩამოსვლის შემდეგ.

დაბოლოს გოგლიჩიძე გამოტყდა, რომ კიევში არსებობდა ორგანიზაცია.

— მიიღეთ თუ არა თქვენ იმნაძისაგან წერილი, რომ თქვენთან მოემგზავრება თქვენი ბიძაშვილი?

გოგლიჩიძე ადასტურებს წერილის მიღებას და ამბობს, რომ წერილი მიიღო კოლონაშვილის ცოლის ეკატერინეს სახელზე.

წერილს უჩვენებენ გოგლიჩიძეს, რომელიც ხელმეორედ ადასტურებს, რომ იმნაძის ხელით არის დაწერილი.

— წერილი რომ მივიღე, მეგონა, რომ მოემგზავრებოდა მართლაც ჩემი ბიძაშვილი კოლია მიწიშვილი, მაგრამ თურმე მოდიოდა ანჯაფარიძე. შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბიძაშვილი მხოლოდ პირობითი ნიშანი იყო. კიევის ორგანიზაციის არსებობის შესახებ, — გულუბრყვილოდ აცხადებს, გოგლიჩიძე,—მე კარგად არ ვიცოდი, სანამ ჩვენ არ დაგვაპატიმრა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის შეკითხვების დროს გოგლიჩიძე უფრო გულახდილია. სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას. პროკურორის შეკითხვებზე კი ეზარება პასუხის გაცემა, ხშირად მიკიბ - მოკიბულ პასუხს იძლევა, სურს დაუხმაროს დანარჩენ ბრალდებულებს.

საღამო სხდომის დასასრულს ამხ. პოპოვი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ საქმეს დაერთოს ოფიციალური ცნობები ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის რიცხვობრივი შემადგენლობის შესახებ, რომელიც აქარწყლებს ანჯაფარიძის და კოლონაშვილის უსაფუძვლო განცხადებებს, რომ საქართველოდან ასახლებენ ქართველ მუშებს.

აქ. ჟუნია.

26 ივლისის დილის (მეთერთმეტე) სხდომა

„ერთპიროვნული პარიტეტული კომიტეტი“

ჯაშუშ კოლონაშვილის დაკითხვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ვინ არის კოლონაშვილი

ხარკოვი, 26 ივლისი. იწყება კოლონაშვილის დაკითხვა. დარბაზი ისე შეეჩვია კოლონაშვილის ქარაფშუტობას, რომ მარტო მისი გამოჩენა, ყოველი მისი აქტიორული ჟესტი ჰომერიულ სიცილს იწვევს დარბაზში, კოლონაშვილი, როდესაც პროკურორი აწარმოებს მის დაკითხვას, პირდაპირ აუტანელია დარბაზისათვის.

კოლონაშვილს აცვია ყავისფერი ხალათი. წელზე არტყია ჩერქეზული ქამარი, ციხეში შეზრდილი წვერი თხასავით ჰკიდია. ის 28 წლისაა, უმაღლესი განათლებით, იურისტი. მისი მამა—იყო კანცელარიის წვრილი მოხელე. კოლონაშვილი თვითვე აცხადებს, რომ ის იყო ფედერალისტი, მემარცხენე ესერი, „სახალხო კომუნისტი“, „რევოლიუციონური კომუნისტი“; ერთი სიტყვით — ერთ პიროვნული პარიტეტული კომიტეტი (იცინის ყველა, მათ რიცხვში ბრალდებულნიც), 1920 წელში პასუხისგებაში იყო მიცემული დენიკინელებთან კავშირის დაჭერისათვის კიევში. ასეთია კიევის ჯაშუშური ორგანიზაციის ერთ-ერთი გმირის პოლიტიკური სახე.

„ორიენტაცია აღმოსავლეთზე“

კოლონაშვილი უამბობს სასამართლოს „ვლადიმირსკაია გორა“-ზე გამართულ კრების ამბავს, ამ კრების გადატანას შექეშვილის ბინაზე. ამ კრებაზე კოლონაშვილს არა დამაკმაყოფილებლად უცვნია გადასაცემი პუნქტის მოწყობა მარტო კიევში და საჭიროდ დაუნახავს არალეგალური მუშაობის გეგმის გაფართოება, რისთვისაც წამოუყენებია წინადადება, რომ ის წავა ასტრახანში, მოაწყობს იქ ქართულ კოლონიას და იმ ლეგალური საბაბით დაიწყებს არალეგალურ მუშაობას: მიაწვდის მათ „ლიტერატურას“ პარიზიდან და ასეთივე „ლიტერატურას“ გადაგზავნის საქართველოში. მაგრამ კოლონაშვილს ესეც ეცოტავა. მისი აზრით, ის ასტრახანში დაარსებდა აღმოსავლეთის ხალხთა სახლს რომელშიც თავს მოუყრიდა პოლიტიკურად გაერთიანებულ სომხებს, აზერბეიჯანელებს, თურქმენებს სართებს; სპარსელებს და სხვებს. კოლონაშვილის წინადადებით ასეთივე სახლი უნდა მოწყობილიყო ტაშკენტსა და კიევში.

კოლონაშვილის ასეთი აზრი ჩქუაში დახვედრია კრებას და ამ უკანასკნელს წინადადება მიუცია კოლონაშვილისათვის, რომ ის გაემგზავროს ასტრახანში. კოლონაშვილს თან უნდა წაეყვანა არეშიძე-გოგორიშვილი, რომელმაც სრული თანხმობა განაცხადა ასტრახანში გაჰყოლოდა კოლონაშვილს.

კოლონაშვილის ჩვენებიდან აუდიტორიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი მუშაობის გეგმა ასტრახანში. ეს არის მისი საკუთარი იდეა, ავანტიურისტული ფანტაზია, რომელიც, კოლონაშვილის სავალალოდ, საპნის ბუშტივით გასკდა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, კოლონაშვილი უარჰყოფს ორგანიზაციის არსებობას კიევში და კრების მოწყობას. თურმე უბრალოდ შეკრილა პატარა ჯგუფი და თან მეგობრულად „მასლაათობდენ“, თან ჩაის შეექცეოდენ კოლონაშვილის სიდედრის ხარიტონა არკადიას ასულის თანდასწრებით. კოლონაშვილის სიდედრის აქტიორული მანჭვა - გრეხა კოლონაშვილის „გულუბრყვილო“ განცხადებაზე დიდ სიცილს იწვევს დარბაზში.

კოლონაშვილს მიზნად ჰქონია დასახული საქართველოს გლეხების „განთავისუფლება“ ასტრახანის „ლიტერატურით“.

კოლონაშვილი აცხადებს: „ასტრახანში მე მინდოდა გავცნობოდი სართების, სომხების, აზერბეიჯანელების და სხვ. პოლიტიკურ ჯგუფებს“

კოლონაშვილმა აღმოსავლეთზე აიღო „ორიენტაცია“ აწყობდა მთლიან ეროვნულ ფრონტს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ფრონტიდან რატომღაც გამორიცხა უკრაინელები და ბელორუსები. კოლონაშვილს განზრახული ჰქონდა ხალხთა სახლის განყოფილების გახსნა ტაშკენტში მუშაობის მოწესრიგების შემდეგ ასტრახანში, სადაც, როგორც უმნიშვნელო პუნქტში, სუსტი ზედამხედველობაა კიევიდან გამოსაცხადებელი ბინა უნდა გადატანილიყო ჯერ ასტრახანში ხოლო შემდეგ ბაქოში.

კოლონაშვილი—პენკოვი

კოლონაშვილმა თავის წერილობით ჩვენებაში ასე დაახასიათა ჯღამაია: ყოფილი ოფიცერი, მშვიდი ხასიათის, საეჭვოა, რომ ჰქონდეს ორგანიზაციული ნიჭი.

ერთად სამუშაოდ ასტრახანში კოლონაშვილმა მიიწვია არეშიძე.

სასამართლოს წინაშე კოლონაშვილი ხელმეორედ ადასტურებს რომ „საერთაშორისო ზრდილობის ნიშნად“ პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიავლინა კოლონაშვილთან პენკოვ-პოლოვცი, ამასთან ერთად კოლონაშვილს სცოდნია, რომ პენკოვი იყო კონტრაბანდისტი.

თავმჯდომარე ეკითხება კოლონაშვილს: „ნუთუ თქვენ არ ჩაგაფიქრათ იმ გარემოებამ, რომ პოლონეთის ოფიციალური წარმომადგენელი იყო კონტრაბანდისტი?“.

კოლონაშვილი რაღაცას უკბილოდ ოხუნჯობს

ჩვენებების არევ - დარევას კოლონაშვილი ხსნის ავადმყოფობით.

„ჩემი გეოგრაფიული მდებარეობა მე გეპეუში გავიგე, — უპასუხებს კოლონაშვილი თავმჯდომარეს — და ამიტომ ჩემი გულახდილობა ჩვენებებში არ აიხსნება შიშით.“ დარბაზში სიცილი გაისმის.

შემდეგ კოლონაშვილის დაკითხვას იწყებს პრიგოვი, დარბაზი წინასწარ იცინის.

„ცოტა რევოლიუციონერი“

„მე ცოტა რევოლიუციონერი ვარ, — ქალწულური მოკრძალებით უპასუხებს პრიგოვს კოლონაშვილი, — და ამიტომ გულახდილად გიამბობთ ყველაფერი დაპატიმრების პირველ დღეებში“.

პროკურორის შემდეგი შეკითხვებიდან ირკვევა, რომ კოლონაშვილს წინადადება მიუცია სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსათვის, რომ ის გახსნის ორგანიზაციას იმ შემთხვევაში, თუ მას გაანთავისუფლებენ. განთავისუფლების შემდეგ მას განზრახული ჰქონია იმ ამხანაგების გაფრთხილება, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ დაპატიმრებულნი. ამის შესახებ კოლონაშვილმა კამერიდან ქართულად მისწერა გოგლიჩიძეს. ირკვევა მთელი ღირებულება კოლონაშვილის „გულახდილ განცხადებისა“, რომლებიც, აქვე უნდა აღინიშნოს, [illegible] შეეფერებოდენ.

დენიკინის დროს კოლონაშვილი დადიოდა კაპიტანის ტანსაცმელში გამოწყობილი, ვლადიმირის ჯვარით გულზე. ამას კოლონაშვილი ხსნის იმით, რომ თითქოს მას უნდოდა ცნობების მიწოდება ბოლშევიკებისათვის. დენიკინელებმა დააპატიმრეს კოლონაშვილი და აპირებდენ მის დახვრეტას, მაგრამ ქართველ დენიკინელ - ოფიცრებმა, კიევის კომენდანტის გენერალ გაბაშვილის მეთაურობით, გადაარჩინეს ის. მადლობის ნიშნად კოლონაშვილი მეჯინიბედ ემსახურებოდა გაბაშვილს. ცოტაოდენი შეყოყმანების შემდეგ, დანაშაულის შესანელებლად, კოლონაშვილი აცხადებს, რომ ის მეჯინიბედ დადგა გასამრჯელოს მიღების მიზნით, რაც საერთო სიცილს იწვევს.

პროკურორი პრიგოვის შემდეგი შეკითხვებიდან ირკვევა, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც არეშიძე კოლონაშვილისთვის შეუძლევია პოლონეთის არალეგალურ მუშაკთა სია პოლონეთში გადასაგზავნად, რაზედაც კოლონაშვილს თითქოს უთქვია უარი.

მონარქისტებთან ერთად

ირკვევა, აგრეთვე, რომ კოლონაშვილს კიევში კავშირი ჰქონია გამხელილ დენიკინის აგენტ - ქალთან ნეველსკაიასთან, რომელიც ცდილობდა დენიკინთან კავშირის დაჭერისათვის წითლების მიერ დაპატიმრებულ კოლონაშვილის განთავისუფლებას. კოლონაშვილი ეხმარებოდა საზღვარზე გადასვლაში მონარქისტ გოგოლიანოვსკის.

[illegible] „პარიტეტული კომიტეტის“ სახე მთლიანად წარმოსდგა.

— მონარქისტის გადასვლა საზღვარზე ადიდებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას — ეუბნება კოლონაშვილს პრიგოვი.

— დიახ, საბჭოთა კავშირი ერთი მონარქისტით ნაკლები დარჩა, — უპასუხებს კოლონაშვილი. (სიცილი).

კოლონაშვილი აპირებდა საზღვარ-გარეთ გამგზავრებას გოგოლიანოვსკისთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხა. გოგოლიანოვსკის არ ეყო ფული. კოლონაშვილმა ურჩია მას მიემართნა საზღვარ-გარეთ ვარშავის რუსული სახლის თავმჯდომარე მონარქისტ პროტოპოპოვისათვის.

ამხ. პოპოვს თხოვნით სასამართლო აქვეყნებს ცნობებს ამიერ-კავკასიის ცნობარიდან, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში დაბანდებულ მუშებიდან ქართველები შეადგენენ 6 პროცენტს; აქედან კავშირის წევრები დაახლოებით—60 პროცენტს. ეს ნათლად ღაღადებს რომ ქართველების შევიწროება რუსი მუშებიდან ზღაპარია.

სასამართლოს შეაქვს საქმეებში ეს ცნობარი.

აქ. ჟუნია.

უადგილობის გამო, გუშინ დილის სხდომის დასასრული და საღამო სხდომის ანგარიში გამოქვეყნებულ იქნება ხვალ.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპ. (ბ) ცეკა მომჭირნეობის რეჟიმის პროპაგანდის შესახებ

მოსკოვი. 26 ივლისი. მომჭირნეობის რეჟიმის, წარმოების რაციონალიზაციის და თვით ღირებულების ფასების დაკლების ამოცანებთან დაკავშირებით პროპაგანდისტულ მუშაობის დაყენების შესახებ, საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია:

ამ მუშაობამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი: აღნიშნული საკითხების გაშუქება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურად რეკონსტრუქციის თვალსაზრისით და ადგილებზე პროპაგანდისტული მუშაობის დაახლოვება პრაქტიკასთან წარმოების რაციონალიზაციის; მომჭირნეობის რეჟიმის და ფასების დაკლების საკითხებში. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად; ცეკა წინადადებას აძლევს ცეკას აგიტპროპს და ადგილობრივ პარტორგანიზაციებს გაატარონ სათანადო ღონისძიებანი საკოლლო პოლიტგანათლების; პარტიული; კომკავშირის და უპარტიო აქტივის სწავლების და პროპაგანდისტებთან მუშაობის წარმოების ხაზით.

სენაკის მაზრკომის გაფართოებული პლენუმი

23 ივლისს სენაკის ცენტრ. მუშათა კლუბში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. მაზრის ყველა თემკომების მდივნების და კომკავშირის აქტივის მონაწილეობით.

პლენუმის განსახილველ საგანს შეადგენდა: სენაკის მაზრაში ოპოზიციის მუშაობა. ამ საკითხის გარშემო პლენუმმა მოისმინა ამხ. ს. მამულიას მოხსენება.

ჩვენ მაზრაშიაც არიან ჯგუფური მომუშავენი—ამბობს მომხსენებელი—ყოფ. უკლონისტები, რომელნიც მიუხედავათ მათი დაპირებებისა გამოუსწორებელნი დარჩნენ. მათ ემატებათ ზოგიერთი ახალი წევრები, რომელთაც იდეურ ოპოზიციონერებათ მოაქვთ თავი. მაგრამ თუ გავეცნობით მათ საქმიანობას, დარწმუნდებით, რომ, მათ არაფერი ესმით ოპოზიციის, მათ არ აინტერესებთ ჩინეთის ან და ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხები.

ეს ჯგუფი ჩვენს მაზრაში შეუდგა არალეგალურ მუშაობას მაისის პირველ რიცხვებიდან: იწყება ადგ. არალეგალური კრებების მოწყობა, ხელის მოწერის წარმოება. სიაში მოქცეულნი არიან ყველა უკმაყოფილო ელემენტები; ისინი ავრცელებდენ ჭორებს თითქოს სიაში ხელმოწერილი ქონდათ ზოგიერთ პ. მგ. ამხ. პარტიის ძველ წევრებს და მათი ავტორიტეტით სარგებლობდენ მომხრეების შესაძენად.

ავრცელებდენ მოწოდებას და სხვა. განაწილებული ქონდათ სამუშაოები. 5 ივლისიდან ჩვენ თვალყურს ვადევნებდით და ვიცოდით, თუ ვინ სად და როგორ მუშაობდა. 17 ივლისს შესდგა მათი საინიციატივო ბიურო (უკანასკნელი დღე ოპოზ. მუშაობისა მაზრაში) ცდილობდენ კავშირის გაბმას თემორგანიზაციებთან.

სენაკის ოპოზიცია არალეგალურ მუშაობაში აქტიური იყო, მაგრამ ჩვენების მიცემის დროს „ჭაობში" აღმოჩნდ. არიან ამხ. ამხ., რომლებიც „ნეიტრალობას" იცავენ, მოითხოვენ შერიგებას ორივე მხრივ დათმობათა საშუალებით, ეს ამხ. ამხ იდგენ „ჭაობის" პირას, იცოდენ მუშაობა ოპოზიციის, და, ამაზე არ აცნობეს სამკომს, მაგრამ ჩვენების მიცემის დროს ეს ამხ. ამხ. მოშორდენ „ჭაობს" და ჩადგენ ოპოზიციის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. „ნეიტრალობა" დაუშვებელია, პარტიის წევრი უნდა იდგეს მტკიცე გარკვეულ გზაზე ან პარტიასთან, ან ოპოზიციასთან".

ამხ. მამულიამ პლენუმს გააცნო კომისიის მიერ შეგროვილი მთელი რიგი ფაქტიური მასალები ადგილ. ოპოზ. არალეგალური გამხრწნელ მოქმედების შესახებ და შემდეგ სამკომის პრეზიდიუმის დადგენილება ასეთ ამხ. ამხ. მიმართ, რომელთა რამოდენიმე პარტკომკავშირის წევრები გამოუსწორებელი ინტრიგანი გამორიცხულნი არიან, დანარჩენებს გამოცხადებული აქვთ საყვედური და უკანასკნელი გაფრთხილება პირადი საქმეში შეტანით.

ამის შემდეგ დაიწყო სიტყვები. გამოვიდენ ოპოზიციონერებიც; ისინი შეეცადენ დაემტკიცებიათ ოპოზიციის სიწმინდე, უარყოფდენ არალეგალურ მუშაობას და მათთან კავშირს. მათ თვალთმაქცურ, თაღლითურ გამოსვლებს სათანადო პასუხი გასცეს ამხ. ს. გეგეჭკორმა და სხვა ამხანაგებმაც. ზოგიერთები ოპოზ. რიგებიდან აღიარებდენ რომ ისინი შეცდენ და ითხოვდენ პატიებას. ზოგიერთები თითქოს დგანან და იდგომებიან ოპოზიციის პრინციპიალურ შეხედულებებზე. პლენუმი მეტად აქტიური იყო. ამხ. ამხ. მოითხოვდენ გადამჭრელ ზომების მიღებას ოპოზიციონერების წინააღმდეგ, პლენუმმა მოიწონა პრეზიდიუმის მუშაობა და სავსებით მიიღო ის.

ამხ. ს. მამულიას საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა (თავი შეიკავა მხოლოდ ერთმა) შემდეგი

რეზოლიუცია

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. ს. მამულიასი სენაკის მაზრაში ოპოზიციის მუშაობის შესახებ, საქ. კომ. პარტ. (ბ) სენაკის მაზრკომის გაფართოებული პლენუმი თემკომების და ცენტრ. ბიუროების მდივნებთან და ა. ლ. კომკავშირის აქტივთან ერთად გამოსთქვამს უსაზღვრო გულისწყრომას და აღელვებას იმ უმსგავსო, ანტიპარტიული, დეზორგანიზატორული მუშაობის გამო, რომელიც სრულიად უპასუხისმგებლო პირებს კომპარტიის და კომკავშირის რიგებიდან ოპოზიციის სახით უწარმოებიათ პარტიაში და კომკავშირში. გაფართოებული პლენუმი, რომელიც სავსებით გამოხატავს მაზრის მთელი ორგანიზაციის ნებისყოფას და სულიკვეთებას, აცხადებს, რომ ის დარწმუნებული საერთაშორისო რევოლიუციის და სოციალისტური მშენებლობის მიმართ კომინტერნის და ს. კ. პ. (ბ) ცეკას სწორ და მტკიცე ხელმძღვანელობაში, რომლის მაჩვენებელია ს. ს. რ. კ-ში სოციალისტური მეურნეობის გამარჯვება კაპიტალისტურზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით წარმატებით მსვლელობა, საბჭოთა სოციალისტური სისტემის ავტორიტეტის ზრდა დასავლეთის პროლეტარიატსა და აღმოსავლეთის ჩაგრულებში, რაც აძლიერებს რევოლიუციონურ მოძრაობას დასავლეთსა და აღმოსავლეთში,—მუდამ ატარებდა პარტიის ყრილობათა და ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამომუშავებულ ხაზს და მომავალშიაც ურყევლად და უყოყმანოთ გაატარებს მას.

გაფართოებული პლენუმი არავის არ აძლევს ნებას სენაკის მაზრის ორგანიზაციებიდან ილაპარაკოს პარტიის მიერ დაგმობილი და გაკიცხული ოპოზიციის სასარგებლოდ, თუ გინდ მცირე ჯგუფის სახელითაც.

პლენუმი სავსებით იწონებს პრეზიდიუმის მიერ წარმოებულ მუშაობას ოპოზიციის არალეგალური მუშაობის აღმოსაჩენათ და ამტკიცებს პარტიის დეზორგანიზატორების მიმართ პრეზიდიუმის განაჩენს.

პლენუმი მოითხოვს პრეზიდიუმისაგან ოპოზიციის ყველა ფესვების აღმოჩენას, მის ძირიანად აღმოფხვრას მთელს მაზრაში და ორგანიზაციის რიგების გაწმენდას ყველა მერყევ და ოპოზიციონურ ელემენტებისაგან.

პლენუმი ავალებს კომკავშირის მაზრკომს გააძლიეროს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კომკავშირში და მიიღოს გადამჭრელი ზომები მასში ყოველგვარ მავნე გადახრათა აღმოსაკვეთად და აღმოსაფხვრელად.

პლენუმი მოუწოდებს მაზრის ყველა ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ყოველგვარ ოპოზიციონურ ცდებს, მიმართულს პარტიის რიგების შერყევისა და დეზორგანიზაციისაკენ.

პლენუმი მოითხოვს პარტიის ყოველი წევრისაგან აქტიურ ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ და სასტიკად კიცხავს შინაპარტიულ საკითხებში და ბრძოლაში „ნეიტრალობას", შუაში დგომას, რომლის პოლიტიკური გამოხატულება არის „ჭაობი" და რომელიც ობიექტიურად ხელს უწყობს ოპოზიციის წარმოება-განვითარებას.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას ყრილობების და ცეკას დადგენილებათა საფუძვლებზე!

ძირს ოპოზიცია და მისი ადგილობრივი წვრილფეხა ფინიები—პარტიის დეზორგანიზატორები.

კომკავშირში

ღარიბებს ეხმარებიან

(საირხე, შორაპ. მაზ.)

ჩვენებური კომკავშირელები დღემდის გლეხობასთან არ მისულან და რაიმე სამაგალითო საქმე არ გაუკეთებიათ. მიმდინარე წელს კი ამ მხრით გარდატეხა მოხდა. ოცდა ერთ ივნისს ცხრა კომკავშირელი მოეხმარა ჩვენებურ ქვრივს და ორი წლის ავადმყოფის პატრონს ღარიბ გლეხს, რომელსაც გაუთოხნეს სიმინდი: დახმარება გაუწიეს აგრეთვე ერთ ავადმყოფ გლეხს სათოხში. ასევეა სხვა სოფლებშიდაც.

საირხელი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. ანდროს იუბილე

45 წელიწადია ამხ. ანდრია ბალარჯიშვილი მუშაობს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში დარაჯათ, 30 წელიწადია თელავში მსახურობს.



ამხ. ანდრია ბალარჯიშვილი

—:—

თავისი თავდადებული და უანგარო შრომისთვის მან პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სახალხო შეერთების კავშირმა გადასწყვიტა 45 წლის იუბილე გაუმართოს ამხ. ანდრიას.

—:—

კულტურული მუშაობა მემაღაროებში

(ჭიათურა)

კულტურული მუშაობა ჭიათურის მაღაროების მუშათა შორის საზაფხულო სეზონში არ შესუსტებულა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა უფრო მეტი ენერგიით წარმოებს. მთავარი წყარო, საიდანაც ვრცელდება ეს მუშაობა არის წითელი კუთხეები, არსებული მაღარკომებში. ასეთი კუთხეებში ჭიათურის რაიონში არის სულ 8. წითელ კუთხეებთან არსებობს სხვადასხვა წრეები, როგორც მაგალითად, დრამატიული, პროფესიონალური და სხვა. თვითმოქმედება მუშების დიდია. საღამოუამს, მძიმე მუშაობის დამთავრების შემდეგ თავის ოჯახის წევრებით მუშები ავსებენ კუთხეებს, სადაც ისინი სულიერად ისვენებენ. ზოგი გულმოდგინეთ კითხულობს ჟურნალებს, გაზეთებს, ბაასობენ სხვადასხვა თემაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავის აზრს.

მხოლოდ ერთი გარემოება აბრკოლებს ამ დიდათ საინტერესო მუშაობას. ეს ის არის, რომ სამკითხველოში ძალიან ცოტაა ახალი ლიტერატურა, რაც იწვევს მუშებში უკმაყოფილებას.

ოთხი მთავარ მაღაროს კომიტეტში არსებობს პროფტეხნიკური კურსები, სადაც ამზადებენ კვალიფიციურ ათისთავებს. საერთო რიცხვი მსმენელებისა 120 კაცია. ეს მუშები ძალიან ეტანებიან კურსებს. სექტემბრის რიცხვებში პირველი წყება მუშების დაამთავრებენ კურსებს.

წერა-კითხვის უცოდინარობის საბრძოლველად მიღებულია ზომები. სულ მსმენელების რიცხვი აღემატება 300 კ. გარდა ზემოხსენებულ კულტურულ ორგანოების ჭიათურაში არსებობს აგრეთვე ქალაქის ცენტრალური მუშათა კლუბი. კლუბთან სხვადასხვა წრეებია. ამ მუშაობისათვის კავშირის გადადებული აქვს 200 მან. კლუბთან არის სამკითხველო, სადაც მოიპოვება 5.000 ცალი წიგნები. ამ კლუბის წევრები არიან მუშები რიცხვით 1.000 კაცი. ყოველ დღე კლუბს ესწრება 150—200 კაცი.

აი, როგორ მიდის კულტურული მუშაობა ჭიათურის რაიონში.

ადოლფი.

—:—

ორი ნაკლი

(სად. ფოთი)

რკ. გზ. კლუბი შესაფერისად არის მოწყობილი, როგორც ინვენტარით, ისე დეკორაციებით და კინო - აპარატით.

არის სამკითხველო სადაც მოიპოვება ახლად შეძენილი რუსული ლიტერატურა.

კლუბის გამგეობამ კლუბური მუშაობის მხრით დიდი უნარი და ენერგია დახარჯა. მხოლოდ ორი რამ ვერ გაითვალისწინა. კინო - აპარატის დადგმა მარტო არ კმარა, მისი ამუშავება არის საჭირო, მხოლოდ კარგი და შესაფერისი სურათებით, რაც მუშა - მოსამსახურეებს დააკმაყოფილებს, მეორე, სამკითხველოს უნდა ქონდეს ქართული ლიტერატურა, რომელსაც მოიხმარებენ რკინის გზელები.

მთავარი ყურადღება აქეთ უნდა იქნეს მიქცეული.

დესპინესშვილი.

მუშა - გამომგონი

ბათომის ნავთ სადგურის მუშამ ამხ. ახობაძემ შეიტანა გაუმჯობესება ნავთის გემზე გადასაქაჩავ მანქანაში, გაუმჯობესება შემდეგში გამოიხატება:

ორი ქვაბი ამუშავებს ერთ ტუმბოს და გემზე გახსნილია ორი მილი. გაუმჯობესებული მანქანა აძლევს გემს 108-115 სანტიმეტრ ნავთს საათში. ძველი მანქანა კი ერთი ტუმბოთი და ერთი მილით საათში აძლევდა გემს 60-65 სანტიმეტრ ნავთს. ამ რიგათ გაუმჯობესებული მანქანა ერთი ორათ აადვილებს ნავთის გემზე გადაქაჩვას.

ბათომის რკ. გ. პროფკავშირის კომიტეტმა ჰმართა ინჟ.-ტეხ. სექციის ბიუროს, გამოყოს კომისია, რომელიც შეაფასებს ამხ. ახობაძის გამოგონების მნიშვნელობას წარმოებისათვის და განსაზღვრავს გამომგონებლის ჯილდოს.

—:—

საწარმოვო თათბირის დადგენილება არ ტარდება

(თბ. საქონლის სადგურში)

საწარმოვო კომისიის ეხლანდელმა შემადგენლობამ დაიწყო მუშაობა 1926 წელს. სულ მოხდა 5 სხდომა და გაირჩა 20 საკითხი.

მთავარ საკითხებათ უნდა ჩაითვალოს საქონლის სადგურში უგარანტიო სანარდო სამუშაოზე გადასვლა, რომლის ირგვლივ საწარმოვო კომისიამ რამოდენიმე სხდომა მოაწყო ადმინისტრაციის თანადასწრებით. მაგრამ ეს საკითხი დღესაც მოუგვარებელია.

ბაქნები 17-22 საწყობებისა არ არის ასვალტით მოფენილი. არ გვაქვს მძიმე წონის ცალებისათვის გადმოსატვირთად საწევი კრანი და არც სხვა ტეხ. საშუალებები,—ტვირთვა-გადმოტვირთვის საწარმოებლათ. რაზედაც შრომის ინსპექტორმაც კი მიიღო ზომები. მწონავების სიცოტავის გამო უფროსი მუშები ასრულებენ მათ მოვალეობას. გამვლელი ტვირთის გადატანა მიმღებ საწყობში გვართმევს 8 კაცის მუშაობას. არც ეს საკითხები არის მოწესრიგებული.

საერთოდ საწარმოვო კომისიის დადგენილება არ ტარდება ცხოვრებაში, რაზედაც არა ერთხელ გაგვიცხადებია სათანადო ორგანიზაციებში.

მუშა ხიდისთაველი.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

— **საჭიროა საგუშაგოს დაარსება.** ანტონის ქუჩის, რკინის გზის ლიანდაგის გადასავალთან ხშირად თავს იყრიან ვიღაცა საეჭვო პირები და მთელი ღამეობით არ აძლევენ მოსვენებას მეზობლად მცხოვრებლებს. მათი წყალობით აქ ხდება ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა და სხვა. კარგი იქნება აქ დაარსდებოდეს მუდმივი საგუშაგო და უკეთესად მოეწყობოდეს განათების საქმე.

დ. ლ.

— **მდგმურებს აწუხებს.** საბჭოს ქ. № 97 სახლში სცხოვრობს მდგმური ანასტასია ბიჩენკო, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მუშა-მდგმურებს.

15 ივლისს ბიჩენკომ ძალზე სცემა და ცხვირპირიდან სისხლი ადინა მდგმურს მარო ბელიაშვილს. მილიციამ უნდა ალაგმოს ბიჩენკო.

მუშკორი—რადიუმი.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **თვითმფრინავის აგება.** სიღნაღის მაზრამ განიზრახა ააგოს ახალი თვითმფრინავი „ქიზიყის მუშტი ჩემბერლენს" სახელწოდებით. ასაგებ ფონდის შეგროვება უკვე სწარმოებს.

— **1.038 მანეთი.** საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გ. ამავე კავშირის წევრთა დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ ფონდის გასაძლიერებლად დამატებით გაიღო 1.038 მანეთი.

— **მუშაობის გამოკვლევა.** ჩაქვის სახალხო მამულის და აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის აღმშენებლობის მუშათა კომიტეტების მუშაობის გამოსაკვლევად აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია.

— **პლენუმის მოწვევა.** სიღნაღის პროფბიურო ამავე პროფბიუროს მორიგ პლენუმს იწვევს ა.-წ. 8 აგვისტოსათვის.

— **პროფაქტივი.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გ. პროფაქტივიდან თბილისის საბჭოში მისამაგრებლად გამოყოფილ იქნა 17 კაცი.

— **1.000 მანეთი.** საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გ. ამავე კავშირის უმუშევართათვის დახმარების აღმოსაჩენ ფონდის გასაძლიერებლად დამატებით გადასდო 1.000 მანეთი.

— **ახალი ქარხნის აგება.** საქართველოს მელითონეთა კავშირის რესპუბლიკანურმა კომიტეტმა გადასწყვიტა დიდუბეში ააგოს ლითონტრესტისათვის ახალი ქარხანა. პროექტი უკვე შედგენილია. აგრეთვე აღიძრა შუამდგომლობა ს. მ. უ. ს. წინაშე ქარხნისათვის მუშა - ხელის მომზადების შესახებ.

ინგლისური ფირმები ითხოვენ

არ ჩამოერთვათ მათ გაცემული დაკვეთები

ამას წინეთ ს. მ. უ. საბჭო შეეკითხა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეეტყობინებია, თუ რა მდგომარეობაშია ტფილისის მაუდის ფაბრიკისათვის ინგლისში შეკვეთილი მოწყობილობების და მანქანების საქმე და როგორ მიმდინარეობს იტალიაში აბრეშუმის სახვევი ქარხნებისათვის შეკვეთილი მანქანების დამზადება.

აღნიშნული შეკითხვის საპასუხოდ ს. მ. უ. საბჭომ მიიღო შემდეგი განმარტება:

— აბრეშუმის სახვევი ფაბრიკებისთვის საჭირო მანქანების დამზადება იტალიაში მინდობილი აქვს „ბატალის" ფირმას. იტალიაში არსებულ საბჭოთა წარმომადგენლობის ცნობით, ყველა შეკვეთილი მანქანები, ფირმების გახცხადების თანახმად დამზადებული იქნება უახლოეს ხანში.

მაუდის ფაბრიკისათვის ინგლისში შეკვეთილი მანქანა-მოწყობილობების დამზადების დაგვიანება აიხსნება ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის მომხდარი განხეთქილებით. განხეთქილების შემდეგ ვაჭრობის სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი ჰქონდა ინგლისში დაბანდებული ლიცენზიების გერმანიაში გადატანა, მაგრამ **ინგლისში დატოვებულ სავაჭრო წარმომადგენლისაგან მოვიდა ცნობა, რომ ინგლისელი მწარმოებლები, მიუხედავად მომხდარი კონფლიქტისა, აცხადებენ სურვილს, რომ მათ არ ჩამოერთვას აღნიშნული შეკვეთები და ყველა შეკვეთებს ისინი დაამზადებენ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.**

ამასთანავე სავაჭრო წარმომადგენელმა ინგლისიდან გამოუგზავნა შეკითხვა ვაჭრობის კომისარიატს—აქვს თუ არა მას რაიმე საწინააღმდეგო იმისა, რომ აღნიშნული მანქანების დამზადების შეკვეთა არ ჩამოერთვას ინგლისელ მწარმოებლებს. ამის შესახებ სავაჭრო წარმომადგენელს გაეგზავნა დადებითი პასუხი.

ამგვარად ს. მ. უ. ს. მიერ მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ თბილისის მაუდის ფაბრიკის მოწყობილობები დამზადებული იქნება ინგლისში.

ამ.-კ. მელიორაციისათვის

თანხების განაწილება

დღევანდლამდე ამ.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს—ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან ა.-კავკასიის მელიორაციისათვის მიღებული აქვს 470.000 მანეთი.

ეს თანხა, თანახმად ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკთან შემდგარ სპეციალური კომისიის მიერ მიღებული კოეფიციენტისა, რესპუბლიკებს შორის განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: საქართველოს წყალთა სამმართველოს—126.000 მან., საქართველოს სასო.-სამ. ბანკს—14.000 მან., აზერბაიჯანის სასოფ.-სამ. ბანკს—282.000 მ., სომხეთის სასოფ.-სამ. ბანკს—48.000 მანეთი.

გარდა ამ თანხისა ამიერ-კავკასიის სასოფ.-სამეურნეო ბანკი ა.-კ. საირიგაციო სამუშაოებისათვის აგვისტოში ელის კიდევ—240.000 მანეთს.

1.000.000 მან. სამელიორაციო სამუშაოებისათვის

გასულ წელს შრომისა და თავდაცვის საბჭომ, საკავშირო ფინსახკომს დაავალა, ბიუჯეტით გადადებულ თანხების გარდა ამ.-კავკასიის სამელიორაციო სამუშაოებისათვის გამოენახა საბანკო სესხის სახით 500.000—1.000.000 მანეთი.

ამის გამო საკავშირო ფინსახკომმა წინადადება მისცა ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობას მოსკოვში, წარედგინა მისთვის ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის თანხა ესაჭიროება ა.-კავკასიას (დამატებით) სამელიორაციო სამუშაოებისათვის.

საბჭოთა სახლები

ამჟამად ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების უწყებაში იმყოფება 685 მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი.

ამ რიცხვიდან 70 სახლი უჭირავთ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს (ბანკებს, სასტუმროებს და სხ.), 288 სახლი უშაულოდ ექვემდებარება უძრავ ქონებათა სამმართველოს: 210 სახლი გადაცემული აქვთ საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს, 80 სახლი-სახალხო განათლების განყოფილებას, 22 სახლი სამხედრო უწყებას, 10 სახლი ადმინისტრატიულ განყოფილებას და 5 კერძო მოიჯარადრეებს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსგან მუნიციპალურ სახლების ფონდი შეფასებულია 40 მილიონ მანეთად, მიუხედავად ამ ღირებულებისა—სახლები ვერ იძლევიან სათანადო შემოსავალს. საბინაო-საიჯარო ამხანაგობები სრულიად არ იხდიან იჯარას. ამხანაგობანი ვალდებული არიან მხოლოდ დაიცვან სახლის მეურნეობა და საჭიროების დროს მოახდინონ სათანადო რემონტი.

იმ სახლების შენახვა, რომელნიც უშუალო უძრავ ქონებათა სამმართველოს ექვემდებარება, მეტად ძვირი ჯდება. ბინის ქირა უმნიშვნელოა, ხოლო სარემონტო ხარჯები კი დიდია. მიმდინარე წელს აღმასკომის დეფიციტი საბჭოთა სახლების ექსპლოატაციის დარგში შეადგენს—74.000 მანეთს.

როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, საკითხი მუნიციპალურ სახლების ექსპლოატაციის შესახებ სათანადოთ განხილულია და შესწავლილია აღმასკომის საგეგმო კომისიაში, რომელსაც გამომუშავებულიც აქვს სათანადო ღონისძიებები სახლის მეურნეობის შემოსავლიანობის გასადიდებლად.

რემედასის ერთიანი დღე

დღეს, 27 ივლისს, მუშათა ახალ კლუბში და სარაჯიშვილის სახელობის კლუბში რემედასი ჩაატარებს უჯრედების საერთო კრებებს.

სარაჯიშვილის კლუბთან მიმაგრებულია შემდეგი უჯრედები: ამ.-კ. სტატ-სამმართველო, სოციუზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, მიწათ მოქმედების სახ. კომ., სახელმწიფო ელექტროტრესტი და მე-2-ე ქართული დივიზიის შტაბი.

მუშათა ახალ კლუბთან: გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა, „წითელი მხედარის" სტამბა, „ზარია ვოსტოკას" სტამბა, სახელმწიფო ბანკი, „ბოეცი", ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, „ტრანსპორტი", გემო-კვების 1 და მე-4 რაიადგილკომები, ტელეფონის ქსელი და „ხლებოპროდუქტი".

მოხსენებებს გააკეთებენ სამხედრო საშიშროებასა და რემედასის ამოცანებზე.

ახალი აგარაკი

ახალციხის მაზრაში

საფარის აგარაკი, რომელიც ქალაქ ახალციხიდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ძველადგანვე ცნობილია, როგორც იშვიათი ლარსებით შემკული დასასვენებელი ადგილი.

საფარა მდიდარია ფიჭვნარის ტყეებით, საუცხოვო მთის ჰავით, ცივი ბინული წყაროებით. აქვეა უძველესი მონასტერი, რომელიც აგებულია მე-8 საუკუნეში.

უკანასკნელ დრომდე ეს იშვიათი საგარაკო ადგილი უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

მხოლოდ მიმდინარე საგარაკო სეზონის დამდეგს ამ აგარაკის დასასვენებელ ადგილად გამოყენება სცადეს ახალციხის სამაზრო აღმასკომის და ამავე აღმასკომის საფინანსო განყოფილების ადგილობრივმა კომიტეტებმა, რომელთა ხარჯით საფუძვლიანად შეკეთებული იქნა დანგრეული შენობა. ამ ჟამად ახალციხიდან საგარაკოთ გაგზავნილია პროფკავშირთა წევრების 30-მდე ოჯახი.

მომავალი წლიდან ახალციხის სამაზრო პროფბიუროს განზრახვა აქვს შეაკეთოს დანარჩენი შენობები, რომელიც 50 ოთახს შეიცავს.

ადგილობრ. მშენებლობა

წყალსადენები

მანავის (თბილისის მაზრა) თემაღმასკომმა დაამთავრა წყალსადენის გაყვანა. წყალსადენის სიგრძე უდრის 5 ვერსს. დაჯდა 200 ათასი მანეთი. წყალსადენის გაყვანაში შრომის ბეგარის წესით მონაწილეობდა გლეხობა.

ამჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა წყალსადენის გასაყვანად სოფელ ლისში (თბილ. მაზრა).

ქარხნები, ელსადგურები

აწყურის თემაღმასკომი მიმდინარე ზაფხულის დამდეგს სოფელ თოდრისში შეუდგა მუშაობას ხე-ტყის სახერხი ქარხნის, წისქვილის და ელექტრო-სადგურის მოსაწყობად.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. ისონ ფირცხალავას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად.

ქ. თოფაძე.

ამხ. ამბერკი ურუშაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: საბჭოთა საავადმყოფოს გამგეს ექიმ ჩიქოვანს; ამავე საავადმყოფოს აფთიაქის გამგეს ოგანეზოვს; ექიმ მინოვიჩს და სახმედვაჭრობის საქმის მწარმოებელს დ. ურუშაძეს.

ვლადიმერ კანიანი.

ამხ. ჯაჯალავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის ფონდში ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან **შალვა გვიმრაძეს** (სოც. დაზღვ. სამმართველო); ზესტაფონიდან **სიმონ მასხარაშვილს** (მიწა-ტყის კავშირი), ჭიათურიდან სევერიან სივსივის („საქართვ. მარგანეცი") და კოსტა ბრეგვაძეს (საამშენ. მუშათა კოოპერატივი).

მ. ჩინჩალაძე.

შემომაქვს ორი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად.

ლექსო მაისურაძე

ამხ. მ. გავაშელის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი.

იაკობ ფანცხავა.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი (3) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან—ორჩიგავა აკაკი; გვაზავა იროდიონი; ბეხელია ვერა; გვაზავა გოგუცა; ბოკუჩავა შუქური; ბოკუჩავა მიშა თ—სძე; სიმონია მიხეილი; გახოკია ბაბუ; ნარაკიძე კიჭა; რუხაძე დათიკო; თედორაძე რაჟდენი; სუხიშვილი ლექსო; კაკაბაძე სალიკო; კალანტაროვი ანუშევანი; კანანაძე გრიგოლ; სენ. მაზრიდან—ბოკუჩავა დავითი; არჩილი ხუხუნია; გვაზავა ცარუ ძველაია ლუსია; გაბილაია აქვსენტი; ჯანჯველაძე ნადეჟდა; თოფურია ანასტასია; მიმინოშვილი ანნა; ბზიავა გრიგოლ; მაკალათია ალექსანდრე; ჩაგენავა შალვა; ძველაია ვალიკო; უჩაინეშვილი ირაკლი; ჩალიგავა პაშა; კუპრავა რაჟდენი. ფოთიდან—ბოკუჩავა ბადუ; ბოკუჩავა კონსტანტინე; სოხუმიდან— ბოკუჩავა შალიკო; ბორჯომიდან—ქავჯაია ტიტე.

მიხეილ ბოკუჩავა.

ამხ. ფატულია კვირიკაძის და აკაკი ძელიქაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგი ამხ. ბათომიდან —ვალია სტურუას და ვასილ თადუმაძეს; სამტრედიიდან—ბიქტორ შუბლაძეს; გარსევან ჯანჯღალიას; პეტრე შენგელიას; ლადო პაპავას; ვალიკო და ანტონ შენგელიებს; სერგო ახობაძეს; იაკინთე ჭახნაკიას; კულაშიდან—კოტე ბერძენიშვილს; დათიკო მაისოიას; ალიკო მიქელაძეს; დათიკო ჟორდანიას; ლანრიდან—აკაკი მანჯგალაძეს; ვალიკო შენგელიას; ქუთაისიდან —პლატონ ქუთათელაძეს; მელიტონ სტურუას; ერმილე სტურუას; ვალიკო ჩოგოვაძეს; ბაღდადის რაიონიდან გაბო ბერძენიშვილს; ნიკიფორე თავხელიძეს; ნესტორ დვალიშვილს; კოლია ფურცელაძეს; შორაპნის მაზრიდან—ანდრო ფურცელაძეს; ბიქტორ თელიას; თბილისიდან —იაშა ახობაძეს; მიშა წულაიას; კოლია ჯელმაძეს; ლექსო სუხიშვილს; კოწია სტურუას; აბასთუმნიდან—ალექსანდრე სტურუას. ახალციხიდან—სპირიდონ კიკაჩეიშვილს და ალექსანდრე (შურა) კოჩაროვს.

დომენტი სტურუა.

დღეს შემოვიდა 28 მან.

სულ წინეთ შემოსულთან ერთად 5.440—59 კ. და ერთი ოქროს მაჯის საათი.

ექსკურსიები

შაბათს, 23 ივლისს, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მოაწყო პროფკავშირთა წევრების მასიური ექსკურსია ბორჯომ-ბაკურიანში; ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 500-მდე კაცმა.

ამას გარდა, კვირას მოეწყო ექსკურსია ზაჰეს-მცხეთაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 250-მდე კაცმა.

შაბათს, ექსკურსიები მოაწყვეს აგრეთვე ცალკე კავშირებმა; მაგალითად, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა მოაწყო თავისი წევრების ორი ექსკურსია— ბათომში და ალავერდში.

ყველა ეს ექსკურსიები გუშინ დილით დაბრუნდენ თბილისში.

ბორჯომ-ბაკურიანის ექსკურსიის მონაწილენი შაბათს დარჩნენ ბორჯომში, მეორე დღეს დილით გაემგზავრენ ბაკურიანში, სადაც დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, პარკი და სხვა. საღამოს ექსკურსია დაბრუნდა ისევ ბორჯომში.

ორშაბათს ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ბორჯომის წარმოებები და ბორჯომი-ბაღი, საღამოს კი გამოემგზავრენ თბილისში.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ექსკურსიამ ბათომში დაათვალიერა ბოტანიკური ბაღი, ჩაქვი ჩაის პლანტაციები და ჩაის ფაბრიკები და ზღვის პირას მდებარე საგარაკო ადგილები.

ჩაის მოსავალი

ჩაის პირველი მოსავლის შეკრეფა უკვე დასრულდა. ჩაქვის სახალხო მამულში შეკრეფილია 289.073 კილო ნედლი ჩაის ფოთოლი, ხოლო სალიბაურის მამულში—52.203 კილო.

მიმდინარე სეზონში მოსალოდნელია სულ 1.025.000 კილო ნედლი ჩაის მოსავალი, რაც ოცი პროცენტით მეტია შარშანდელ მოსავალზე.

ჩაის მოსავალმა იმატა უმთავრესად საზოგადოება „ქართული ჩაის" პლანტაციებმა, სადაც ჩაის მცენარის მოვლა სწარმოებს გაუმჯობესებულ წესით.

ამჟამად არსებული ჩაის ექვსი ფაბრიკა უკვე შეუდგენ წლევანდელი მოსავლის ჩაის დამუშავებას.

რკინისგზებზე

ცისტერნები და ორთქლმავლები კაზანცევის მუხრუჭებით

1927—27 წლისათვის გზათა კომისარიატმა ნება დართო ა.-კ. რკინის გზებს მოაწყოს კაზანცევის მუხრუჭებით 750 ცისტერნა.

ამასთანავე ნება დართულია მოეწყოს კაზანცევის მუხრუჭებით 70 მძლავრი ორთქლმავალი მთავარ ხაზზე და 33 ორთქლმავალი ბაკურიანის და ჭიათურის შტოებზე.

ამ მიზნისათვის გადადებულია 800.000 მანეთი.

ორთქლმავლის ჩავარდნა

24 ივლისს, ღამის 1 საათზე და 45 წუთზე, სადგ. შორაპანში ჭიათურის ვიწრო ხაზის ორთქლმავალი, რომელიც მოხსნეს სახალხო მატ. № 3-ს და გაუშვეს დეპოში, დეპოში შესვლამდე, ისარზე ასცდა ლიანდაგს და ჩავარდა ყველა ბორბლებით. ორთქლმავალი ამოიღეს დილის 5 საათზე.

ამ მიზეზით 1 საათით დაიგვიანა მატ. № 4-მა.

ორთქლმავლების დაჯახება

25 ივლისს, ღამის 12 საათზე და 15 წუთზე, სადგ. ლენინაკანში მატ. № 4-ს ორი ორთქლმავალი დეპოში შესვლის დროს დაეჯახა ორთქლმავალს № 7643-ს, რომელიც ასცდა ლიანდაგს ყველა ბორბლებით.

ხაზი და ორთქლმავლები დაზიანდენ უმნიშვნელოდ; ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

მატარებელი № 4 გაიგზავნა 25 წუთის დაგვიანებით. ორთქლმავალი ამოიღეს დილის 8 საათზე.

კატასტროფა აცილებული იქნა

25 ივლისს, დილის 7 საათზე და 37 წუთზე, სახალხო მატ. № 3-ს გზაში ბოროტგამზრახველებმა რელსებზე გარდი-გარდმო დაუდვეს შპალი.

მემანქანემ შპალი თავის დროზე შეამჩნია და მატარებელი გააჩერა. ამგვარად კატასტროფა აცილებულ იქნა.

ამ შემთხვევის გამო მატ. № 3 გაჩერდა გზაში 10 წუთით.

ჩვენი მოგზაურობა ჩინეთში

V

მთებში ნან-ნგან ფუსკენ

ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ჩვენ ნელ-ნელა ავდივართ მეილინგის უღელტეხილზე.

გზა, რომელსაც ჩვენ მივსდევთ, მთიან ადგილებს სჭრის. ეს ერთად-ერთი გადასასვლელია კიანსიდან კვანტუნში. ეს აგრეთვე მნიშვნელოვანი სტრატეგიული, ადვილად დასაცავი ადგილია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კვანტუნი დიდ ხანს ნაციონალურ რევოლიუციონურ ბაზისს წარმოადგენდა და დაცული იყო ჩრდილოელების შემოსევისგან.

მძიმე აღმართების შემდეგ, რომელიც განსაკუთრებით დამღლავია ჩვენი მებარგეებისათვის, მეორე მხარეზე გადავდივართ.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩინური ტახტრევანები გვხდება, ქალები შეშის, ქაღალდის; თამბაქოს „თეთრი კენჭების" ტვირთს ატარებენ. ამ კუთხეში დედაკაცი იძულებულია უმძიმესი სამუშაო შეასრულოს. მამაკაცი ბატონია, ხოლო დედაკაცი მუშა-ცხოველია. ოჯახის, ყანის, ჩალვადრობის სამუშაო ყველა ამ უბედურებს აწევთ მხრებზე.

„თეთრი კენჭები" გაკვირვებას იწვევენ ჩვენს შორის. ეს ტუნგსტენის მადანია, რომელიც ტაჰუს პროვინციიდან მოდის.

— განა იქ მაღაროებიც არის—ვკითხულობთ ჩვენ.

— არა, იქ არ ხდება ექსპლოატაცია თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით. მხოლოდ გლეხები აგროვებენ „თეთრ კენჭებს". კომერსანტებზე ჰყიდიან, რომელნიც საექსპორტო ვაჭრობას ეწევიან. ფასის ასაწევად კენჭების მაძიებელნი გაერთიანდენ და 5 ათას კაცმა პროფკავშირი დაარსა. გარდა ამისა მადანის ვაჭრებს ოთხასი კაცი ყავთ დაქირავებული, რომელნიც აგრეთვე შეკავშირებულნი არიან.—ჩინეთი დღესაც უდიდესი მწარმოებელია ტენქსტენისა. თუმცა ამ მადანის ექსპლოატაცია უხსოვარ დროიდან ხდება. 1919 წელს ჩინეთი 600 ტონს აწარმოებდა, ხოლო მსოფლიო წარმოება 20 ათას ტონას უდრიდა. 1922 წელს მთელი მსოფლიოს წარმოება 10 ათას უდრიდა, ხოლო ჩინეთზე 7 ათასი ტონი მოდიოდა.

ლიკინი

ჩვენ ლიკინში შევდივართ. მთავაზობენ ჩაის, მზისუმზირის მარცვალს. თამბაქოს. საბაჟოს მოხელეები აქ მეტად ზრდილობიანი არიან. ვსარგებლობ ამ გარემოებით და კითხვებს ვაძლევ.

ლიკინი—მიხსნის ერთი აგენტთაგანი—შინაგანი საბაჟოა. საქონლის ერთი პროვინციიდან მეორე პროვინციაში, თვით ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გასატანად ბაჟის გადახდაა საჭირო. ლიკინის პუნქტები ხშირად მხოლოდ 50 კილომეტრითაა დაშორებული ერთი-მეორეს. ბაჟი როდია ზედმიწევნით განსაზღვრული; საქონლისა) პროვინციისა ამა თუ იმ ბრძანებლის სურვილის მიხედვით შემოტანის და გატანის დროს ბაჟი 2 პროცენტიდან 10 პროცენტამდე აღწევს. ზოგიერთი საქონელი, რომელიც პროვინციაში გადადის—15—20 იბაჟება. ამ სადგურში ჩვენ მხოლოდ შემოზიდულ საქონელს ვადებთ ბაჟს. ორი ლიის მანძილზე აქედან (ლი—ნახევარ ვერსს უდრის). საექსპორტო ლიკინი არსებობს.

რევოლიუცია მოსპობს ლიკინს

იმ დროს, როცა ჩვენი მოსაუბრე ფინჯანი ჩაის მოსატანად მიდის, ჩვენი თარჯიმანი ლინგი; რომელიც ნამდვილი ცნობათა წყაროა; ამთავრებს ლიკინის აგენტის ცნობებს.

ჩინეთის ჯალათების მუშაობა

თავი მოჰკვეთეს

— ლიკინი დიდად აფერხებს ჩინეთის ეკონომიურ განვითარებას. ის დაწესებულ იქმნა 1853 წელს, როცა ეგრეთ წოდებულ ტაიპინგების აჯანყების ჩასაქრობად დიდი ფული იყო საჭირო. პირველად გადასახადი მცირე იყო. შემდეგ თანდათან იმატა. პეკინის მთავრობას მუდამ ფული სჭირდებოდა, მიტომ რომ დიდი საურავი უნდა ეძლია უცხოელებისათვის. დღეს ზღვის საბაჟოები არსებობს, მათ კონტროლს იმპერიალისტური სახელმწიფოები აწარმოებენ და მთელი შემოსავალი გარეშე სესხის სარგებლის დაფარვას უნდება. ლიკინის შემოსავალი რჩება ჩინეთის დანარჩენი ხარჯების დასაფარავად. სამოქალაქო ომის განმავლობაში შინაურმა ბაჟებმა დიდათ იმატა. ყოველი მხრიდან ლიკინის მოსპობას და ნორმალური საბაჟო სისტემის აღდგენას მოითხოვენ. ლიკინი თითქმის გამოუკლებლივ ჩინელებს აწევს მხრებზე. უცხოეთის ნაწარმოები, რომელსაც ზღვის სადგურში ადებენ ბაჟს, თავისუფალია ლიკინის გადასახადისაგან. ამ მდგომარეობის შესაცვლელად ერთის მხრით საერთაშორისო კონფერენციების მოწვევაა საჭირო, უკანასკნელად ერთი ასეთი კონფერენცია მოიწვიეს კიდეც, მაგრამ ის უშედეგოდ დამთავრდა. მეორე მხრით საჭიროა აგრეთვე პროვინციების ბრძანებლების თანხმობა, განსაკუთრებით დღეს, როცა არავინ სცნობს ცენტრალურ მთავრობის ავტორიტეტს.

— საბაჟოს პრობლემა ურთულესი პრობლემაა ნაციონალური მთავრობისათვის. ლიკინის გარეშე მას არავითარი შემოსავლის წყარო არ ექნება. ლიკინი კი ნელის სიკვდილით კლავს ეროვნულ აღებ-მიცემობასა და წვრილ წარმოებას და ასპარეზს ანთავისუფლებს უცხოეთის აღებ-მიცემობისა და ინდუსტრიისათვის.

— ამიტომაო, დაამთავრა ლინგმა, ჩვენი რევოლიუციური პროგრამის არსებითი პუნქტი ამ არანორმალური მდგომარეობის შეცვლა არის.

ჩინური ზრდილობა

ლიკინის მოხელე უკან ბრუნდება:

— ჩვენ არ ვეხებით მოგზაურთა ბარგს, მხოლოდ საქონელი გვაინტერესებს—ამბობს ის.

ეს განცხადება გვამშვიდებს.

ჩვენი ქარავანი დაიძრა. ორივე მხრით თავს ხრიან გამოსალმების ნიშნად. როგორც გამოცდილებამ დამარწმუნა ხელის ჩამორთმევა დიდს პატივში არ არის. ჩვენმა ნაცნობმა ლიკინისტმა გამოთხოვების დროს მითხრა:

— ბატონო თუ საღამოთი დრო გექნებათ მობრძანდით და ცოტა ვისაუბროთ.

მე ვუპასუხე:

— ვშიშობ, რომ დროს ვერ ვიშოვი, ჩემო ბატონო. ნან-ნგან-ფუ სადაც საღამოთი შევჩერდებით, ცოტა არ იყოს მოშორებით არის აქედან. უკან დაბრუნება ძნელია.

— თქვენი პასუხი არ გადამითარგმნიაო, მითხრა ლინგმა ღიმილით: მისი მოპატიჟება მხოლოდ ჩვეულებრივი ზრდილობის ფორმულა იყო. თქვენ, რომ მართლაც საღამოს უკან დაბრუნებული ყავით, ის სანტად დარჩებოდა მოულოდნელობისაგან.

კოკისპირული წვიმა დაიწყო და იძულებული გავხდი ტახტრევანზე დავმჯდარიყავი. რა საზარელი ხილობაა ამ ტახტრევანის ტარება ყოველ ხუთ წუთში საბრალო „ცხენ-კაცები" მიწაზე სდებენ ტახტრევანს, რათა ბამბუკის სამხარეულები ერთი მხრიდან მეორეზე გადაიდონ. უახლოეს სოფელში კარგ ჩინურ ქოლგებს ვყიდულობთ და ვანთავისუფლებთ ამ საცოდავებს.

ნან-ნგან-ფუ

ნან-ნგან-ფუში არავინ დაგვხვედრია. წავედით ქალაქის მმართველობის შენობაში, სადაც მომცრო ტანის მოკლე წვერიანმა შავი აბრეშუმის ქუდიანმა მოხელემ მიგვიღო. როგორც სჩანდა ძველი რეჟიმის მომხრე უნდა ყოფილიყო. ვესაუბრეთ და კითხვები მივეცით. მაინც და მაინც დიდი ხალისით როდი გვიპასუხებდენ.

დარბაზის კედლების წარწერებიდან ზოგიერთი გადაგვითარგმნეს: „სუნ-იატ სენის სოციალიზმი განსხვავდება მარქსიზმისაგან". განა შეიძლება სამი დიდი პრინციპის განხორციელება, ურევოლიუციოთ". „ვიბრძოლოდ მშვიდობიანად ჩინეთის გადასარჩენად". ადამიანს თავისი თავი ევროპიელი სოციალ-რეფორმისტის სამფლობელოში ეგონება.

პროფკავშირები და გლეხთა კავშირი პატარა მიტინგს აწყობენ. პროფკავშირების მდგომარეობა კარგია. 15 კავშირში 13.000 წევრია. ხელფასი დაახლოებით ისეთივეა, როგორც ნამიუნგში. ორი ორგანიზაციის განვითარება ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ, მით უმეტეს, რომ ქალაქის მმართველობა ეხმარება. სავაჭრო პალატის წარმომადგენელი მიტინგში მონაწილეობას ღებულობს და მუშათა ორგანიზაციებს მიესალმება.

გლეხთა კავშირში ნაკლებ ოპტიმისტურად არიან განწყობილი, მხოლოდ ხუთი კავშირი არსებობს 600 წევრით. გლეხები დამფრთხალი არიან, „ჩარჩები" იმუქრებიან, მემამულეები მიწას არ თმევენ კავშირის წევრებს, გლეხკაცობას დიდი გადასახადები აწევს. ჩან-კაიშიმ შინაური სესხი გამოუშვა ჩრდილოეთის ექსპედიციის საწარმოებლად, ეს სესხიც წვრილ მეურნეებსა და წვრილ მწარმოებლებს დაადვა მხრებზე. მოხელეები დიდ თვითნებობას იჩენენ ბეგარის გაწერასა და აკრეფაში.

— ჩვენი გლეხებიო, სთქვა ერთმა ხელმძღვანელთაგანმა, უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებიან, საჭმელ-სასმელი არა აქვთ საკმაოდ. დღიური მუშები 10—15 ცენტს (20—30 კაპ.) ღებულობენ დღეში. ეს დიდი უსამართლობაა. საჭიროა საიჯარო და სახელმწიფო გადასახადების შემცირება.

როგორ მოკლა მუშათა ბელადი ჩან-კაიშის აგენტმა

მდინარეზე მეტივეები და მეთევზეები

ნან-ნგან-ფუდან კან-ჩეუ-ფუმდე მდინარეზე ვიმოგზაურეთ. მდინარეს ორივე ნაპირას უზარმაზარი ბამბუკის ბორბლებია გამართული, რომელიც ბამბუკისვე ჯამებით წყალს იღებს და არხში ასხამს. არხი კი ბრინჯის ყანას რწყავს. ეს დიდი პროგრესია ხელით მორწყვასთან შედარებით, რომელიც ქვანტუნში ხდება.

მდინარის ნაპირებზე ხშირად გვხვდებიან მეთევზეები. ისინი უმეტეს ნაწილად ბადეებით იჭერენ თევზს. ამ მდინარით აგრეთვე მრავალი ტივი მოაქვთ. უზარმაზარი ბამბუკის ხეებია შეკრული, ზედ მეტივესა და მის ოჯახს პატარა ფარდული გაუკეთებიათ. ზოგიერთი მათგანი უჩანგ-ფუმდე მიდის, რომელიც ათასი კილომეტრით არის დაშორებული ამ ადგილს და შემდეგ ანკანკიანგის მდინარეს გაჰყვება, ან იანც ცე კიანგს.

ჩან-კაი-შის დანაშაული

მაგრამ ამ მრავალ ფერადი სანახაობას დიდი ხნით არ შეუძლია ჩვენი ყურადღების შეჩერება: ნან-ნგან-ფუში სამწუხარო ამბავი მივიღეთ და შეწუხებულნი ვართ. მოუკლავთ კან-ჩეუ-ფუს მუშათა ბელადი ამხ. ჩენ-სან-ში.

პატარა ქალაქ ნაკანგში, სადაც 30 ათასი სული მცხოვრებია ჩვენ ცოტა ხნით შევჩერდით ახალი ამბების გასაგებად. გომინდანი აქ „მემარცხენეებისაგან" შესდგება და მეთაური „სიპია" (ე. ი. კომუნისტი), ის ჩვენ სამწუხარო ამბავს გვიამბობს.

— ჩენ-სან-ში კან-ჩეუ-ფუს პროვინციის პროფკავშირების თავმჯდომარე იყო. ის მოკლა ჩან-კაი-შის აგენტმა ლიპინმა. ლიპინი ახლად შემდგარი დივიზიის (ე. ი. სუნ-ჩუან-ფანისთვის წართმეულ ტყვეების) პოლიტიკური კომისარი იყო და გომინდანის უკიდურეს მემარჯვენე ფრთას, ე. წ. „სუნ-იატ-სენისტების" ჯგუფს ეკუთვნის. ეს ჯგუფი ვამპოას სამხედრო აკადემიაში შესდგა, როცა მისი ხელმძღვანელი ჩან-კაი-ში იყო და როცა მან სუნიატსენის ტაქტიკური პრინციპების რევიზია განიზრახა, სახელდობრ კომუნისტებთან და მუშათა და გლეხთა მოძრაობასთან თანამშრომლობაზე უარი სთქვა. ლიპინს კავშირი ჰქონდა აგრეთვე მემარჯვენე ნაციონალისტების ორგანოსთან- „[illegible]ლომთან", რომელიც წინადადებას იძლევა, რომ მეგობრული ურთი-ერთობა შესწყვეტილიყო საბჭოთა კავშირთან. ჩენ-სან-შიმ წარსული წლის ნოემბრიდან 50 პროფკავშირი დაარსა და 20 ათასი წევრი შეაკავშირა. კან-ჩეუ-ფუს ვაჭრებში უკმაყოფილებამ იჩინა თავი, მიტომ, რომ მუშათა შეკავშირებას მოთხოვნილებათ წარდგენა და გაფიცვათა გამოცხადება მოჰყვა. ერთმა გაფიცვამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო: ეს იყო აბრეშუმის მაღაზიების ნოქრების გაფიცვა. ჩენმა ნოქრებს მტკიცე მეთაურობა გაუწია და ამით ვაჭრების სიძულვილი დაიმსახურა. მათ ერთმანეთს შეფიცეს, რომ თავიდან მოიშორებდენ ჩენს. ამ დროს სწორედ ლიპინი ჩამოვიდა. ის მაშინვე ვაჭრების მესაიდუმლე გახდა. 6 მარტს დიდი მიტინგის დროს ჩენს ოფიცრები მიუხალოვდენ და მთავრობის სახლში მიიპატიჟეს. მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ჩენი მაინც გაჰყვა ოფიცრებს. სახლის კარებში თოფებით და ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებული ჯარისკაცები იდგა. ჩენი მაინც შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თოფის სროლის ხმა გაისმა. ჩენის სხეული ტყვიით იყო განგმირული. ამის შემდეგ პროფკავშირები არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდნენ. მათი ბინები ჯარმა დაიჭირა. ეს ყოველივე იერიშს წარმოადგენს ჩვენი პარტიისა და სუნ-იატ-სენის პრინციპების წინააღმდეგ.

კან-ჩეუ-ფუს რეაქციონერები

ჩვენ გადავსწყვიტეთ კან-ჩეუ-ფუში გავმგზავრებულიყავით, რათა უშუალოდ გავსცნობოდით საქმის ვითარებას, მაგრამ უარი გვეთქვა ოფიცრების და ჯარის მიპატიჟებზე.

კან-ჩეუ-ფუში მისვლისთანავე რამდენიმე დელეგაცია შევხვდა: სავაჭრო პალატის, ვაჭრების, ბანკირების, მოხელეების; პირველი დივიზიის წარმომადგენლები. არც პროფკავშირების დელეგატები სჩანდნენ, არც გლეხკაცებისა.

ჩინეთის ჯალათების მუშაობა

თავმოკვეთილ ტანიდან ხსნიან ჯაჭვებს ახალი მსხვერპლებისათვის

ჩვენ ისევ ხომალდზე ვბრუნდებით. ქალაქის მართველობის წევრი და გომინდანის თავმჯდომარე,—რომელიც უდიდეს ვაჭრათ ითვლება ამ ქალაქში, თან მოგვყვებიან. დელეგაციის სახელით ვეკითხები:

— სად არიან პროფკავშირები და გლეხთა კავშირები· რად არ მოვიდნენ მათი წარმომადგენლები. ჩვენ გვსურდა მათი მისალმება.

— რეგისტრაციაში გატარებულნი არ არიან, გვიპასუხებს მართველობის წევრი.

— რა არის საჭირო ამ ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის.

პასუხს ამაოდ ველით, ოთხჯერ ვიმეორებ ჩემს შეკითხვას. პასუხის მაგივრად ვერაფერს ვღებულობ გარდა გაურკვეველი ზრდილობის ფორმულებისა.



ჩინეთის ჯალათების მუშაობა

თეთრი ჯალათები სიამოვნებენ თავიანთი „ნამუშევარით"

(პატარა ყუთებშია მოკვეთილი თავები)

მართალია, რომ ჩენი მოჰკლეს? რისთვის?

— ოჰ, ეს მხოლოდ პირადი საქმე იყო, გვიპასუხებს მართველობის წევრი: ის რომელიღაც მოხელეს რევოლვერით დაემუქრა, მაგრამ ოფიცერმა დაასწრო და მოჰკლა.

— თუ ეს პირადი შეტაკების საქმეა, პროფკავშირები რისთვის დაკეტეს?

რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, ჩვენი მოსაუბრე გაუბედავად გვეუბნება:

— იმედი მაქვს, რომ თქვენი დელეგაცია სადარბაზოთ გვესტუმრება.

— არა, ბატონო, ჩვენ პროფკავშირების ნახვა გვსურს.

ჩვენი სტუმრები დგებიან და მიდიან საღამოს მუშები შემოვიდნენ. აღფრთოვანებით გვიამბეს თავიანთი ბელადის, ჩენის ისტორია. შემდეგ კიდევ სხვა მუშები შემოვიდნენ. ისინიც იმავე ტრაგიკული ისტორიას დაუბრუნდნენ, გზადაბნეულებს ჰგავნდნენ,—არ იცოდნენ რა ექმნათ.

ბრძოლის მზადება

სამი დღის წინად ქალაქში მეორე დივიზია შემოსულა. სადარბაზოთ გვესტუმრა მისი პოლიტიკური კომისარი, დაბალი ტანის ახალგაზრდა. რომელსაც ბრწყინვალე თვალები და ენერგიული სახის გამომეტყველება აქვს.

— თქვენს მისასალმებლად მოვედი, —ვეუბნება ის.

— გმადლობთ; მაგრამ თქვენ პირველი დივიზიიდან ხომ არ ბრძანდებით?

— არა.

ჩვენ ვესაუბრებით მდგომარეობის შესახებ.

— ყველაფერი ვიცი კიდეც. მე „სიპი" ვარ (კომუნისტი). ჩვენთან ერთად გენერალი მოდის. მას სურს დახმარება გაუწიოს მუშებს.

ჩვენ ვაწყობთ ხვალინდელ დღის გეგმას. დამსწრეებმა წინადადებები წარმოადგინეს. ნაშუადღევს ორ საათზე მუშები მდინარეს სანაპიროზე მოელენ მოსასალმებლად. ახლად მოსული დივიზია 200 ჯარისკაცს გამოგზავნის, მათ ჩვენი თანმხლები ჯარის კაცები შეუერთდებიან. რამდენიმე კაცი ჩვენს ხომალდს დაიცავს.

— რა ვქნათ თუ საქმეში პირველი დივიზია ჩაერია?

— ეს იქნება ბრძოლის დაწყება; მაგრამ პირველი დივიზია ამას ვერ გაბედავს,—გვიპასუხებს ახალგაზრდა კომისარი. მათ მხოლოდ 200 თოფი აქვთ, ჩვენ კი 250, და გარდა იმისა კიდევ რამდენიმე ასეული თოფი თავდარიგშია.

მუშათა მიტინგი

მეორე დღეს ორი საათისათვის 9.000 მუშამ და 350 შეიარაღებულმა ჯარისკაცმა მოიყარა თავი. მიტინგი დაიწყო.

„ლი-პინი მკვლელია, ლი-პინი მხდალი მოღალატეა (ორი დღის წინად ის გაიქცა, მიტომ რომ ჩან-კაი-შის შტაბის პოლიტიკურმა სექციამ გენერალს მისი დასჯა მოსთხოვა) „ჩენი ჩვენი გმირი, ჩვენი მოწამე, ჩვენი ბელადია"—გაიძახიან მუშები.

ჩვენ ვუპასუხებთ:

— ათას მკვლელს, როგორიცაა ლიპინი, შეუძლია ათასი ჩენის მსგავსი გმირი მოჰკლას. მაგრამ გაერთიანებული მუშათა კლასის და გლეხკაცობის ძალა გაანადგურებს ლიპინებსაც და იმ კლასსაც, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მტკიცედ იყავით და თქვენ გაიმარჯვებთ.

მიტინგმა მოითხოვა, რომ „პროფკავშირების შენობები" გაეღოთ და „დამნაშავენი დაესაჯათ". მეორე დღეს პროფკავშირების შენობები მართლაც გახსნეს. შემდეგ ორი დამნაშავე სიკვდილით დასაჯეს.

მაგრამ კან-ჩეუ-ფუს ინციდენტი კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის. ჩვენ იმ წუთიდან, სანამ ჯერ კიდევ აშკარა გათიშვა მოხდებოდა, ვიცოდით რომ ბრძოლა ბურჟუაზიისა და ჩინეთის მუშათა კლასს შორის სისხლისმღვრელ ფორმებს მიიღებდა: და ეს მართლაც ასე მოხდა კანტონსა, შანხაისა, ჩანშასა და სხვა ქალაქებში, სადაც ბურჟუაზიის დაქირავებულმა ჯალათებმა რევოლიუციური მოძრაობის ბელადები დახოცეს.

კან-ჩეუ-ფუში არმიამ პატარა მოტორიანი ნავი გვათხოვა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმედი მოგვეცა, რომ უფრო ჩქარა ვივლიდით ვიდრე უბრალო ხის ნავით.

ნავი არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში. ჩინელი მექანიკოსი, რომელიც ნავს მართავდა; შეუწუხებლად უცქეროდა თავის დანჯღრეულ მანქანას და სცდილობდა მის გასწორებას.

„ლიუმანიტე".

ჟაკ. დორიო.

(შემდეგი იქნება)

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალ. თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტის სამმართველო აცხადებს მოქალაქეთა გასაფრთხილებლად, რომ 27 ივლისის დილის 7 საათიდან საქ. სამხედრო გზატკეცილზე, წყალსადენის სამმართველო აწარმოებს ასაფეთქებელ სამუშაოებს.

მეორე საჰაერო ლატარიის ბილეთები

მოსკოვიდან ამ.-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის სახელზე მიღებულია მეორე საკავშირო საჰაერო ლატარიის 25.000 ბილეთი. ბილეთების განაწილება დაიწყება ამ დღეებში.

მუშათა ცხოვრება

ქაღალდის საწარმოო რაიონის დათვალიერება

გუშინ საღამოს ზუგდიდის მაზრაში ქაღალდის საწარმოო რაიონის დასათვალიერებლად თბილისიდან გაემგზავრა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯულელი და ახალშენებათა კომიტეტიდან ინჟ. იოს. ვაწაძე.

სტატისტიკური კრებული

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ამ დღეებში გამოსცემს 1922-26 წლების სტატისტიკურ კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება სტატისტიკური ცნობები საქართველოს სახალხო სამეურნეო, სოციალური (ჯანმრთელობის, განათლების და ადმინისტრატიული), მრეწველობის, ვაჭრობის, ფინანსების, კოოპერაციის, ტრანსპორტის, ფოსტა-ტელეგრაფის და შრომის.

მიწისძვრები

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა ღამით 23-დან 24 ივლისს აღნიშნეს საშუალო ძალის ორი მიწისძვრა: ერთი 23 საათსა და 21 წუთზე და მეორე 2 საათსა და 22 წუთის შემდეგ. მეორე არის განმეორება პირველი მიწისძვრის. თბილისიდან კერა დაშორებულია 1.400 კილომეტრით.

25 ივლისს დილის 8 საათსა და 27 წუთზე სეისმოგრაფების მიერ ჩაწერილი იყო სუსტი ახლობელი მიწისძვრა. კერა თბილისიდან დაშორებულია 140 კილომეტრით.

სეისმოგრაფების მიერ ღამით 25-დან 26 ივლისს 23 საათსა და 33 წუთზე (თბილისის დროით) ჩაწერილია აგრეთვე სუსტი მიწისძვრა, რომლის კერა დაშორებულია თბილისიდან 120 კილომეტრით. ეს მიწისძვრა საგრძნობი იყო თბილისში 3 ბალის ძალით და საგრძნობი იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უფრო ძლიერად, ვიდრე მარცხენა ნაპირზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქუჩის გაფართოვება.** კეთილმოწყობის განყოფილების დადგენილებით, ამ დღეებში შეუდგებიან სადგურის მახლობლად კოოპერატიული ქუჩის გაფართოება-კეთილმოწყობას.

◆ **უკანალიზაციო სახლები.** აღმასკომის სანიტ.-ტექნიკური სექცია შეუდგა ქალაქში მდებარე უკანალიზაციო სახლების სიის შედგენას.

◆ **ტყის გაშენება.** სატყეო-კულტურის სექციამ დაადგინა შეუდგეს ტყის გაშენებას, სოღლოკალის ხევში.

◆ **ფიჭვის სანერგეები.** მომავალი გაზაფხულისათვის მამადავითისა და ხუდადოვის ფიჭვის სანერგეებში დამზადებული იქნება 70.000 ცალი ფიჭვის ნერგი.

შრომის კომისარიატში

◆ **უფასო პრაქტიკა.** შრომის კომისარიატმა ნება დართო ქიმიკოსებს, მონაგარიშეებს და ეკონომისტებს იმუშაონ დაწესებულებებში უფასოდ.

◆ **ხელფასის მომატება.** ამ დღეებში შრომის სახ. კომისარიატი განიხილავს მეღანშრომის მუშაკთა კავშირის წევრებისათვის ხელფასის მომატების გეგმას.

◆ **მეტრიული ზომა-წონა.** შრომის კომისარიატის მიწერილობით მომავალ სანგარიშო წლიდან ყველა რუსული ზომები (ხარჯთაღრიცხვებში, გეგმებში, წლიურ სარგებლობის საქმეში და სხ.) გადატანილ იქნება მეტრიულ ზომა-წონაზე.

ჯანსახკომში

◆ **იაფ-ფასიანი ლატარია.** ჯანსახკომთან არსებული რემედიის უჯრედი აწყობს იაფფასიან მომგებ ლატარიას. ლატარიის გათამაშება მოხდება დღეს.

◆ **ქიმიო-ფარმაცევტიული ტექნიკუმი.** მომავალი სამისწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება ქიმიური ფარმაცევტიული ტექნიკუმი, რომელშიაც მიიღებენ 9 წლედ დამთავრებულებს 17—19 წლამდე ჰასაკით.

მიწათმოქ. კომისარიატში

◆ **ყურძნის წვენის დამზადება.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატ. დადგენილებით მომავალი წლიდან ბაზარზე გასასაღებლად გამოუშვებენ 200.000 ბოთლ ყურძნის წვენს.

◆ **კოლექტიური ორგანიზაციები.** მიწათმოქმედების კომისარიატმა თელავის მაზრაში ჩაატარა კოლექტიურ სას.-სამეურნეო ორგანიზაციათა გამოკვლევა. სულ თელავის მაზრაში ითვლება 6 ასეთი კოლექტივი.

◆ **მერძევეობის კურსები.** მიწათმოქმედების კომისარიატის ინიციატივით სოფ. გორდში (ქუთ. მ.) მოეწყო მერძევეობის მოკლევადიანი კურსები.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **სკოლების რიცხვი.** განათლების კომისარიატის გამოანგარიშებით გასულ სამისწავლო წლის განმავლობაში რესპუბლიკაში გახსნილი იყო 1081 ოთხწლედი და 238 შვიდწლედი.

◆ **მოწაფეების მიღება.** წელს რესპუბლიკაში არსებულ ყველა ტექნიკუმებში მიიღებენ 1000 მოწაფეს.

◆ **სამუსიკო საბჭო.** განათლების კომისარიატმა დაამტკიცა სამუსიკო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: **დ. არაყიშვილი, ლ. ქუთათელაძე; კ. ფოცხვერაშვილი; ელ. ჭიჭიძე; თაქთაქიშვილი; შოტნიევი; ზ. ფალიაშვილი; ლ. ფალიაშვილი; მ. ბალანჩივაძე; კილაძე** და თითო წარმომადგენლები ჰაიარტუნიდან და სახალხო მუსიკალური სასწავლებლებიდან.

ს. მ. უ ს-ში.

◆ **ინჟინერ-ტეხნიკოსები.** საკავშირო ს. მ. უ. ს. შინამრეწველობის განყოფილებამ მოსწერა საქ. ს. მ. უ. ს. შინამრეწველობის განყოფილებას შეატყობინოს თუ რამდენი ინჟინერ-ტეხნიკოსი დასჭირდებათ მათ მომავალ სამუშაოთა სახელმძღვანელოდ.

◆ **დაწინაურებულ მუშათა კრება.** დღეს საღ. ხუთ საათზე ს. მ. უ. ს. ბინაზე დანიშნულია წარმოებებში დაწინაურებულ მუშების საერთო კრება.

◆ **ხელშეკრულების დადება.** ს. მ. უ. საბჭოსა და უკრაინის ლითონტრესტს შორის დადებულია ხელშეკრულება საქართველოში აგურ-კრამიტის ქარხნების აგების შესახებ.

◆ **დახმარება ელსადგურებს.** ს. მ. უ. საბ. მიღებული ცნობით; ა. კ. უმ. ეკ: საბჭომ წინადადება მისცა ა. კ: ფინსახკომს გადასდოს 300.000 მანეთი ადგილობრივი ელექტრო სადგურების შესაკეთებლად.

სხვადასხვა

◆ **სამი ვაგონი ასანთი.** ცეკავშირის სახელზე თბილისში ჩამოვიდა სამი ვაგონი ასანთი. აქედან ერთი ვაგონი გაიგზავნა ქუთაისში.

◆ **ცენტრარქივში.** საქართველოს ცენტრარქივის კანცელარია პირველ სექტემბრამდე ღია იქნება კვირაში სამი დღე—ორშაბათს; ოთხშაბათს და პარასკევს.

◆ **საბინაო მშენებლობა.** გასული კვირის განმავლობაში თბილისის ბინათ კავშირის გამგეობის სახელზე მიღებულ იქნა 10 ვაგონი სამშენებლო მასალა.

◆ **ინსტრუქტორთა ყრილობა.** ცეკავშირის ინსტრუქტორთა მორიგი ყრილობა დანიშნულია პირველ სექტემბრისათვის.

დღეს კინოებში

— **მინიონში**—„პროვინციალი“.
— **არფასტოში**—„მაქსიმ მაქსიმესძე“.
— **დარბაზში**—„მაქსიმ მაქსიმეძე“.
— **ოდეონში**—„ადამიანი კომეტაზე“.
— **პალასში**—„ვუ-ფანგის საიდუმლოება“.
— **აპოლოში**—„ტარასტრიასილო“.
— **ეთერში**—„მაქსიმ მაქსიმესძე“.

სასამართლო

ქმარმა მოკლა, თუ შვილმა

სოფელ ელმიჩუხში (სიღნაღის მაზრა) ცხოვრობდა **ვანო ყანდაშვილი,** რომელსაც ცოლად ჰყავდა მეჭედლიშვილის ასული მაშო. ვანო ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ცოლთან უსიამოვნება და აყალ-მაყალი, რაც ზოგიერთს გაჩენის დღეს აწყევლინებს, მან არ იცოდა რა იყო. ცხოვრობდენ ტკბილად, პატიოსანი შრომით და ზრდიდენ შვილებს.

ასე ტკბილად მიდიოდენ მათი ცხოვრების დღენი, მაგრამ ჩარხი შეტრიალდა, როცა მათ თავის ოჯახში საცხოვრებლად ჩაისახლეს „ნათლია“ ნიკა ყანდაშვილი იგივე ფოთოლაშვილი).

ვანო ყანდაშვილს არაფერი ჰქონდა „ნათლიობის“ საწინააღმდეგო, მაგრამ არაფრად ეჭაშნიკებოდა, რომ მის ცოლს და „ნათლიას“ მთელი დღე და ღამე ერთმანეთის ალერსის მეტი არაფერი ახსოვდათ. ეს არც ვანოს ვაჟიშვილს მოსწონდა და თავის დედას უბედავდა და ეუბნებოდა თავი დაენებებია „ისეთი საქმისათვის, რაც მას არ შეშვენის“.

მაშომ მოიგერია ქმრის და შვილის იერიშები, მიატოვა ოჯახი და თავის „ნათლიას“ წამოჰყვა თბილისში. თბილისში თავის სატრფოსთან ფიქრობდა მაშო ცხოვრებას, მაგრამ ბედმა უმუხთლა: „ნათლია ნიკა“ ქურდობისათვის დააპატიმრეს თბილისში.

დარჩა მაშო უპატრონოდ. ამ დროს თბილისში ჩამოვიდენ მაშოს ვაჟი შაქრო და სიძე ქერელაშვილი. მათ გამართეს მოლაპარაკება მაშოსთან, ურჩიეს ისევ სოფელში თავის ოჯახში დაბრუნება და დაითანხმეს კიდეც. მაშო დაუბრუნდა ისევ თავის ოჯახს. დაიწყო ისევ ახალი ცხოვრება, მაგრამ უკმაყოფილების ჭია ღრღნიდა ვანოს გულს და რამდენიც არ ეცადა ვერ ახერხებდა ტკბილად დალაპარაკებას ცოლთან.

არც მაშო დაუშვებდა მაინცა და მაინც ტკბილ სიტყვას ქმარშვილისათვის. პირიქით, თავისაც კი აყვედრიდა მათ.

ვანომ გადასწყვიტა განედევნა მაშო თავისი ოჯახიდან. ამის მომხრე იყო მისი ვაჟი შაქროც. მისცეს წინადადება, მაგრამ მაშომ სთქვა: „ფეხსაც არ დავსძრავ ამ ოჯახიდან“.

ქმარმა გადასწყვიტა თავისი ცოლის მოკვლა, მაგრამ მარტო ვერ ბედავდა და თავისი განზრახვა გაანდო შვილს შაქროს. უკანასკნელმაც აღუთქვა დახმარება. მამა ეუბნება თავის შვილს: „შენ დაარტყი დედაშენს თავში ცული, შემდეგ გაიქეცი, გადი სოფლიდან და როცა შენ სოფელს გასცილდები, მე დავიწყებ ყვირილს და დანაშაულს შე დაგაბრალებ“.

ეს ასეც მოხდა. თავის დედას მაშოს თავში ცული დაარტყა შვილმა და მოკლა. ვანომ ცოტა ხნის შემდეგ მორთო ყვირილი: „გამიწყრა სიცოცხლე და ჩემივე ხელით მოვკალიო“.

წინასწარ გამოძიების დროსაც ვანო ყანდაშვილი ასესვე ჩვენებას იძლევა. შვილი შაქრო კი აცხადებს, რომ თუმცა მამამ მისცა მას წინადადება მოეკლა დედა, მაგრამ მან ამაზე უარი სთქვა.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

ბ.

დახვრეტა ყაჩაღს

სოფელ ქარელში (გორის მაზრა) გლეხები შაქრო და გიორგი ბიჭიკაშვილები (ბიძა და ძმისშვილი) მიემგზავრებოდენ მახლობელ ბაზრისაკენ საოჯახო ნივთების შესასყიდად.

რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ მათ თავს დაესხა ვიღაც უცნობი, რომელმაც რევოლვერით მოჰკლა ჯერ შაქრო და მერე გიორგი ბიჭიკაშვილი. ბოროტმოქმედმა მოასწრო შაქრო ბიჭიკაშვილის გაძარცვა, ხოლო მეორის კი ვერ შესძლო, რადგან მახლობლად მცხოვრებმა გლეხებმა ასტეხეს ყვირილი და ყაჩაღი იძულებული გახდა მიეტოვებია მოკლულები და გაქცეულიყო.

ბოროტმოქმედი მეორე დღესვე შეიპყრეს. ის აღმოჩნდა ცნობილი, ძველი ყაჩაღი საშა ჯაბიაშვილი.

საქმე გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით. ყაჩაღ საშა ჯაბიაშვილს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი **დახვრეტა.**

შემთხვევები

მკვლელობა ბოტანიკურ ბაღში

ორშაბათს, 25 ივლისს ნაშუადღევს ბოტანიკურ ბაღში იპოვეს უცნობი ქალის გვამი. მოკლულს არ აღმოაჩნდა არავითარი საბუთი და მისი ვინაობა გამოურკვეველია. შეხედულობით რუსსა ჰგავს; იქნება 22—23 წლის; აცვია ცისფერი ტანისამოსი; ნაცრის ფერი წინდები და ყვითელი ტუფლები. თავზე მოხვეული ქონია შარფი. თეთრეულზე აღმოაჩნდა ინიციალები.

სისხლის სამართლის მილიცია სთხოვს მათ, ვისაც შეუძლია აღნიშნული მოკლული ქალის შესახებ რაიმე ცნობების მოცემა, გამოცხადდეს სის. სამართლის მილიციაში ოთახი № 5.

მოკლული ბოროტმოქმედებს გაუყვანიათ ბოტანიკური ბაღის გაღმა ნაწილში, ზემო ფიჭვნარისაკენ. აქ მათ ქალი მოუკლავთ ქვებით.

ცხედარი გადმოგზავნეს რესპ. სავადმყოფოს პროზექტურაში.

ტყის დარაჯის მოკვლა

სოფ. პრიუტში (თბილისის მაზრა) ტყიდან მომავალმა ეგორ დანიელოვმა მოჰკლა ტყის დარაჯი ივანე მლადიშევი.

საქმის მდგომარეობა შემდეგში იყო: განსვენებული ივანე გლადიშევი არავის არ ატარებდა ტყეში უნებართვოთ და მან ასეთ საქმეზე რამოდენიმეჯერ შეისწრო მოქ. დანიელოვი. ერთ ხელ, როცა დანიელოვი გამოდიოდა ტყიდან და უნებართვოთ გამოჰქონდა ტყის მასალა მას წინ შეხვდა გლადიშევი და დაემუქრა ოქმის შედგენით. დანიელოვმა ამის საპასუხოდ მოჰკლა ტყის დარაჯი.

დანიელოვი დაპატიმრებულია.

მფლანგველის დაპატიმრება

შვებულებაში წასულ საგზაო კომიტეტის მოლარე ანდღულაძეს 22 ივლისიდან სცვლიდა მოქ. ე. მონიავა.

მონიავას მოულოდნელად მოუხდინეს რევიზია და სალაროში აღმოაჩინეს დანაკლისი. კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ სისხლის სამართლის მილიციის სახელმწიფო საგარანტიო დაზღვევის და საგზაო კომიტეტის წარმომადგენლები, დაადასტურა 250 მან. 08 კაპ. გაფლანგვა მოლარე მონიავას მიერ.

მონიავა დაპატიმრებულია.

◆ **კლდიდან გადავარდნა.** კოჯრის გზაზე კლდიდან გადმოვარდა სოლომონ ყეიდაროვის ბავშვი, რომელმაც გაიტეხა თავი. ბავშვი გადაგზავნეს სავადმყოფოში.

◆ **ფუნიკულიორიდან** ჩამოსვლისას მოქ. ალექს. ბაბუევს ჯიბიდან ამოაცალეს 259 მანეთი და საბუთები.

◆ **ბინის გაქურდვა.** გაქურდეს მოქ. გასპარ მელიქსეტოვის ბინა (ლენინის ქუჩა № 3). წაღებულია 200 მანეთის ოქროეულობა და ვერცხლი. ქურდები ტერიაგოვი და ივანოვი დააპატიმრეს ნაქურდალი ოქროეულობით.

◆ **ქურდი ამხანაგი.** ბაქში ძილის დროს გლეხ ტიტიკო ალიხანიშვილს ჰისმა ამხანაგმა ნიკოლოზ მელქუმოვმა ამოაცალა 82 მან.

მელქუმოვი დააპატიმრეს.

◆ **ხანძრის გაჩენა.** საკვამლე მილის გაუწმენდავობის გამო ცეცხლი გაუჩნდა მახჩიანის სასადილოს კახ. ქუჩა № 11. ზარალი უმნიშვნელოა.

◆ **სასადილოს გაქურდვა.** გაქურდეს მოქ. სოხაძის სასადილო (სადგურის ქუჩა № 19). წაღებულია 150 მანეთის ნივთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება განმეორებით სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, სასწრაფოდ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. თარხანოვთან: 1) გოგიჩაიშვილი საურ ეტლიასძე, 2) გოგინეიშვილი თეოფილ ივანესძე; 3) ფადეევი ივანე ივანესძე, 4) ნაუმიჩევი იოსებ მიხეილისძე; 5) ვიშკოვეცკი აბრამ სოლომონისძე; 6) სოლომონიშვილი აბელ ივანესძე, 7) როგოვი ნიკოლოზ ალექსისძე; 8) ლევიშვილი დავით იუდასძე, 9) მაისურიანი თეოდოროს ჯავადისძე, 10) საბანაძე ლუარსაბ მაქსიმესძე, 11) კოჩაროვი ვართან არაქელისძე, 12) მიკეერი მოსე; 13) მელიქაძე ბესარიონ, 14) ქავთარაძე ბორის იაგორისძე; 15) გელაშვილი დანიელ, ტარასისძე; 16) ვასილიევი ალექსანდრე ნიკოლოზისძე, 17) პოზდნაკოვი ნიკოლოზ ივანესძე, 18) მამედოვი იუსუფ ჰასან-ოღლი. 19) გიორგაძე სერგო, 20) ცომაია ალპესია კონსტანტინეს ასული; 21) დერიაბინი ვასილ ივანესძე, 22) სიხარულიძე ემელიან ანთიმოზისძე; 23) არუთინიანცი რუბენ ნერსესისძე, 24) რევიზორ-გავრილიუკი განნა ფეოდორეს ასული, 25) ლორთქიფანიძე უშანგი სეფესძე, 26) ხაბელაშვილი იოსებ ივანესძე, 27) ხაჩატუროვი ბორის (ბახშო), 28) კარავშჩინსკი ალექსანდრე საველისძე, 29) პეტროვი პეტრე მიხეილისძე, 30) ბასილაძე ალექსი გაბრიელისძე; 31) კახიაშვილი ნიკოლოზ გიორგისძე; 32) დენისოვი ლეონტი ივანესძე, 33) ზავიალოვი გრიგოლ ვასილისძე, 34) რაისელი ვლადიმერ ანდრიასძე; 35) ვეზიროვი ჰუსეინ ბაგირასძე, 36) ბადიაი სურენ გრიგოლისძე, 37) მელიქაძე ბესარიონ სტეფანესძე; 38) გაბრონიძე იპოლიტე ანთიმოზისძე, 39) ჯანაშია სამსონ ზურაბისძე, 40) ბლავოტინი ანდრია გრიგოლისძე; 41) მებუკე ნინო ივანეს ასული; 42) კახიანი შალვა; 43) მგელაძე გალაქტიონ ილარიონისძე, 44) ქათამაძე ალექსანდრე სერგოსძე, 45) დარიაძე ვარლამ კონსტანტინესძე, 46) ბლიუგლას ისააკ შარკოზისძე, 47) კაჟაიშვილი ბესარიონ გრიგოლისძე. 48) კალანდაძე ვასასი პავლეს ასული; 49) ანტონოვი პეტრე, 50) უგულოვი ივანე დავითისძე; 51) გრიგოროიანი სარქის გალუსტისძე, 52) ელიაშვილი ნიკოლოზ პავლესძე.

იმ ამხანაგებს, რომელნიც თბილისში არ იმყოფებიან ვთხოვთ გვაცნობონ მუდმივი საცხოვრებელი ან სამსახურის ადგილი (მისამართი).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, ოთხშაბათს, 27 ივლისს გამოცხადდენ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილებაში (ოთახი № 34) ამხ. თარხანოვთან: 1) მარუტიანცი მიხეილ ს.; 2) ავაზნელი ვართან ივანესძე; 3) მეზურნოვი ბაღდასარ სტეფანესძე; 4) მგელაძე გალაქტიონ ილარიონისძე.

ოთხშაბათს, 28 ივლისს, საღამოს ექვს საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის სალექციო დარბაზში მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის ხელისშემწყობი საზოგადოების თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი სარაიონო საბჭოების და მსხვილი უჯრედების თავმჯდომარეების თანადასწრებით.

ლენრაიკომის მ. გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 27 ივლისს; საღამოს ექვს საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია ქალ. ორგანიზატორების თათბირი. დღის წესრიგშია: ანგარიში ადგილებიდან 6 თვის მუშაობის შესახებ.

1. გეორხელიძე—მოძრაობის დარგი. 2. გვრიტიშვილი—საყუდი. 3. დემენტიევა—მეექვსე უბნის სალიანდაგო სამსახური. მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზატორებისათვის.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს, 27 ივლისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: იაკოვ ისკანდარაშვილს, გრიგოლ მირზოევს, სეროპ კოსტონიევს და რუდოლფ კულკოვსკის.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ონისიმე სვანიძეს, ვასილ თამარაშვილს, დავით ასხაბაძეს, ალექსანდრე ბაკურაძეს და ელენე სვანაძეს.

დავით დავითის-ძე კარიჭაშვილი, ქეთევან კარიჭაშვილი, ეკატერინე გულისაშვილისა, ელენე კარიჭაშვილი, მამია ხუხუნაშვილი, ვასილ გულისაშვილი და თამარ მათიკაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათ უძვირფასეს და უსაყვარლეს მამის, სიმამრის და მამამთილის

დავით გიორგის-ძე
კარიჭაშვილის

გარდაცვალებას. 3415

გაუბედურებული მშობლები ანა და არკადი ჩხენკელნი ულრმეს მადლობას ვუძღვნით ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომელთაც პირადათ, დეპეშით ან წერილობით გაინაწილეს ჩვენი ოჯახის უსაზღვრო მწუხარებით და მით გვანუგეშეს ჩვენი, უსაყვარლესი და მუდამ სახსოვარი

გოგის

უდროოდ დაკარგვის გამო. 3408

ღრმად დამწუხრებულნი: მამიდა ეკატერინე იოსების ასული, დები: ნინო და ბარბარე, ძმა იოსები, რძალი ნინო, ძმისწული ნანა და მამიდაშვილი ნინო ბობოკაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. თ. 25, ცეშში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ ილარიონის ასული
ელასაშვილი-მათიკაშვილისა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ)

ღრმად დამწუხრებული ექ. გრიგოლ მათიაშვილი აუწყებს მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა. თ. 25, დღისით 2 საათზე. ცეშში უდროოდ გარდაიცვალა მისი დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლე

თამრიკო

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა, ძმა ივანე ილიას-ძე, რძალი ნინა ივანეს ასული, შვილებით კოტე, ელენე, ტასიკო და ნატალიათი, სალომე, სიკო, გენო, მიტო შავლიაშვილები მწუხარებით აუწყებენ ყველა მოყვარეთ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 მკათათვეს სოფ. მაღაროში (სიღ. მაზრა) უდროოთ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეს ძმა და მაზლი მესამეთა ძვირფასი ძია

გიგა (გიორგი) ილიას-ძე
შაიშმელაშვილი

გამოსვენება და დასაფლავება ხუთშაბათს, 28 მკათათვეს, ნაშუადღევის 4 საათზე, სოფ. მაღაროში. (ე)

დაობლებულნი პატარა ნინა და ქეთო ციციშვილები, გაუბედურებული დედა კესარია ტატიშვილი, ღრმად დამწუხრებულნი ელენე და ივანე გომართლები, ძმა გიორგი ტატიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 25 ამ თვეს ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველთა ტკბილი დედიკო, მეორესი დაუვიწყარი შვილი, დანარჩენების კი საყვარელი და

სოფიო (პუკუნია) იოსების ასული
ციციშვილი

საშოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე, ვერაზე—პეროვსკის (ყოფ. ანასტასიევის) ქუჩა № 21. 2—1 3411

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე გაიანე ონისიმეს ასული, შვილები: ალექსანდრე, გრიგოლი, დავითი და ლევანი ბრეგაძეები; სიდედრი სიკლიკატა, სიმამრი ონისიმე, ცოლის-ძმები: შალვა და აკაკი ცოლშვილით, კირილე, გრიგოლი და ევგრაფი, ცოლის და რაისა სანიკიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი

ლევან ესტატეს-ძე ბრეგაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება (ქუთაისის მაზრა) ს. ჩხენიშში ხუთშაბათს ა-წ. 28 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1 3408

საქართველოს სახკინმრეწვის სურათი
სამშაბათიდან 26 ივლისიდან
კინო-თეატრებში
ეთერი (სახ. ოპერის ბაღში) დარბაზი (ბაღში პლეხან. № 91)
სამშაბათიდან 26 ივლისიდან
უკანასკნელი სურათი სერიიდან
„ჩვენი დროის გმირები“
დადგმა: ვ. გ. ბარსკის
მაქსიმ მაქსიმიჩ
ოპერატორები ა. პოლიკევიჩი ვ. პოზნანი
ლერმონტოვის რომანის მიხედვით.
მთავარ როლებში: ბელა ბელეცკაია, ტ. ვიშნევსკაია, ვ. ობოლენსკი, ნ. პროზოროვსკი და სხვ.
დასაწყისი 1-ლი სეანსის 8 ს.
სიმებიანი ორკესტრები.
სალარო ღიაა საღ. 7 ს.

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა**

ეთერი (სახკომშ. ოპერის ბაღში)
დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლო (არტოს ბაღში).
0—20 ნ. 13 88
უკანასკნელი სურათი სერიიდან
„ჩვენი დროის გმირი“
„მაქსიმ მაქსიმიჩ“
რეჟ. ვ. გ. ბარსკის დადგმა.
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი.
მთავარ როლებში: ვიშნევსკაია, ობოლენსკი, პროზოროვსკი და სხვ.
დიდი ინტერესის გამო დადგმის მეორე კვირა
მხატვრული ისტორიული სურათი
ტარას ტრიასილო
რეჟისორი ჩარდინინი.
ანონსი: ამ დღეებში „არაბი“. დადგმა მ სოფლიო რეჟისორ რექს ინგრამისა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 ივლისს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში ნ. 1504

სალიკვიდაციო კომისია

ახალი-სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა აცხადებს, რომ თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა ა. წ. 25 ივნისიდან დანიშნულია საზოგადოების საქმეთა ლიკვიდაცია ახალ-სენაკში, ქავჭავაძის ქ. № 2, სადაც მიღებული იქნება ყოველგვარი პრეტენზიები განცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში. ნ. 1503

„კომუნისტი“-ს რედაქციაში
საჭიროა
კარგი, გამოცდილი
მემანქანე

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც არიან გატარებულნი რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში. (გაგრძელება № 26).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	წარმოების საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
751	5 ივლისი 27 წ.	ცერცვაძე ივანე იორდანის-ძე	25 თებერვლის ზესტაფონი	ფქვილით სავაჭრო	3000 მ.	მე-4
752	„	დევდარიანი ნიკო პავლეს-ძე	25 თებერვლის ქუჩა	სასადილო	500 „	„
753	„	გურული ფილიმონ დიმიტრის-ძე	25 თებერვლის ქუჩა	„	30 „	„
754	7 „	ს. შილდის მომხმ. საზ-ბა „განთიადი“	ს. შილდა „განთიადი“ (თელავის მაზრ).	ფართლეულით და წვრილმანით	9538 „	„
755	„	ალიაშვილი მიხა გიორგის-ძე	ს. ძველი-გავაზი	სასადილო	150 „	„
756	„	სუხიაშვილი გიორგი ბესარიონის-ძე	ს. ახალ-სოფელი	„	200 „	„
757	„	ბაჩიაშვილი სანდრო იოკიმეს-ძე	ს. იყალთო	„	200 „	„
758	28 ივნისი	ხონის კოოპერატივი „იმედი“	ქ. ხონი	„	70493 „	„
759	23 „	ხონის კოოპერატივი „იმედი“	„	ყოველგვარი საქონლით	70493 „	„
760	4 ივლისი	კახიძე სიმონ ბესარიონის-ძე	ს. სვირი	სასადილო	100 „	„
761	23 ივნისი	სამტრედიის მუშა „განახლება“	ქ. სამტრედია	„	—	„
762	„	სამტრედიის მთლ. კოოპ. „განახლება“	„	საგასტრონ.	—	„
763	24 „	ა.-კ. სამხ. მომხ. საზ-ბა ქუთ. განყ.	წულუკიძის ქ.	უნივერსალური მაღაზ.	—	„
764	„	ქუთაისის კომუნ. მეურნეობის სტამბა	„	სტამბა	103505 მ. 25 კ.	მე-7
765	25 „	ქუთ. სამ. აღმ. სამეურნეო განყოფ.	თბილისის ქ.	კირის ქარხანა	28000 „	მე-4
766	29 „	გაბირაშვილი ალექსანდრე ქრისტეფორ.	1905 წ. რევ. ქუჩა	სასადილო	300 „	„
767	„	კუჭუხიძე ლევანტი სიმონის-ძე	მე-3 ინტერნ. ქ.	„	300 „	„
768	„	კობერიძე დიანოზ ანტონის-ძე	1905 წ. რევ. ქ.	„	300 „	„
769	1 ივლისი	კაკოიშვილი ბარამ ფარსადანის-ძე	მე-3 ინტერნ. ქ.	„	300 „	„
770	4 „	რობაქიძე სილიბისტრო სოკრატის-ძე	ს. სვირი	„	100 „	„
771	„	ქუთ. საურთიერთო ნდობის საზ-ბა	საბჭოთა ქ.	„	23800 „	„
772	23 ივნისი	კუკულავა გიორგი მაქსიმეს-ძე	ქ. ქუთაისი მე-3 ინტერნ. ქუჩა	„	500 „	„
773	4 ივლისი	ზიბზიბაძე ბაგრატ დავითის-ძე	ს. სვირი	„	100 „	„
774	„	აბულაძე გრიგოლ ერასტის-ძე	„	„	100 „	„
775	19 ივნისი	თანდილაშვილი მიხეილ კონსტანტინ.	ქ. თბილისი მუხრანის ქ.	„	1050 „	„
776	20 ივლისი	აჯიმამუდოვი ალექსანდრე არშაკის-ძე	ქ. თბილისი მუხრანის ქ.	„	500 „	„
777	31 მაისი	საქ. ცაკის სოც. უზრ. განყ. საკლუბო კომის.	ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი	სათამაშო № 1	—	„
778	„	იგივე	ქ. თბილისი ქსენიევის ქ.	ლოტო № 3 და ბული № 1	—	„
779	„	იგივე	ქ. პლეხანოვის გამზირი	ავრორა № 2 და პტი-შო № 2	—	„
780	16 ივლისი	ბრეგვაძე გიორგი ივანეს-ძე	ქუთაისი ზდანოვიჩის ქ. № 155	სასადილო	200 „	„
781	14 „	ჯიხაიშის სას. სამ. საკრ. ამხ-ბა	ს. ჯიხაიში	„	500 „	„
782	12 „	ცხვარაძე სერგო დიმიტრის-ძე	ს. საჯავახო	„	100 „	„
783	„	ჯაში ჯაბა მალაქიას-ძე	„	„	100 „	„
784	8 „	საქ. წით. ჯვრის ქუთაისის კომიტეტის საგალანტერიო სავაჭრო	1905 წლ. რევ. ქ.	გალანტერეით.	8000 „	„
785	„	ჩირაძე ვარლამ გერასიმეს-ძე	ქ. ქუთაისი მე-3 ინტ. ქ.	სასადილო	300 „	„
786	11 „	ზეთ-საპნის ტრესტი ქუთ. მაუდის საქსოვი ქარხანა	ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის ქ.	მაუდეულობით	338000 „	მე-11
787	9 „	სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო	სამტრედია	ძაფის ამოსალები ქარხანა	—	მე-12
788	24 ივნისი	ქუთაისის უმუშევრობასთან მებრძ. კოლექ.	ქ. ქუთაისი პუშკინის ქ.	სასადილო	600 „	მე-4
789	13 ივლისი	სახალხო მეურნ. უმაღლ. საბჭო	ქ. ქუთაისი წერეთლის ქ.	ხე-ტყის მასალით	3306 მ. 11 კ.	„
790	„	ყორყოლიანი ერასტი მიხეილის-ძე	ს. მაღლაკი	სასადილო	100 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მზალოგლიშვილი.**

ნ. 1500.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ევგენია ნიკოლოზის ასული კობახიძეს სახელზე, ჩ. გ. 3411

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა ნოე ნიკოლოზის-ძე გიკაშვილის სახელზე. ჩ. გ. 3405

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ოლღა ნიკოლოზის ასული კობახიძის სახელზე. ჩ. გ. 3410

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 128, მ. ელიზბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3407

ბალანსი

საამშენებლო სამრეწველო აქციონერულ საზოგადოება „სამშენი“-ს 1 იანვრისათვის 1927 წლის.

№№	ანგარიშების სახელწოდება	დაბ. №	კერძო ჯამი	საერთო ჯამი	%/%
1	**ნაღდი**				
	ა) სალაროში		287 98		
	ბ) სახელდ. ანგ-შზე № 309		55.873 97	56.161 95	9,2
2	**ფასიანი ქაღალდები**			99 90	
3	**წარმოება**				
	ა) შენობების კეთება			106.884 69	17,5
4	**სხვა და სხვა პირნი**				
	დებიტორები:				
	ა) მასალების მომწოდებლები		28.565 58		
	ბ) სამუშაოს მომცემნი		101.047 40		
	ვ) ჯგუფ. გაცემ. სამუშ. ანგ.		4.303 89		
	გ) დაწესებულებები და პირნი		1.699 —		
	დ) საეჭვო დებიტორები		1 —	135.616 87	22,2
5	**ანგარიშ ქვეშ მყოფ პირთა**			7.736 83	1,2
6	**ქონება**				
	მოძრავი:				
	ა) გამგეობაში		5.322 89		
	ბ) სამუშაოებზე		2.190 37		
	უძრავი:		20.787 57	28.300 83	4,6
7	**თანამშრომლები**			494 36	0,1
8	**საწინდრები**				
	ა) გაცემ. სამუშ. სწორად შესრულ. უზრუნველსაყოფ.			24.783 53	4,1
9	**მასალები**				
	ა) საწყობი № 1		3.307 04		
	ბ) „ № 2		226.543 98		
	ვ) დამზადებაზე		16.511 16	246.362 18	40,4
10	**საერთო ხარჯი 1927 წლის**			4.816 27	0,7
11	**მიღებული თამასუქები**			104 28	
	ბალანსი			611.361 69	100

№№	ანგარიშების სახელწოდება	დაბ. №	კერძო ჯამი	საერთო ჯამი	%/%
1	**აქციონერთა თანხა**			110.000 —	17.9
2	**საამორტიზაციო თანხები**			2.906 25	0,4
3	**კრედიტორები**				
	ა) მასალების მომწოდებელნი		12.495 41		
	ბ) სამუშაოს მომცემნი		322.641 13		
	ვ) ჯგუფ. გაცემ. სამუშ. ანგ.		3.010 99		
	გ) დაწესებულებები და პირ.		37.026 06	375.173 59	61,2
4	**ანგარიშ ქვეშ მყოფ პირთა**			177 58	
5	**თანამშრომლები**			49 25	
6	**სესხი**			348 66	
7	**გაცემული თამასუქები**			1.263 —	0,2
8	**გარდამავალი თანხები**			21.937 03	3,4
9	**მოგება**			99.505 33	15,9
	ბალანსი			611.361 69	100

ანგარიში მოგება—ზარალისა

1925 წლ. 1 აგვისტოდან ვიდრე 1 იანვარი 1927 წ.

დებეტი

№№	ანგარიშების დასახელება	ჯამი	% დამოკ.
	მიღებული ზარალი		
1	დამთავრებულ სამუშაოებიდან	4.095 69	
2	გაყიდულ მასალებიდან	9 36	
3	გაცემულ სარგებლიდან	1.782 08	
4	არა საიმედო დებიტორები	2.062 14	
5	საერთო ხარჯები	120.616 20	
6	მოგება	99.506 33	
	ჯამი	228 071 80	

კრედიტი

№№	ანგარიშების დასახელება	ჯამი	% დამოკ.
	მიღებული მოგება		
1	დამთავრებულ სამუშაოებიდან	199 683 56	
2	გაყიდულ მასალებიდან	3.801 58	
3	სარგებელი	3.417 01	
4	შემთხვევითი შემოსავალი	3.796 88	
5	ფასების განსხვავებიდან სამუშაოებზე გაცემულ მასალებზე თვითღირებულ და ნომენკლ. ფასებთა შორის	17.372 77	
	ჯამი	228.071 80	

თანახმად ოქმისა ა | წ. 5 | 7—1927 წ. № 3 § 5 დამტკიცებულია სახ. მ.უ.ს. არსებულ საუწყებო კომისიის მიერ.

გამგეობის თავმჯდომარე **ნ. ზ. იორამაშვილი.**

გამგეობის წევრი **ნ. დ. ცინცაძე.**

მთავარი ბუღალტერი **ი. ბეროზაშვილი.**

ნ. 1504.

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ქლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო,
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილის, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 4526 ივანე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. 3412

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 504 ალექსანდრე გიორგის-ძე კიზირიას სახელზე, ჩ. გ. 3413

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1820 შალვა მელქისედეკის-ძე ლებანიძის სახელზე, ჩ. გ. 3414

დაიკარგა ოსმალური თოფის № 986 ტარების მოწმობა—გაცემული საქართვ. სახ. პოლიტიკურ სამმართველოს მიერ გიო ბეჟიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1502

დაიკარგა სავაჭრო პატენტი № 1365 და სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა № 704—ნიკო ბასილაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1502

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბილეთი № 44 | 39, გაცემული სენაკის სამხედრო სამაზრო კომისარიატიდან დავით მიხ.-ძე კარტოზიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1503

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 384 გაცემული ნოსირის თემის აღმასკომის მიერ ილარიონ თ.-ძე ალანიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1503

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.